# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 29 იანვარი, 2008 წელი.

№ 16 (5874)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



## გაჩეჩილაძე დე ფაქტო პრეზიდენტია

4

## ხელისუფლება მადლიერი უნდა იყოს, რომ ოპოზიცია ამდენი ადამიანის პროტესტს კონსტრუქციულ კალაპოტს აძლევს

8



## საზოგადოება კიდევ ერთხელ მოატყუეს

4

*მაგრამ ვაითუ „საზავშვო სენი“ ახალ საჭოჭმანო ვადამიცგადმოგყვათ, ბატონო პრეზიდენტო! მერე რაღა ვქნათ, ვის მივადგეთ?!*



10

## გურამ გოგიაშვილი: სახელმწიფო თვითონ კი არ შეღგა, ჩვენ შევგლგა!

## „დედა, რა იყო ეს, ა?“

2





## რუსეთთან კარის გამოჯახუნებები არც მუშაობს და სარისკოც არის

ექსპერტები ეჭვით უყურებენ რეინტეგრაციის საკითხს და ამბობენ, რომ, როცა კონფლიქტების მოგვარება ჩიხიდან გამოსული არ არის, რეინტეგრაცია ნაადრევია

5-6

## ცრუ ხელისუფალთა ცრუ საქმეები

9



№ 16. სამშაბათი, 29 იანვარი, 2008 წელი.

● ის, რომ ბენდუქიძე ქართული ეკონომიკის სადავეებს უნდა მოსცილებოდა, ყველასთვის ნათელი იყო, მაგრამ მისი კანცელარიაში გადასვლით ბატონი კახა მხოლოდ ტელეკამერებს მოსცილდა



**◎ სამთავრობო კარუსელი**

# „დედა, რა იყო ეს, ა?“

მთელი საქართველო სულმოუთქმელად ელოდა ხელისუფლებაში განსახორციელებელ ცვლილებებს, სტრასბურგი კი საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლას. ორივე მოვლენას დიდი ვნებათაღელვები უძღოდა წინ.

ძალიან საინტერესო ამბები მოხდა თბილისსა და სტრასბურგში. თუ „ევროპის ცენტრში“ საქართველოს პრეზიდენტმა „გადარია“ ევროპა და განსაკუთრებით რუსეთის დელეგაცია, საქართველოში პრემიერ-მინისტრმა „დახაშმა“ ხალხი. იმ დღეს მთელი სტრასბურგი და თბილისი დათა თუთაშხიასეული ნიკანდრო ქილიასავით იმეორებდნენ „დედა, რა იყო ეს, ა?“.

პრინციპში ევროპა „იქით იყოს“, მაგათ თავიანთი „გაჭირვებაც“ ეყოფათ. ჩვენ ჩვენი „მკვდარი ვიტიროთ“, მაგრამ მანამდე უბრალოდ ვიტყვი, რომ სააკაშვილი მართლაც ღირსეულად გამოვიდა სტრასბურგში და ყველას ის პასუხი გასცა, რაც ეკუთვნოდა.

მაგრამ ის, რაც ბატონმა ლადო გურგენიძემ შემოგვთავაზა ახალი მინისტრთა კაბინეტის სახით, ნამდვილად გამაოგნებელი იყო.

ახლა არავინ არ თქვას, სააკაშვილმა არ იცოდა ახალი კაბინეტის შემადგენლობა და ეს „შედევრი“ მთლიანად პრემიერის „დამსახურებააო“. ჰოდა რადგან არავინ არაფერს ამბობს, ამიტომ სააკაშვილის სტრასბურგის გამოსვლას მხოლოდ ერთი შეფასება შეიძლება მიეცეს: გარედან მტერს უბრმავებს თვალს და შიგნიდან მოყვარესო (ამ გამოთქმაზე შეღებილი ფასადები გამახსენდა, მაგრამ რა დროს ფასადებიაძ.

მოდით, მოკლედ ვნახოთ თუ რა მოხდა ასეთი.

დავიწყოთ ყველაზე მთავარიდან: ქალბატონი ეკა ტყეშელაშვილი დაინიშნა საქართველოს გენერალურ პროკურორად, მის ნაცვლად იუსტიციის მინისტრად დაინიშნა ნიკა გვარამია ამ ცვლილებით ყველასთვის ცხადი გახდა, რომ პროკურატურა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ რგოლად გადაიქცა, ხოლო იუსტიციის სამინისტრო პროკურატურის დანამატად.

განათლების მინისტრად დაინიშნა ბატონი გია ნოდია. ვინც არ იცის, იმათ გასაგონად ვიტყვი, რომ ეს დანიშვნა, ქართული განათლების სისტემისათვის მიყენებული „საკონტროლო გასროლაა“.

კახა ბენდუქიძე დაინიშნა კანცელარიის უფროსად. გიორგი არველაძე ბიზნესში წავიდა და მისი ადგილი დაიკავა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილმა ხელმძღვანელმა ქალბატონმა თამარ შარაშიძემ. აქაც ყველაფერი ნათელია.

ის, რომ ბენდუქიძე ქართული ეკონომიკის სადავეებს უნდა მოსცილებოდა, ყველასთვის ნათელი იყო, მაგრამ მისი კანცელარიაში გადასვლით ბატონი კახა მხოლოდ ტელეკამერებს მოსცილდა.

პრინციპში გასაკვირიც არაფერია, რადგან ჯერ რკინიგზაა გასაყიდი, ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონა კეთდება და იქაც ბევრი ისეთი რამეა, ძრომლის ხელიდან გაშვება, კარგ ბიზნესმენს, ნამდვილად არ ეპატიება“. ხოლო ბენდუქიძის „მადის შემცირებას“ ვერც ერთი ქერათმიანი ქალბატონი ვერ მოახერხებს.

საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დატოვა გელა ბეჟუაშვილმა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის ნამდვილად გამოირჩეოდა როგორც ყოფილი, ისე „ახალი“ ხელისუფლების „ფონზე“ და მართლაც საკმაოდ ბევრ კარგ რამეს აკეთებდა (ალბათ ამიტომ გაუშვესძ.

მოხდა სხვა „ცვლილებებიც“, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილ ცვლილებებთან შედარებით, ნამდვილად არაა ანგარიშში ჩასაგდები და უფრო იუმორისტულ ჟანრს განეკუთვნება, ვიდრე სახელმწიფოს მართვის რთულ და სერიოზულ სტრატეგიას.

აბა როგორ შეიძლება სერიოზულად აღიქვა სახელმწიფო მინისტრად ადამიანის დანიშვნა, მხოლოდ იმ „დამსახურების“ გამო, რომ ე.წ. ეგზიტპოლებში საოცარი ციფრები აჩვენა, ან როგორ შეიძლება არ გაგეცინოს ახალ სამსახურზე, რომელსაც „დიასპორების სახელმწიფო მინისტრი“ უხელმძღვანელებს (მე ბოდიშს ვიხდი ბატონი იულონის ჭალარისა და მისი მეცნიერული დამსახურებების წინაშე, მაგრამ საზოგადოებრივი მაუწყებლის ლოგო და ეგ სამსახური, ერთი და იმავე კაცის მოგონილი მგონიაძ.

„დემოკრატიული პრინციპებითა“ და „ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებით“ აღზრდილი რომელიმე ევროპელი შეიძლება ვერ მიხვდეს, თუ რატომ გახდება ამ დანიშვნებით პროკურატურა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი რგოლი, ან იუსტიციის სამინისტრო – პროკურატურის დანამატი, მაგრამ ჩვენ, ქართველებმა ძალიან კარგად ვიცით.

ასევე ძალიან კარგად ვიცით, თუ რას გააკეთებს ქართული განათლებისთვის „გრანტების პირუთვნელად გამნაწილებელი პოლიტოლოგი“, რომლის მიერ დაცული დისერტაციების თემები „პოლიტიკური სისტემის ცვლილებისას“ ადამიანის „მოქნილობის“ „შესაშურ ნიმუშს წარმოადგენს“

ძალიან კარგად ვიცით და ამიტომაც იყო წუთიერი დუმილი ტელევიზორებთან ახალი კაბინეტის გამოცხადების დროს. შემდეგ სახეზე შეყინული დაბნეული ღიმილით ამოოხვრა და ნიკანდრო ქილიას ცნობილი ფრაზის ჩალაპარაკება: „დედა, რა იყო ეს, ა?“

მეორე დღეს სხვადასხვა ვერსია ტრიალებდა საზოგადოებაში.

ზოგიერთები ამბობდნენ, ეს „გარდამავალი პერიოდია“ საპარლამენტო არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ ნამდვილ, კარგ მთავრობას მივიღებთო.

„გარდამავალი პერიოდის“ ხსენებაზე ანდროპოვის შემდგომი პერიოდი გამახსენდა. მაშინაც ასე მოხდა. ძალიან დაძაბული ორი წლის შემდეგ საჭირო იყო ძალთა გადანაწილება, კულუარული ბრძოლები და ამიტომაც ჩერნენკოს „გაგენმდივნობა“ გახდა საჭირო. იმ პერიოდში ყველაფერი გადანაწილდა, დალაგდა და საბჭოთა კავშირმა „პერესტროიკა“ მიიღო.

ერთის შეხედვით ასეც არის. წინ საპარლამენტო არჩევნებია. მიმდინარეობს ძალთა გადანაწილება. ჩახლართული კულუარული ინტრიგები, როგორც შიდა პარტიულ სტრუქტურებში, ასევე გარეთაც. ხელისუფლებას მაინცდამაინც მყარი პოზიციები არ გააჩნია („ეგზიტპოლჩიკები“ გამინისტრდნენ და მარტო მათიას იორშის იმედზე ჩემი მტერი იქნაძ. ხაზინაც რიგითი ქართველის ჯიბესავით გამოიყურება. ამ ფონზე კი საფინანსო-ეკონომიკური ბლოკისა და ძალოვანი სტრუქტურების შეცვლა არანაირ ლოგიკაში არ ჯდება. თუ მომავალი არჩევნებისას ისინი თავს „გამოიჩენენ“, მაშინ მათ არაფერი არ ემუქრებათ, ხოლო თუ ვერა, მაშინ ო.ო.ო....

ზოგიერთები ამბობენ, ეს „დროებითი მთავრობაა“ და „ყველა ჯოხი“ მათზე გადატყდებაო.

ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯებით თუ ვიმსჯელებთ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მათ აღარ უნდათ საქართველოში ცხოვრება და უბრალოდ მიზეზს ეძებენ წასასვლელად.

პირდაპირ წასვლა არ გამოდის, ორმაგად „უხერხულია“. აბა როგორ გინდა სოროსს ჩახედო თვალებში და უთხრა „ვერ გავძელი არაცივილიზებულ, მართლმადიდებლურ, განუვითარებელ საქართველოში და წამოვედიო“. ან იმათ რა პასუხს აძლევ, ვინც შენი ბრძანებით „მუხლჩაუხრელად“ ანგრევდა სახლებს, აყალბებდა არჩევნებს და ათასგვარ საზიზღრობას სჩადიოდა.

ჰოდა, „დროებითი მთავრობის“ გაგონებაზე გაქცეული კერენსკი გამახსენდა (გაქცევის ფორმას შეგნებულად არ ვახსენებ. უხერხული მგონია რატომღაცძ. (სხვათა შორის, ნოლაიდელის პრემიერ-მინისტრობაზეც ამბობდნენ, დროებითიაო, მაგრამ „კაი“ სამი წელი გაძლოძ.

ამ ჩვენი ოპოზიციის კი ნამდვილად მიკვირს. რას ერჩიან მიხეილ სააკაშვილს. თქვა კაცმა, ვითანამშრომლოთო და თანამშრომლობს კიდეც. ასე რომ არ იყოს, ასეთ მთავრობას წარადგენდა? ყველანაირად ოპოზიციის წისქვილზე დაასხა წყალი პრეზიდენტმა. ამაზე „უკეთეს „პადარკას“ ნამდვილად ვერ ინატრებდა ვერც ერთი ჩოგბურთელი. მაგარი „სატოპკე აუწია“ სააკაშვილმა ოპოზიციას. ძალიან მაგარი. წესით ოპოზიციამ არ უნდა გაუშვას ხელიდან ეს შანსი და კიდევ ერთი „სეტი“ უნდა მოიგოს.

ჰოდა, თუ მართლაც ისე ხდება, როგორც რეალითი-შოუებში ამბობენ, „ყველაფერს ხალხი წყვეტსო“, ჩვენ, ხალხმა უნდა გადავწყვიტოთ როგორი მთავრობა გვეყოლება.

ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, თუნდაც იმიტომ, რომ კუკარაჩასავით არ მოგვიწიოს თქმამ „ახია ჩემზეო“.

**გია გაბრიჭიძე**

**◎ ინფორმაცია**

## გაერთიანებული ოპოზიცია დღეს მემორანდუმს გამოაქვეყნებს

**გაერთიანებული ოპოზიცია, სავარაუდოდ, მემორანდუმს გამოაქვეყნებს, რომელშიც სამი ძირითადი მოთხოვნა შევა.**

როგორც ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა **გია ცაგარეიშვილმა** განაცხადა, მათ სამი ძირითადი მოთხოვნა აქვთ.

– ეს მოთხოვნებია, საარჩევნო ადმინისტრაციისა და კანონმდებლობის შეცვლა, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 10 წევრამდე გაზრდა და პარიტეტული პრინციპით დაკომპლექტება, აგრეთვე, შინაგან საქმეთა სამინისტროზე ზედამხედველი საბჭოს შექმნა. ყველა სხვა მოთხოვნა მათგან გამომდინარეობს, – აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

არ არის გამორიცხული, მემორანდუმს კიდევ რამდენიმე საკითხი დაემატოს.

## ნატოს შემფასებელთა მისია თბილისში

**ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინფორმაციით, დელეგაცია ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის რიგით მესამე შეფასებას განახორციელებს.**

28-31 იანვარს ნატოს შემფასებელთა მისია შეხვედრებს გამართავს საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებში განიხილავენ გეგმით გათვალისწინებული რეფორმების შესრულების მდგომარეობას, ასევე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, სამოქალაქო-საგანგებო დაგეგმვის, ინფორმაციის უსაფრთხოების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, განათლების და მეცნიერების, ეკონომიკური პოლიტიკისა და რესურსების მართვის საკითხებს. უექსპერტები იმსჯელებენ თავდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმებზეც.




31 იანვარს ნატოს შემფასებელთა მისიის წარმომადგენლები მთავრობის კანცელარიაში საქართველოს ვიცე პრემიერ-მინისტრ გიორგი ბარამიძეს შეხვდებიან და შემაჯამებელ შეხვედრას გამართავენ.

## რისთვის უნდა მოვუხადოთ ბოდიში ოსებს?

**სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლება ძალის გამოუყენებლობის შესახებ მემორანდუმის ხელმოწერამდე კონფლიქტის ზონის რეაბილიტაციაზე საქართველოს ხელისუფლებასთან თანამშრომლობას არ აპირებს.**

როგორც გამოცემა „კავკაზსკი უზელი“ იუწყება, ოსური მხარე კიდევ ერთ პირობად „20-იან და 90-იან წლებში ოსი ხალხის გენოციდის“ გამო ქართული მხარის მიერ სახალხოდ ბოდიშის მოხდას მოითხოვს.

ამის შესახებ დე ფაქტო მთავრობის პრესსამსახურის უფროსმა ზარინა სანაკოევამ სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული საკითხების საქართველოს მთავრობასთან არსებული ჯგუფის ხელმძღვანელის ალანა გაგლოევას განცხადების კომენტირებისას აღნიშნა. გაგლოევას თქმით, საქართველოს ხელისუფლება ერთობლივი პროექტების განხორციელების შესახებ მოლაპარაკებების დასაწყებად მზად არის.

თბილისი, იმის ნაცვლად, რომ ოსი ხალხის წინაშე საკუთარი დანაშაული აღიაროს, პიარ კამპანიას აგრძელებს. სანამ მიხეილ სააკაშვილი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე რეიტინგს იმაღლებდა, მისმა ხელქვეითებმა კამპანია თბილისში დაიწყეს, – განაცხადა სანაკოევამ.

**ინტერპრესნიუსი**

● იმ მონაცემების საფუძველზე, რაც ნანახი მაქვს მედიის საშუალებით, საპროტესტოდ განწყობილი ხალხის რაოდენობა აღემატება იმ ხალხის რაოდენობას, ვინც მხარს უჭერს ხელისუფლებას და არა პირიქით



## კითხული კაცის აზრი

*კონსტიტუციური სამართლის პროფესორი ვახტანგ ხმალაძე სულ ოპოზიციაშია, ამაზე თვითონაც ხუმრობს, რაც ფიქრი დავიწყე, ყველა ხელისუფლებას ოპონირებას ვუწევ, კომუნისტებიდან მოყოლებულიო; თუმცა არა იმიტომ, რომ უბრალოდ განსხვავებული აზრია საჭირო, არამედ იმიტომ, რომ პრინციპულ საკითხებზე სხვაგვარი ხედვა აქვს და ბუნებრივია, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებსაც თავისებურად აფასებს:*

*— შეუძლებელია ქვეყანაში იყოს ისეთი მდგომარეობა, რომ ყველა კმაყოფილი დარჩეს. ზოგისთვის არსებული მდგომარეობა ასატანია, ზოგისთვის აუტანელი, მთავარია, როგორია თანაფარდობა და ასევე მთავარია — რა არის უკმაყოფილების ძირითადი მიზეზი.*

*ცუდია, როცა ადამიანს შია, სცივა, შემოსავალი არა აქვს, მომსახურების დეფიციტია და სხვა ყოფითი საკითხები მოუგვარებელია. ამას ადამიანები განიცდიან, თუმცა იმის გათვალისწინებით, თუ როგორია ქვეყნის შესაძლებლობა, ასეთ რამეებს გაგებით ეკიდებიან. არის სხვა ღირებულებები, რომელიც უკვე საზოგადოებისთვის მიუღებელია. ეს არის ადამიანებს შორის ურთიერთდამოკიდებულება და ასევე, ხელისუფლების დამოკიდებულება მოსახლეობის მიმართ. ხელისუფალთ ავიწყდებათ თავიანთი ვალდებულება — ემსახურონ ხალხს, ჰგონიათ, რომ ხალხი უნდა ემსახუროს მათ, მათ შორის კი უზარმაზარი ხრამი ჩნდება. ხელისუფლება არის ადამიანთა დიდი რაოდენობა, რომელთაც ჰყავთ ოჯახი, ახლობლები, რომლებიც ასევე სარგებლობენ არამართლზომიერი სიკეთეებით და უკვე საზოგადოებაც ორად იყოფა.*

# „ცესკო ვალდებულია უბნის შედეგები გადაამოწმოს ეჭვის საფუძველზეც კი“

**— თქვენ გულისხმობთ იმ თანაფარდობას, რაც საპრეზიდენტო არჩევნებისას გამოვლინდა?**

— ჩემი აზრით, იმ მონაცემების საფუძველზე, რაც ნანახი მაქვს მედიის საშუალებით, საპროტესტოდ განწყობილი ხალხის რაოდენობა აღემატება იმ ხალხის რაოდენობას, ვინც მხარს უჭერს ხელისუფლებას და არა პირიქით, როგორც ეს არჩევნების ოფიციალურმა შედეგმა აჩვენა.

კრიტიკული განწყობა ჩამოყალიბდა იმის მიუხედავად, რომ ქვეყანაში ბევრი რამ ხელშესახებად გაუმჯობესდა და რასაც ლამის ყოველდღიურად გვახსენებს ხელისუფლება. და მაინც, ოფიციალური მონაცემებითაც კი 50 პროცენტზე მეტი სიღარიბის ზღვარზე იმყოფება. მართალია გვაქვს შუქი, ბუნებრივი გაზი, გაუმჯობესდა გზები, გაიზარდა შემოსავლები, მაგრამ რის ხარჯზე? ან ამ შემოსავლებით შეიძლება გადასახადების გადახდა, ამ ფულით რამდენის შეძენა არის შესაძლებელი? მაინც ვთქვათ, რომ მატერიალური თვალსაზრისით მდგომარეობა გაუმჯობესდა. რაზეც ჩვენ ვილაპარაკეთ ეს ყველაფერი იზომება. არ იზომება — ღირსება, სამართლიანობა, კეთილშობილება. ამ ღირებულებათა წონა დიდია. ჩვენთან არსებული მდგომარეობის სიმძაფრე და პოლიტიკური დაპირისპირება სწორედ ხელისუფლების მხრიდან ადამიანებისადმი ღირსების ხელყოფამ გამოიწვია.

თუ ნოემბრის მიტინგზე გაივლიდით და დააკვირდებოდით ადამიანებს, ყურადღებას მიაქცევდით, რომ ვიზუალურად მაინცდამაინც ღატაკად არც ერთი არ გამოიყურებოდა.

**— არც მოთხოვნები ჰქონდათ სოციალური ხასიათისა...**

— დიახ. მატერიალური ხასიათის მოთხოვნები არ ყოფილა, მორალური ხასათის მოთხოვნების დაკმაყოფილებას კი ფული არ სჭირდება, სჭირდება ნება. იმას, რომ უღირსად არ მოექცე ადამიანებს, სჭირდება მორალი, თვითშეგნება და ზნეობა. ჩვენ „სიკეთეების“ კეთებაში ხელისუფლებას ფულს ვუხდით, მაგრამ თუკი არ გაგვიკეთებს. ეს იწვევს პროტესტს.

**— მიუხედავად ხალხის დიდი პროტესტისა, შედეგს მივაღწიეთ?**

— ჩვენ ვერ მივიღეთ ფორმალური შედეგი. პირველი ტურის მიხედვით სააკაშვილის პეზიდენტად გამოცხადება არ იყო სამართლიანი, ერთი მარტივი მიზეზის გამო. არ შემოწმდა და სამართლიანად არ იქნა განხილული ის პრეტენზიები, რომელიც არსებობდა სხვადასხვა უბანზე არჩევნების გამართვის კანონიერებასთან დაკავშირებით. რომ განხილულიყო და განხილვის შედეგად აღმოჩენილიყო, რომ პრეტენზიები არ არის საკმარისი მეორე ტურის დასანიშნად, ოპოზიცია ხმასაც ვერ ამოიღებდა. მაგრამ არაა განხილული და ბუნებრივია, ეჭვი დარჩა.

და მაინც, საპროტესტოდ განწყობილმა საზოგადოებამ მიაღწია შედეგს იმ თვალსაზრისით, რომ მოხდა საზოგადოების კონსოლიდაციის დონის ზრდა. მეორე შედეგი ისაა, რომ სიყალბის დონე იყო უფრო დაბალი, ვიდრე ადრე. ასევე ხალხმა დაინახა, რომ თუკი მოინდომებენ, მიაღწევენ შედეგს და მე მგონი, ეს ასახვას ჰპოვებს საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე.

**— ბატონო ვახტანგ, არჩევნების შედეგების სამართლიანობაში ეჭვი გეპარებათ, უფრო დაწვრილებით ხომ არ იტყოდით ამ დარღვევებზე? ცესკოში ამბობენ, ოპოზიციამ დოკუმენტურად ვერ დაასაბუთა პრეტენზიებიო...**

— არსებობს კანონის ფორმალური გაგება და არსებობს კანონის არსებითი გაგება. საარჩევნო კოდექსში წერია, რომ თუ საჩივარში მოყვანილი არგუმენტი ისეთია, რომ საარჩევნო უბნის შედეგების გადამოწმებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს არჩევნების შედეგებზე, კომისია ვალდებულია, გახსნას და შეამოწმოს საარჩევნო უბნის შედეგი. ბევრი საარჩევნო უბანი იყო გაპროტესტებული. მრავალ საჩივარზე კი უარი ითქვა იმის გამო, რომ დარღვეული იყო საჩივრის წარდგენის წესი. კანონი ამბობს, რომ თუ საჩივარი კანონის დარღვეული პროცედურით იქნა წარდგენილი, ის არ განიხილება. თუ საჩივარი არჩევნების დღესვე არ დაიწერა და დარეგისტრირდა, მერე ვერ გაასაჩივრებ, როცა პარტიებმა თავი მოუყარეს საჩივრებს, რომლებიც არჩევნების დღეს დაიწერა, (მაგრამ კომისიის თავმჯდომარეებმა არ მიიღეს (!ძ და გაასაჩივრეს, უთხრეს დაგვიანებულიაო.

ცესკოში ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა დასვა უბნის შედეგის გადამოწმების საკითხი. მას ამის უფლებას კანონი ანიჭებს, მაგრამ საკითხი — შემოწმდეს თუ არა უბანი კენჭისყრაზე დგება.

გადაწყვეტილება ასეთი იყო: 6 მომხრე, 7 წინააღმდეგი. ვინ იყო ის შვიდი? პარლამენტის არჩეული ექვსი წევრი (მათ შორის კომისიის თავმჯდომარეძ და ერთი ნაციონალების დანიშნული წევრი. მათ კანონის ფორმალური მხარე გამოიყენეს და არა კანონის არსებითი მხარე: ის, რომ შედეგი იყოს სამართლიანი, ანუ ხშირად ის, რაც ფორმალურად კანონიერია, არ არის სამართლიანი. რა მოხდებოდა თუ უბანი შემოწმდებოდა? სრულებით არ არის აუცილებელი საჩივრის არსებობა. საარჩევნო ადმინისტრაცია ვალდებულია ყოველთვის, ყველგან, სადაც არსებობს ეჭვი, შეამოწმოს და ან დაადასტუროს ან გააქარწყლოს ეს ეჭვი. როცა ის არ ცდილობს სიმართლის დადგენას, ამისთვის ფორმალურ მხარეს იშველიებს — ეს ფაქტი არ გაუსაჩივრებიათო, ან დაირღვა გასაჩივრების წესიო და ა.შ. და არ იყენებს ვალდებულებას, გაარკვიოს სიმართლე, ასეთი კომისია უკვე არსებითად არღვევს კანონს.

რადგან სწორედ სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენლები ამბობდნენ გადამოწმებაზე უარს, როგორც ჩანს, ეს მათ სასარგებლოდ კეთდებოდა. დარწმუნებით ვერავინ იტყვის, გადამოწმების შედეგად როგორი შედეგი იქნებოდა, მაგრამ ეჭვი ხომ გაჩნდა? — ამ ეჭვზე პასუხი გაუცემელია.

**— არჩევნებში გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით, განსაკუთრებული კრიტიკული დამოკიდებულებით ყოფილი იუსტიციის მინისტრი ეკა ტყეშელაშვილი გამოირჩეოდა...**

— ამას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის არის პოლიტიკური ფიგურა და ნაციონალური პარტიის წევრი. მისი გენპროკურორად გადაყვანა არ ნიშნავს იმას, რომ ის ერთბაშად პოლიტიკური აზროვნებისაგან დაიცლება. პროკურატურა კი აპოლიტიკური უნდა იყოს თავისი არსით. ვინმეს უნდა დამარწმუნოს იმაში, რომ დღევანდელი შინაგან საქმეთა მინისტრი ან ახალი გენპროკურორი ობიექტური იქნებიან და დაიწყებენ კანონის დამრღვევთა დასჯას??

საზოგადოებას ყველაზე მეტი პრეტენზია ძალოვანი სტრუქტურის მიმართ ჰქონდა. მიუხედავად სამთავრობო გადაადგილებებისა, სამართლიანობის თვალსაზრისით ქვეყანაში პრაქტიკულად არაფერი შეიცვლება.

ესაუბრა
**თეა მოსია.**

## მოთხოვნა

# მოსახლეობას ელექტროენერგიის საფასურს ზედმეტად ახდევინებენ

**ლეიბორისტული პარტია ხელისუფლებისგან დენის დიფერენცირებული ტარიფის გაუქმებას და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პარტიის სარჩელით დადგენილი ტარიფის დაბრუნებას ითხოვს.**

ლეიბორისტული პარტიის ოფისში პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა პაატა ჯიბლაძემ პრესკონფერენცია გამართა, რომელიც იანვრის თვეში დარიცხულ ელექტროენერგიის ტარიფს მიეძღვნა.

ჯიბლაძის განცხადებით, იანვრის თვეში მოსახლეობამ „თელასისგან“ გაზრდილტარიფიანი ელექტროენერგიის გადასახადი მიიღო, რაც იმით იყო განპირობებული, რომ ანარიცხის დათვლა არა 24 დღის განმავლობაში, არამედ 30-ზე მეტი კალენდარული დღით მოხდა. აღნიშნული ფაქტის გამო, მოსახლეობას თვის განმავლობაში დახარჯული მეტი ელექტროენერგია დაუგროვდა, რის გამოც დენის საფასურის გადახდა მომატებული ტარიფით მოუწევს.

30-ზე მეტი კალენდარული დღის ანარიცხმა ის შედეგი გამოიღო, რომ მოსახლეობის იმ ნაწილს. რომელიც ერთ კილოვატ ელექტროენერგიაში 16 თეთრს იხდიდა, 18 თეთრამდე თანხის გადახდა მოუწევს, ხოლო მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ყოველთვიურად 100 კვ/სთ-ის ელექტროენერგიის დახარჯვის გამო ერთ კვ-ზე 13 თეთრზე მეტის გადახდა უწევდა, 16 თეთრს გადაიხდის. ტექნიკურად გაზრდილი დენის ტარიფის გამო თითოეული ოჯახი, სულ მცირე, 10-15 ლარით დაზარალდება, — აღნიშნა ჯიბლაძემ.

მისივე თქმით, პრეზიდენტი სააკაშვილი, რუსულ ოლიგარქებთან ერთად, მოსახლეობას ძარცვავს და საარჩევნო კამპანიის დროს დახარჯული თანხის ისევ მოსახლეობისგან ამოღებას ეწევა.

ჯიბლაძემ მიმართა ხელისუფლებას, მოახდინოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2001 წელს მათი სარჩელის საფუძველზე დადგენილი 12,18-თეთრიანი დენის ტარიფის აღდგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში, „ლეიბორისტული პარტია“ პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის ხელმძღვანელის სახლების, ასევე „თელასის“ და სემეკ-ის ოფისების ბლოკირებას მოახდენს.

როგორც ჯიბლაძემ განაცხადა, დენის ტარიფის დიფერენცირება სემეკ-მა პრეზიდენტ სააკაშვილის მოთხოვნით მოახდინა. დღეისთვის მოსახლეობა 101 კვ/სთ-ზე მეტი ელექტროენერგიის მოხმარების შემთხვევაში 1კვ/სთ-ზე 16 თეთრს, ხოლო 301-ზე მეტ კვ/სთ-ის დახარჯვის შემთხვევაში — 18 თეთრს.

**ინტერპრესნიუსი**

# ოპოზიციის კონსულტაციები დიპლომატიურ კორპუსთან

**ოპოზიციამ იმ მემორანდუმის შინაარსთან დაკავშირებით, რომელიც დღეს უნდა გამოქვეყნდეს, კონსულტაციები დიპლომატიურ კორპუსთან გაიარა.**

დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრას პარლამენტში, გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლების გარდა, „მემარჯვენეების“ წევრი მამუკა კაციტაძეც ესწრებოდა.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ოპოზიციის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, მათ დიპლომატიურ კორპუსს გააცნეს მემორანდუმის ტექსტი და კონსულტაციაც გაიარეს.



დეპუტატ გია ცაგარეიშვილის თქმით, მემორანდუმის ტექსტი დღეს გამოქვეყნდება და თუ 15 თებერვლამდე ხელისუფლება მემორანდუმში დაფიქსირებულ საკითხებზე დიალოგს არ დაიწყებს, მიიღებს 500 000-კაციან მანიფესტაციას, რომელიც აღარ დაიშლება.

**ინტერპრესნიუსი**

● მე, როგორც მოქალაქე ვემორჩილები ხალხის უმრავლესობის ურყევ ნებას. ხალხის ნებას უნდა დაემორჩილოს როგორც ერიც ისე ბერიც. ხაზს ვუსვამ ბერიც! ამას მოითხოვს საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 5



◉ არის ასეთი აზრიც

*„საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტის ინტერვიუ პროფესორ ბიძინა სავანელთან, რომელიც არის სამართლის და სოციოლოგიის ევროპული ასოციაციის წევრი (პარიზიძ, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სწავლების ცენტრის პრეზიდენტი (თბილისიძ, ნიუ იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრი (ნიუ-იორკიძ, ადამიანის უფლებათა ფილოსოფიური საზოგადოების დამფუძნებელი წევრი (ნევადაძ*

# ბატონი ლევან გაჩეჩილაძე არის საქართველოს დე ფაქტო პრეზიდენტი

**— საერთაშორისო სამართლის ძალით აქვს თუ არა ხალხს აჯანყების უფლება, და თუ აქვს რა შემთხვევაში?**

— საქართველომ 1991 წელს აღიარა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რითაც ხელისუფლებამ ერთა თანამეგობრობის და საქართველოს მოქალაქეების წინაშე ვალდებულება იკისრა, რომ დაიცავდა დეკლარაციით გათვალისწინებულ ადამიანის უფლებებს.

**დეკლარაციის პრეამბულის თანახმად: „იმისათვის, რომ ადამიანი იძულებული არ გახდეს, მიმართოს აჯანყებას როგორც უკიდურეს საშუალებას ტირანიის და ჩაგვრის აღსაკვეთად, აუცილებელია, რომ ადამიანის უფლებები დაცული იქნას კანონის უზენაესობით“.**

საქართველოში უზენაესი კანონია კონსტიტუცია, რომელიც ავალდებულებს პრეზიდენტს იყოს ადამიანის უფლებათა გარანტი. თუ პრეზიდენტი არ ასრულებს თავის კონსტიტუციურ მოვალეობას, და უფრო მეტი, იქცევა ტირანად და მჩაგვრელად, მაშინ დეკლარაციის პრეამბულის, და აქედან გამომდინარე საქართველოს კონსტიტუციის მეექვსე და მეშვიდე მუხლების თანახმად, ხალხს აქვს აჯანყების უფლება როგორც უკიდურესი საშუალება ტირანიის და ჩაგვრის აღსაკვეთად. აქვე დავსძენ: საერთაშორისო სამართალი განასხვავებს სახალხო აჯანყებას და შეიარაღებულ აჯანყებას.

**— რა იგულისხმება ტირანიის და ჩაგვრის ქვეშ?**

— დასავლეთის ავტორიტეტული ლექსიკონები პრინციპში ერთნაირად განმარტავენ „ტირანიას“ და „ჩაგვრას“.

მაგალითად, ოქსფორდის უნივერსიტეტის ინგლისური ენის ლექსიკონი „ტირანიის“ ასეთ განმარტებას იძლევა. „ტირანია: 1. სასტიკი ან უსამართლო ხელისუფლება; 2. მმართველობის ფორმა, რომლის დროს მმართველს უზურპირებული აქვს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებები; 3. ხელისუფლების ფლობა ძალადობაზე დაყრდნობით ან მისი უსამართლო გამოყენება.“ (იხ. *Oxford Dictionary. Second low edition. Oxford, 1998, p. p. 679d.*

იგივე ლექსიკონი „ჩაგვრის“ შემდეგ განმარტებას იძლევა. „ჩაგვრა: 1. ხალხის სასტიკი ან უსამართლო მართვა; 2. ხალხის უსამართლო ან სასტიკ მდგომარეობაში ყოფნა.“ (იხ. *Oxford Dictionary. Second low edition. Oxford, 1998, p. p. 441d.*

**— გამომდინარე ზემოაღნიშნული განმარტებებიდან, იყო თუ არა სააკაშვილი ტირანი და მჩაგვრელი პრეზიდენტი?**

— ჩემი აზრით, არის თუ არა სააკაშვილი ტირანი და მჩაგვრელი, ამ კითხვაზე ავტორიტეტული არასამთავრობო საერთაშორისო ან ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ მთელი ქვეყნის მაშტაბით ჩატარებული ხალხის გამოკითხვის შედეგად შეიძლება პასუხი გაეცეს ზემოაღნიშნული განმარტების მოშველიებით.

**— კონკრეტულად, ტირანიასა და ჩაგვრაში რა იგულისხმება?**

კონკრეტულად, ტირანიასა და ჩაგვრაში იგულისხმება ადამიანის უფლებების აღმაშფოთებელი დარღვევები. ეს საყოველთაოდ აღიარებული დებულებაა.

**— ჰქონდა თუ არა ადგილი ადამიანის უფლებების აღმაშფოთებელ დარღვევებს სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს?**

ამ კითხვაზე პასუხი არსებითად გაცემული მაქვს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ წინა კვირის ერთ-ერთ ნომერში ჰიპოთეტური საბრალდებო დასკვნის ფორმით.

**— ვინ შეაფასებს იმას, ჰქონდა თუ არა ადამიანის უფლებების აღმაშფოთებელ დარღვევებს ადგილი ანუ ტირანიას და ჩაგვრას ხელისუფლების მხრიდან?**

— გარდა ხალხისა არავის, მათ შორის, არც ხელისუფლებას, არც ოპოზიციას, უფლება არ აქვს ილაპარაკოს ხალხის სახელით.

**— როგორ შეიძლება დადგინდეს არის თუ არა ხელისუფლება ტირანი და მჩაგვრელი? რა ფორმით შეუძლია გამოხატოს ხალხმა თავისი დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ?**

— საქართველოს კონსტიტუციის მეხუთე მუხლის შესაბამისად: ხალხი აფასებს ხელისუფლებას, უპირველეს ყოვლისა, უშუალო დემოკრატიის სხვადასხვა ფორმებით, როგორიც არის მაგალითად, რეფერენდუმი, აზრის გამოხატვის სხვადასხვა საშუალებები, მაგალითად მასობრივი მიტინგები, მანიფესტაციები და ა.შ.

**— რა სამართლებრივი სტანდარტი არსებობს, რათა მშვიდობიანი გზით აღკვეთილი იქნას სახალხო აჯანყება ანუ დაპირისპირება ხალხსა და პრეზიდენტს შორის?**

— ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ოცდამეერთე მუხლის თანახმად, ასეთი დაპირისპირების აღკვეთის უებარი საშუალებაა (მომყავს უცვლელად დეკლარაციის მიერ გამოყენებული ტერმინიძ: „გაუყალბებელი, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები“. მაგრამ საქართველოში დღეს ამის რამდენიმე 5 წინა პირობა არსებობს, რომლის შესრულების გარეშეც ხალხი არ უნდა დათანხმდეს საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას. ეს 5 წინაპირობა შემდეგია.

საქართველოს პარლამენტმა:

- პროკურატურა დააბრუნოს სასამართლო სისტემაში;
- პრეზიდენტს ჩამოერთვას მოსამართლეთა დანიშვნის და განთავისუფლების ექსკლუზიური უფლება, და ასეთი უფლება უნდა მიენიჭოს იუსტიციის საბჭოს იმ პირობით, თუ ის დაკომპლექტდება ხალხისთვის მისაღები ავტორიტეტული მოსამართლეებისა, ასეთივე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სახალხო დამცველისგან;
- განაცალკევოს უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროები;
- საარჩევნო კოდექსი მოიყვანოს შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან და საერთაშორისო დამკვირვებელთა რეკომენდაციებთან.

ეს პირობები უნდა შეასრულოს საქართველოს პარლამენტმა **თებერვლის (!ძ თვეში.**

პროკურატურამ ამის შემდეგ:

- დაუყოვნებლივ აღძრას სისხლის სამართლის საქმეები დანაშაულთა გამო გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 153, 154, 161, 164-1. 164-3 მუხლების საფუძველზე და დაიწყოს გამოძიება.

**— თქვენი აზრით, ჩატარდა თუ არა გაუყალბებელი, თავისუფალი და სამართლიანი საპრეზიდენტო არჩევნები?**

— ჩემი აზრით, ხალხმა 5 იანვრის შემდეგ არაერთხელ გამოხატა თავისი ურყევი ნება. ალტერნატიული ნება გარეთ გამოსული ხალხის ასეთი დიდი მასისგან მე არ გამიგია. მე, როგორც მოქალაქე ვემორჩილები ხალხის უმრავლესობის ურყევ ნებას. ხალხის ნებას უნდა დაემორჩილოს როგორც ერიც ისე ბერიც. ხაზს ვუსვამ ბერიც! ამას მოითხოვს საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 5.

აქედან გამომდინარე, საქართველოს დე ფაქტო პრეზიდენტია ბატონი ლევან გაჩეჩილაძე, რომელიც გახდება დე იურე პრეზიდენტი ხმების სამართლიანი გადათვლის შემდეგ. (დე ფაქტო არის დე იურედ აღიარების ეტაპიძ.

**— როგორი იქნება თქვენი დასკვნა ყველა ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე?**

— ამრიგად, თუ ხელისუფლების მხრიდან ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა ჩემ მიერ აღნიშნულ დარღვევებს და მან ეს დარღვევები საკანონმდებლო წესით თებერვალში არ გამოასწორა, მაშინ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად ხალხს აჯანყების უფლება უდავოდ ექნება.

◉ განცხადება

# საზოგადოება კიდევ ერთხელ მოატყუეს

**„ქართულმა აკადემიამ“ საგანგებო განცხადებებით გამოხატა თავისი პრინციპული პოზიცია, როგორც 2008 წლის საარჩევნო პროცესების, ისე, განსაკუთრებით, მისი შედეგების გამო და იგი გამოხატავს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის ნებას, როდესაც არ ცნობს ხელისუფლებაში ძალადობრივი მეთოდებით, არალეგიტიმურად დაბრუნებული ნაციონალების მმართველობას, მათ შორის, იმ „განახლებულ“ სამთავრობო გუნდსაც, რომელიც მხოლოდ ხელისუფლების არალეგიტიმური მდგომარეობის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებაა და სხვა არაფერი.**

**მაგრამ უნდა ითქვას, რომ საზოგადოების ნაწილმა დაიჯერა ყოფილი პრეზიდენტის წინასაარჩევნო და შემდეგ საინაუგურაციო პროპაგანდა, მმართველობის სტილისა და მთავრობის მომავალ „გადემოკრატიულებასთან“, პროფესიული ნიშნით მის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით და მოუთმენლად ელოდა დაპირებულ ცვლილებებს.**

**მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის შემოთავაზებულმა მეტამორფოზამ თვალნათლივ დაანახა ყველას, რომ ცვლილებები თუ გადანაცვლებები ხელისუფლებაში მხოლოდ საზოგადოების კიდევ ერთხელ მოტყუებას ისახავს მიზნად, ხოლო სინამდვილეში ნაცმოძრაობის რეჟიმის ნამდვილი არსი და სულისკვეთება არ იცვლება. მეტიც, მასში პოზიციები კიდევ უფრო განიმტკიცა იმ ინსტიტუტებმა, რომელთა ზრახვები და დამოკიდებულება საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესებისადმი უკვე საყოველთაოდ არის ცნობილი.**

**განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს ის, რომ პირდაპირ უტიფრად იქნა დემონსტრირებული სამარცხვინო გარიგება მმართველ ძალასა და დაკვეთილი ეგზიტპოლების შემოქმედთა შორის და საეჭვო საზოგადოებრივი რეპუტაციის პირებმა უმაღლესი სახელისუფლო პოსტები მიიღეს საჩუქრად. ხელისუფლების ცინიზმის უფრო შორს წასვლა, ამ საყოველთაო მღელვარების ფონზე, მართლაც შეუძლებელია.**

**„ქართული აკადემია“ საგანგებოდ აღნიშნავს, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრად „არასამთავრობო“ პროფესორის გია ნოდიას წარმოდგენით პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი აგდებული დამოკიდებულება განათლებისა და მეცნიერების ბედისადმი საქართველოში, რაკი ამით მართლაც „შესაფერისი პატრონი“ გაუჩინა ლომაიასეული გრანდიოზული ნგრევის განმტკიცებას ქვეყნის სიცოცხლისათვის ამ უმნიშვნელოვანეს სფეროებში.**

**„ქართული აკადემია“ კატეგორიულად გმობს ხალხის დემოკრატიული ნებისა და ეროვნული ინტერესების აბუჩად აგდების ამ კიდევ ერთ დემონსტრაციას და საზოგადოებას მოუწოდებს, საბოლოოდ გაემიჯნოს ტოტალური სიყალბის ავთვისებიანი სენით დაავადებულ ხელისუფლებას.**

**„ქართული აკადემია“**

# თემა

აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახალ სახელმწიფოთა წარმოქმნის პროცესის შეჩერება შეუძლებელია. შამბა დარწმუნებულია, რომ სახელმწიფოთა საზღვრები მუდმივ ცვლილებებს განიცდის სახელმწიფოთა გაერთიანებისა თუ რღვევის დროს





*გაეროს გენმდივანმა პან გი მუნმა გააკეთა განცხადება კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების პროცესის ჩიხური მდგომარეობის შესახებ. მისივე თქმით, გაერო უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს აფხაზეთში მიმდინარე სამშვიდობო პროცესისთვის მყარი საფუძვლების შექმნაში. საქართველოს ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტს დასამტკიცებლად კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობაზე ექსპერტი თემურ იაკობაშვილი წარუდგინა, სამინისტროს სახელიც გადაერქვა და კონფლიქტების მოგვარება რეინტეგრაციამ შეცვალა.*

*პარალელურად, სტრასბურგში ვიზიტით მყოფმა სააკაშვილმა კონფლიქტებთან დაკავშირებით გააკეთა განცხადება, რომ საქართველო მზად არის, კონფლიქტები რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით, მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით მოაგვაროს.*

*აფხაზეთის შესახებ გაეროს გენმდივნის განცხადებაზე, მოუწესრიგებელ კონფლიქტებთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების ახალ ხედვებსა და ახალი პოლიტიკის შესაძლო კონტურებზე „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგ დავით დარჩიაშვილს ესაუბრა.*

# რუსეთთან კარის გამოჯახუნებები არც მუშაობს და სარისკოც არის



**– ბატონო დავით, როგორ შეაფასებდით აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით გაეროს გენმდივნის განცხადებას?**

– შესაძლოა, ეს განცხადება, გარკვეულწილად, უკავშირდებოდა აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტისთვის ფორმატის შეცვლის მიმართულებით ქართული მხარის გადადგმულ ნაბიჯებს. რუსეთთან განსაკუთრებულად დაძაბული ურთიერთობა ქართულ მხარეს იძულებულს ხდის და, ვფიქრობ სამართლიანადაც, რომ არსებული რაიმე შედეგის არმომტანი ფორმატები, სადაც რუსეთი დომინირებს, შეიცვალოს. ეს ეხება როგორც აფხაზეთს, ასევე ცხინვალის რეგიონს.

პან გი მუნის განცხადება არ ნიშნავს, რომ ვთქვათ, ერთ დღე-ღამეში ეს ფორმატები სრულიად შეიცვლება, მაგრამ თუ ამაზე მეტი ფიქრი და მსჯელობა იქნება, ეს, შეიძლება, ქართული დიპლომატიის გარკვეულ წარმატებადაც მივიჩნიოთ.

**– მცდელობის მიუხედავად, ვერ მივაღწიეთ ორივე რეგიონში სამშვიდობო ოპერაციების ფორმატის შეცვლა. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სტრასბურგში გააკეთა განცხადება, საქართველო რუს სამშვიდობოებს კი არ ერეკება, არამედ სხვათა მონაწილეობის პირობებში მათთვის პოლიციური ფუნქციების გაფართოებაზე ვსაუბრობთო. შევარდნაძის დროსაც იყო სამშვიდობოებისთვის პოლიციური ფუნქციების მინიჭების მცდელობა, მაშინ ეს არ გამოვიდა. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ახლა ამის მიღწევა?**

– შეიძლება, დაახლოებით იგივეზე იყოს საუბარი. შევარდნაძის დროს ამის მცდელობა სავსებით ლოგიკური გახლდათ. ნებისმიერი ქართული ხელისუფლება თვალსაწიერ მომავალში თბილისიდან ამის საჭიროებას დაინახავს, თუ ეს კონფლიქტები არ დარეგულირდა.

იგივე მცდელობები ჰქონდა ზოგჯერ უფრო ენერგიულად, ზოგჯერ უფრო ხისტად სააკაშვილის მთავრობას. ხისტად იმ თვალსაზრისით, რომ (სხვათა შორის, ამ სიხისტეს ოპოზიციაც უწყობდა ხელს) ითხოვდა სამშვიდობოების დაუყოვნებლივ გაყვანას. ეს არ მუშაობს, ეს ასე მალე და სწრაფად ვერ ხდება. კარის მიჯახუნებები ვერ გამოდის უზარმაზარ მეზობელთან, მით უმეტეს, როდესაც ქვეყანა თავის მთავარ ამოცანად ნატოში შესვლას მიიჩნევს, რაც რუსეთს საშინლად არ უნდა. ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის სწორედ ამის გამო ყველანაირად იძაბება. რუსეთს უამრავი ბერკეტი აქვს.

მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ საქართველოში რუსეთი ყველაფერს გეგმავს, რაც კი მოხდება. ასეთი რამ რეალობაში რომ ხდებოდეს, შეუძლებელია, მაგრამ რუსეთი რომ ჩვენი სისუსტეებით სარგებელს პოულობს და სუსტი საქართველო ბევრი რუსი პოლიტიკოსისთვის არის სანატრელი, ეს ფაქტია. ასეთ ვითარებაში რუსეთთან კარების გამოჯახუნებები არ მუშაობს და სარისკოცაა. ეს არ უნდა დასავლეთსაც. დასავლეთისგან პირველი რჩევები რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგებას ეხება.

იხ. 6 გვ.

## პან გი მუნი:

# ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების პროცესი ჩიხშია შესული

**გაეროს გენერალურმა მდივანმა ბან გი მუნმა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში არსებული ვითარება შეაფასა და აღნიშნა, რომ კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების პროცესი ჩიხშია შესული. გენერალური მდივანი უმკაცრესად აფასებს ბოლო პერიოდში არსებულ სიტუაციას, რის მიზეზადაც არსებულ დეზინფორმაციასა და რიტორიკას ასახელებს.**

„როდესაც არსებობს რეალური შიში, გარკვეული სახის დეზინფორმაცია გასაგებიცაა. ამ ფონზე ფაქტების გადამოწმების რეალური საშუალებები არასაკმარისია“, – აღნიშნულია ბან გი მუნის მოხსენებაში.

გენერალურმა მდივანმა მოხსენებაში ყურადღება გაამახვილა ადგილზე არსებულ რეალურ ვითარებასა და მედიისა და ზოგი ოფიციალური პირის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას შორის. ბან გი მუნი მიიჩნევს, რომ ორივე მხარეს მყოფ ადამიანებში გამჯდარია მტრის ხატი, ხოლო პოლიტიკური რიტორიკა პოტენციურად საშიში ესკალაციის პროვოცირებას ახდენს.

გენმდივანი აღნიშნავს, რომ 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებმა ხელი შეუწყო პროვოკაციული რიტორიკის გაჩაღებას, რომელიც რუსი სამშვიდობოების წინააღმდეგ არის მიმართული.

„გაიზარდა ისეთი განცხადებების რიცხვი, რომელიც კონკრეტულად მიმართულია გალის სექტორში დისლოცირებული დსთ-ს სამშვიდობო ძალების საწინააღმდეგოდ. გაეროს მისიის პატრულთა მიერ ჩატარებულმა შემოწმებებმა ცხადყო, რომ ეს განცხადებები უმეტეს შემთხვევაში უსაფუძვლო იყო“, – განაცხადა პან გი მუნმა.

მისივე თქმით, გადამეტებული აღმოჩნდა ქართული მხარის განცხადებები ოჩამჩირის რაიონში სამშვიდობო ძალების რიცხოვნობისა და ტექნიკის ზრდასთან დაკავშირებით, ასევე არარსებულ სროლებზე და თვით მსხვერპლზე, განსაკუთრებით კი ჩეჩნური ბატალიონის შექმნაზე.

გენმდივანი აღნიშნავს, რომ გაეროს მისიამ, ასევე ვერ დაადასტურა გალის რაიონში საგანგებო მდგომარეობის შემოღება და იქ აფხაზური ძალების კონცენტრაცია, მოქალაქეთა მიმოსვლის შეწყვეტა არჩევნების პერიოდში, სახლების გადაწვის ფაქტები სამ სოფელში, რომელიც თითქოს აფხაზურმა ძალებმა განახორციელა რუსი სამშვიდობოების მხარდაჭერით.

ბან გი მუნმა უარყო ინფორმაცია აფხაზური მილიციის მიერ სამშვიდობო ძალების მხარდაჭერით ქართულწარწერიანი საგზაო ნიშნების მიზანმიმართული დაზიანების შესახებ, ასევე ის ფაქტი, რომ იგივე ძალები წვავდნენ ქართულ ენაზე გამოცემულ წიგნებს.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ვითარებას ამწვავებს კოსოვოს ფაქტორის გააქტიურებაც, ვინაიდან ქართული მხარე შიშობს, რომ რუსეთი აფხაზეთთან მიმართებაში აღნიშნული ფაქტორით სპეკულირებს.

„შეშფოთებამ კოსოვოსთან მიმართებაში დამატებითი ასპექტი შემოიტანა ისედაც დაძაბულ ვითარებაში. საქართველოს ხელისუფლებამ რამდენჯერმე ნათლად მიანიშნა, რომ ის ძალიან სერიოზულად ეკიდება საკითხს რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობასთან დაკავშირებით, კოსოვოს სტატუსის განსაზღვრის მიმდინარეობის ფონზე“, – აცხადებს გენმდივანი.

შეგახსენებთ, რომ გაეროს უშიშროების საბჭო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში არსებული ვითარების შესახებ მოხსენებას 29 იანვარს განიხილავს.

## სერგეი შამბა:

# ახალ სახელმწიფოთა წარმოქმნის პროცესის შეჩერება შეუძლებელია



**„აფხაზური საზოგადოება არაერთხელ გამხდარა იმის მოწმე, რომ მხარეთაგან თითოეულს გარკვეულ განცხადებებზე თავის სასარგებლო ინტერპრეტაციას აკეთებს“, – აცხადებს სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადებებისა და საქართველოს პრეზიდენტის ამ განცხადებებზე გაკეთებული კომენტარის კომენტირებისას.**

ეს განცხადება, აფხაზეთის ე. წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა აფხაზური ტელევიზიით გამოსვლისას გააკეთა. სერგეი შამბამ აღნიშნა, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დიპლომატიის დიდი ლოგიკის მიმდევარია, ამ შემთხვევაში კი გადაწყვეტილებები სწრაფად არ მიიღება.

„აფხაზეთის შესაძლო აღიარებაზე საუბრისას ლავროვმა აღნიშნა, რომ ამგვარი გადაწყვეტილების ნაჩქარევად მიღება არ შეიძლება და ამასთანავე, შენიშნა, რომ იქმნება გარკვეული წინაპირობები იმისათვის, რომ ეს პროცესი აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის საერთო მოდელი გახდეს“, – აღნიშნა შამბამ.

აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახალ სახელმწიფოთა წარმოქმნის პროცესის შეჩერება შეუძლებელია. შამბა დარწმუნებულია, რომ სახელმწიფოთა საზღვრები მუდმივ ცვლილებებს განიცდის სახელმწიფოთა გაერთიანებისა თუ რღვევის დროს.

შამბა ხაზგასმით აცხადებს, რომ აფხაზეთს დამოუკიდებლობის მოპოვების ყველა სამართლებრივი საფუძველი აქვს.

„საბჭოთა კავშირის დროს ჩატარებული რეფერენდუმის დროს აფხაზეთმა ხმა საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას მისცა. აფხაზეთს ამავე დროს არ მიუღია მონაწილეობა საქართველოში ჩატარებულ იმ რეფერენდუმში, რომლის შედეგადაც იგი საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოვიდა. ასე რომ, საბჭოეთის დაშლის შემდეგ აფხაზეთი ავტომატურად აღმოჩნდა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ფარგლებს გარეთ“, – გაიხსენა შამბამ და დასძინა, რომ თუკი სეპარატიზმი ეწოდება იმას, რომ აფხაზეთს საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა არ სურს, სადაც იგი აფხაზი ხალხის ნების გათვალისწინების გარეშე სტალინის დროს შეიყვანეს, მაშინ საერთაშორისო საზოგადოებამ არ უნდა დაგმოს სტალინიზმი და არ უნდა ისაუბროს ამ რეჟიმის დესტრუქციულ როლზე.

„სხვათა შორის, გაეროს დადგენილების პირველ თავში ხაზგასმულია „ერთა თვითგამორკვევის უფლება“, – აღნიშნავს შამბა.

შეგახსენებთ, რომ 23 იანვარს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთის ფედერაციას არასოდეს განუცხადებია იმის შესახებ, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემთხვევაში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს აღიარებდა.

# თემა

● ექსპერტები ეჭვით უყურებენ რეინტეგრაციის საკითხს და ამბობენ, რომ, როცა კონფლიქტების მოგვარება ჩიხიდან გამოსული არ არის, რეინტეგრაცია ნაადრევია



## ◎ ექსპერტები ბჭობენ

***არჩევნები დამთავრდა, არჩევნები იწყება... ამ სრულიად პოლიტიზებულ ვითარებაში ყველაზე ანგარიშგასაწევ დასკვნებს ექსპერტები აკეთებენ ხოლმე. მათი შეხედულებები საინტერესოა საზოგადოებისთვის, თუმცა თავად ექსპერტებს ერთმანეთის სუბიექტური აზრების ობიექტურობაში ხანდახან ეჭვი ეპარებათ. ეს დამოკიდებულება ძნელი შესამჩნევი არ იყო, როცა „რია-ნოვოსტის“ სტუდიაში გამართული „მრგვალი მაგიდის“ მონაწილენი – პოლიტოლოგები შალვა ფიჩხაძე, დავით დარჩიაშვილი და რამაზ საყვარელიძე, პროფესორები გიორგი ხუციშვილი, დავით აფრასიძე, გიგი თევზაძე გაცხარებულ კამათში ჩაებნენ. დისკუსიის თემა იყო – „მრგვალი მაგიდა: საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნები და ქართულ-რუსული ურთიერთობის პერსპექტივები“.***

# სადისკუსიოდ: რუსულ-ქართული ურთიერთობა

აზრის სხვადასხვაობის მიუხედავად, ჩავლილი არჩევნების შეფასებისას ექსპერტები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ეს იყო ყველაზე კონკურენტუნარიანი, მაგრამ პრობლემური არჩევნები და იმედი გამოთქვეს, რომ მომავალი არჩევნები უკეთესი იქნება. მათი ვარაუდით, საპარლამენტო არჩევნებზე დიდი უპირატესობით ვერც სახელისუფლებო და ვერც ოპოზიციური ძალები ვერ გავლენ. მთავარია პარლამენტში არ მოვიდეს დომინირებული პარტია და დაბალანსებული სიტუაცია იყოსო, აღნიშნეს მათ.

გიორგი ხუციშვილის აზრით, საზოგადოება ჯერ კიდევ ელოდება 7 ნოემბრის შეფასებას სააკაშვილისგან. ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ის, გაყალბდა თუ არა არჩევნები. ექსპერტებმა ხელისუფლების სტრუქტურულ ცვლილებებზეც იმსჯელეს და აღნიშნეს, რომ ეს საკითხი ქვეყანაში სასიკეთო ცვლილებების ფასადია, თუმცა იქვე გაუჩნდათ ეჭვი – იქნებ მხოლოდ საარჩევნოდ?

საინტერესო ვარაუდი გამოთქვა რამაზ საყვარელიძემ: თუკი მომავალ არჩევნებზე ოპოზიციური ძალები დიდი თანაფარდობით მოხვდებიან პარლამენტში, ისინი აუცილებლად დააყენებენ პრეზიდენტისა და მთავრობის იმპიჩმენტის საკითხს, – თქვა მან, – პრეზიდენტის ყოფნა-არყოფნა საპრეზიდენტო არჩევნებზე იყო დამოკიდებული. აი, საპარლამენტო არჩევნებზე კი დამოკიდებული იქნება პრეზიდენტის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება.

წინ მძიმე არჩევნები გველოდება, მაგრამ რას უნდა მოველოდეთ უკვე ჩავლილი არჩევნებისაგან, განსაკუთრებით ქართულ-რუსულ ურთიერთობებში? – ეს იყო მრგვალი მაგიდის ძირითადი სადისკუსიო თემა.

ექსპერტები ეჭვით უყურებენ რეინტეგრაციის საკითხს და ამბობენ, რომ, როცა კონფლიქტების მოგვარება ჩიხიდან გამოსული არ არის, რეინტეგრაცია ნაადრევია.

**გიორგი ხუციშვილი:** „საინტერესოა, როგორ წარიმართება რუსეთ-საქართველოს დაძაბული ვითარება. რუსეთი კონფლიქტების შემფერხებელია, ამიტომ მისი ალძმა კონფლიქტების მომგვარებლად რთულია. ძნელია დაიჯერო, რომ რუსეთი ამ მიმართულებით სასიკეთო ნაბიჯებს გადადგამს, მაგრამ მთავარია, აღვადგინოთ ნდობა, მიმოსვლა, ეკონომიკური ურთიერთობა და კომუნიკაციები.

**დავით დარჩიაშვილი:** ამ ეტაპზე მთავარია განვსაზღვროთ, თუ რა იყო სწორი და არასწორი სააკაშვილის ქმედებაში რუსეთთან ურთიერთობისას. სწორი იყო მიდგომა, როცა საქართველომ კატეგორიულად მოითხოვა მოლაპარაკების საკითხის გადახედვა, სწორი იყო კოდორის ოპერაცია და სანაკოევის ფაქტორის გაჩენა, ასევე ნატოსთან ინტეგრაციის საკითხის პლებისციტით გადაწყვეტა. არასწორი იყო ის, რომ შეიზღუდა დიალოგი. ასევე, რიტორიკაში ჰქონდა გადახრები, რაც დიპლომატიაში მიუღებელია.

**შალვა ფიჩხაძე:** რუსეთ-საქართველოს დაძაბული ურთიერთობის ობიექტურ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ საქართველო თავის ადგილს ხედავს ნატოში. მე ურთიერთობის რადიკალურ გაუმჯობესებას არ მოველი, რადგან პლებისციტის შემდეგ არ იცვლება საქართველოს ხედვა. ჩვენ მსოფლიოს თვალში ვცდილობთ დაჩაგრულის იმიჯის შექმნას. ზოგიერთი ქვეყანა ამ იმიჯს სასიკეთოდ იყენებს, ჩვენ კი ამ მხრივ შედეგი ჯერ არ გვაქვს.

**დავით აფრასიძე:** რუსეთი მოახლოებული არჩევნების შემდეგ შეცვლის დამოკიდებულებას საქართველოსადმი. ამის შემდეგ უფრო გაირკვევა, რა მოხდება კონფლიქტების მოგვარების მხრივ და ვფიქრობ, საშუალოვადიან პერსპექტივაში ამ კითხვას პასუხი გაეცემა.

**გიგი თევზაძე:** ფაქტია, რუსული ინვესტიციები საქართველოში იდება, თუმცა ამის ამსახველი კონკრეტული ციფრი არასოდეს მინახავს. ლადო გურგენიძის პროექტი არაა გათვლილი იმაზე, რომ რუსული ინვესტიციები შემოვიდეს, პირიქით, ვნახოთ რა მოხდება.

**რამაზ საყვარელიძე:** არ მეჩვენება, რომ ისე წვიმს, როგორც ქუხს. რუსეთთან ურთიერთობა უკეთესი ხდება და ლავროვის განცხადება, რომ არ იჩქარებენ აფხაზეთის აღიარების საკითხს, ამის მანიშნებელია. რუსეთთან დაძაბულმა ურთიერთობამ ის სარგებელი მოგვცა, რომ რუსული ინვესტიციები ნაკლები დოზით შემოვიდა და გზა მიეცა სხვა უცხოური ინვესტიციების შემოდინებას.

რაც შეეხება ნატოს, ის არ გვჭირდება მხოლოდ აფხაზეთისა და ოსეთის დასაბრუნებლად, არამედ გვინდა იმიტომაც, რომ მუსულმანურ და ქრისტიანულ ქვეყნებს შორის ფუნდამენტალიზმის პრინციპი თუ დაირღვა, ყველაზე დიდი საფრთხის წინაშე ჩვენ აღმოვჩნდებით. ამიტომ ნატოსკენ სწრაფვის მოტივაცია დიდია. დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობა არაა გარკვეული. დავობენ, ვინაა კონტინენტის ლიდერი და ჩვენც ამ დავის ჯაჭვებში ვართ მოქცეული.

პოლიტოლოგმა საყვარელიძემ გაიხსენა სააკაშვილის არცთუ საჯაროდ გახმოვანებული ფრაზა: თუ პრობლემას რუსეთი გადაგვიწყვეტს, სულაც არ გვინდა ნატოო. ამან „რია-ნოვოსტის“ სტუდიაში შეკრებილ ექსპერტთა აღშფოთება გამოიწვია, – თუ სააკაშვილმა სადმე რამე ამის მსგავსი თქვა, ეს სერიოზული პრობლემაა. შეიძლება შემთხვევითი ფრაზაა და ამას დიდ მნიშვნელობას ნუ მივანიჭებთო, – უპასუხა საყვარელიძემ.

პრეზიდენტისა არ ვიცი, მაგრამ ვფიქრობ, საგარეო ურთიერთობების განხილვისას მსგავსი დამოკიდებულება საქართველოს მოსახლეობის არც თუ ისე მცირე ნაწილს აქვს. დამღლელია, როცა მეზობელ რუსეთთან ურთიერთობა მუდმივად გასარკვევია და სულ იმის მტკიცება გვიწევს, რომ მეგობარი რუსეთი გვინდა, მოძიშპე რუსეთი კი – არა!

**თეა მოსია**

## ◎ აფხაზეთი – ტკივილი ჩვენი

**(მეხუთე გვერდიდან)**

# რუსეთთან კარის გამოჯასუნებები არც მუშაობს და სარისკოც არის

ამ ვითარებაში სააკაშვილის რიტორიკა იცვლება, იგი არ ლაპარაკობს კარების გაჯახუნებაზე და რუსეთის სამშვიდობოების გაყვანაზე. მე მგონი, ახალ შეთავაზებებზე ბაქრაძე და იაკობაშვილი იმუშავებენ. ჩემი აზრით, ყურადღება უნდა გამახვილდეს რუსი სამშვიდობოების ფუნქციების გაფართოებაზე იმ თვალსაზრისით, რომ მათ მოეთხოვოთ პოლიციური ფუნქციის თავის თავზე აღება და არა მხოლოდ ძალთა დაშორიშორება, რომელსაც ისინი ხშირად არც ახორციელებენ.

ამავე დროს, უნდა გაფართოვდეს სამშვიდობო კონტინგენტი, დამატებით სხვა ქვეყნების კონტინგენტების ჩაბმით, შეიძლება ლაპარაკი იყოს ცალკე აღებულ საპოლიციო ფუნქციაზე, რომელშიც ჩაებან რუსებიც, მაგრამ იყვნენ სხვებიც, მაგალითად ბულგარელებიც და რუმინელებიც.

**– რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრობის კანდიდატი იაკობაშვილი აცხადებს, რომ იგი კონფლიქტების მოსაგვარებლად რჩევებს აუცილებლად დაეკითხება ძმებ ხაინდრავებს, ზაქარეიშვილს, არჩილ გეგეშიძეს და გიორგი ხუციშვილს. როგორ შეაფასებდით იაკობაშვილის დამოკიდებულებას და გემოვნებას და იმაზე რას იტყოდით, რომ ეს წრე შეიძლება უფრო ფართოც იყოს.**

– დამოკიდებულება სწორია. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ვისაუბროთ, ვინ უფრო ჭკვიანი ან – ნაკლებჭკვიანია, ვინ უფრო გამოცდილი ან ნაკლებად გამოცდილია. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო სექტორში ვმუშაობ, ასევე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ სიბრძნე არასამთავრობო სექტორშია და სიბრიყვე – მთავრობაში.

დემოკრატიულობის გარდაუვალი აუცილებლობა პოლიტიკურ პროცესში სხვადასხვა ჯგუფის მონაწილეობაა. ადამიანები ერთმანეთს უნდა ხვდებოდნენ და აზრებს უზიარებდნენ. საბოლოო ჯამში, ვიდრე ადამიანი ხელისუფლებაშია, გადაწყვეტილებას ის იღებს, იმიტომ, რომ მასზეა პასუხისმგებლობა და მას მეტი აქვს ინფორმაცია, მაგრამ მოსმენის და ურთიერთობის კულტურა რომ დასახვეწია, ამას, მგონი, ლაპარაკი არც უნდა.

**– ბატონო დავით, თქვენი შეფასებით, რას შეიძლება ნიშნავდეს სამინისტროსთვის სახელწოდების შეცვლა, ვგულისხმობ დასახელებას – რეინტეგრაციის სამინისტრო.**

– ერთის მხრივ, ამ სათაურზე იქნება გალიზიანებული გამოხმაურებები ორივე კონფლიქტის მეორე მხარიდან. ამასთან, სასურველია, რომ პოლიტიკაში სიტყვა და განზრახულობა ერთმანეთს ემთხვეოდეს, თუმცა ყოველთვის ასე არ ხდება. ამ შემთხვევაში თბილისიდან მკაფიოდ ისმის, რომ ის თანახმაა კონფლიქტების გადაწყვეტა მოხდეს მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საქართველოს აღიარებული საზღვრების ფარგლებში, ეს კი რეინტეგრაციის პროცესია.

ამ თვალსაზრისით თბილისის ხედვიდან გამომდინარე, სახელწოდება რეინტეგრაციის მინისტრი უფრო ადეკვატურია, თუმცა ვიცი, რომ ეს იქნება კამათის დამატებითი თემა.

**– მაშინ, როცა კონფლიქტები და მისი გამომწვევი პრობლემები გადაწყვეტილი არ არის, რუსეთს, კრემლის მაღალჩინოსანთა სახით, აფხაზეთში საკმაოდ დიდი თანხები აქვს ჩადებული, რეინტეგრაციის პოლიტიკის განხორციელების დაწყებით, უნებლიედ, წაგებულ თამაშს ხომ არ ვიწყებთ?**

– რა თქმა უნდა, ეს იქნება ურთულესი პროცესი. აფხაზებსაც და ოსებსაც გამოკვეთილად აქვთ ნათქვამი, რომ ისინი დამოუკიდებლობას ითხოვენ. რუსეთი მომავალშიც გააგრძელებს მათ მხარდაჭერას, რის გამოც ძალიან ძნელი იქნება, რომ რაიმე გარღვევა მოხდეს, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის.

ეს ბრძოლა დიპლომატიური, პოლიტიკური უნდა იყოს, ალტერნატივა არის – ან დაივიწყო აფხაზეთი და ცხინვალი, ან ომი დაიწყო. ორივე ალტერნატივა დაუშვებელი და წარმოუდგენელია. რჩება რეინტეგრაციაზე ფიქრი, თქვენი აზრით, ეს წაგებული თამაშის დაწყება შეიძლება იყოს? მე ვიტყოდი, უბრალოდ, რთული თამაშის დაწყებაა. არც ერთი თამაში ადამიანებს შორის არ არის აპრიორი წაგებული ან მოგებული, პოლიტიკა კი ადამიანების საქმეა.

უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან პოლიტიკა და ეკონომიკა. რა თქმა უნდა, ისინი ერთმანეთზე გავლენას ახდენენ. მე პოლიტიკა პირველადი მგონია, ეკონომიკა – მეორადი, გარკვეული გაგებით, მაგრამ მათ შორის გარკვეული განსხვავებაც არსებობს. რკინიგზაზე რომ არის ლაპარაკი ან სხვა სტრატეგიულ ობიექტებზე, ვის რა ეკუთვნის, ვინ არის კერძო მფლობელი, ეს არ არის ყოველთვის გადამწყვეტი პოლიტიკაში, რომელიც საჯარო, სახელმწიფოთშორისო ურთიერთობების სფეროა. რა თქმა უნდა, ამას ყურადღება და კონტროლი უნდა, გარანტიები უნდა იყოს ხელშეკრულებაში, მაგრამ პუტინის პირადი საკუთრება და რუსეთის მიერ ანექსია სრულიად სხვადასხვაა.

**– უნდა ვივარაუდოთ, რომ რეინტეგრაციის საკითხების წინა პლანზე წამოწევა ეხმიანება პრეზიდენტ სააკაშვილის სტრასბურგში გაკეთებულ განცხადებას იმის შესახებ, რომ თბილისი მზადაა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით გადაწყვიტოს...**

– საკუთრების საკითხები ყველაზე უმტკივნეულად გადაწყდება. მთავარია სტატუსის და ძალაუფლების საკითხები. გადასალახავია ისეთი საკითხები, როგორებიც არის სამშვიდობო ფორმატი, მოლაპარაკებაზე როგორ იქნას მიღწეული, რომ ბალაფშის თუ ნებისმიერი სხვა მთავრობა იწყებდეს საუბარს ერთიანი სახელმწიფოს ფორმირებაზე, თორემ რომელიღაც სანატორიუმი ვისი საკუთრებაა, ეგ არ არის საჯარო პოლიტიკის საკითხი. ეს ყველაფერი უნდა მოწესრიგების კანონმდებლობასთან რეგისტრირების თვალსაზრისით, ამ თემაზე მოლაპარაკება ყველაზე მარტივია.

**კობა ბენდელიანი,**

**ინტერპრესნიუსი**

№ 16. სამშაბათი, 29 იანვარი, 2008 წელი.

# ჩვენ

● მართლაცდა, სამარცხვინოა ასე წაბილწული სურათების ყურება.
არადა, ასე ბეჯითად მიწებებულ სურათებს ჩამოხსნა რომ სჭირდება, ამაზე მაინც აღარ უნდა იფიქრონ?

◎ ინფორმაცია

## სუბარი რამიშვილის გათავისუფლებას ითხოვს

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი პრეზიდენტ სააკაშვილს პატიმრობაში მყოფი ჟურნალისტის შალვა რამიშვილის გათავისუფლების თხოვნით მიმართავს. სუბარის მიმართვაში აღნიშნულია, რომ რამიშვილი საზოგადოებისთვის საშიშ პიროვნებას აღარ წარმოადგენს, გარდა ამისა მას სასჯელის ნახევარი უკვე მოხდილი აქვს.

შეგახსენებთ, რომ რამიშვილის შეწყალებასთან დაკავშირებით რამდენიმე კვირის წინ კომენტარი გააკეთა იმ დროისთვის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ. ბურჯანაძემ დაადასტურა, რომ რამიშვილი საზოგადოებისთვის საშიშ პიროვნებას არ წარმოადგენს და შესაძლოა შეწყალების აქტი მის მიმართაც იქნეს გამოყენებული.

## უნიკალური დოკუმენტები საიმედო ხელშია

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის საცავებში ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის თანამედროვე სისტემა დამონტაჟდა. სპეციალური აპარატურა ეროვნულმა არქივმა ტენდერის საფუძველზე შერჩეული კომპანიის მეშვეობით შეიძინა.

ეროვნული არქივის გენერალური დირექტორის თეონა იაშვილის ინფორმაციით, დღემდე საისტორიო, უახლესი ისტორიისა და კინო-ფოტო-ფონო ცენტრალური არქივების 24 არქივ-საცავში 60-იან წლებში დამონტაჟებული ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა მოქმედებდა. მოძველებული აპარატურის დეტექტორებს რადიაციული გამოსხივება ჰქონდა, რაც უარყოფითად აისახებოდა როგორც თანამშრომელთა ჯანმრთელობაზე, ისე საარქივო დოკუმენტების მდგომარეობაზე. ახალ აპარატურას რადიაციული გამოსხივება არ გააჩნია.

ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის ახალ სისტემას აქვს ცენტრალიზებული პულტი, რომელსაც სიგნალი მიეწოდება ყველა საცავიდან. აღნიშნული პულტი 24 საათის განმავლობაში კონტროლდება, რაც უსაფრთხოების სისტემას კიდევ უფრო ეფექტიანს ხდის.

ეროვნულ არქივში დაცულია ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტები და მასალები, მე-9 საუკუნიდან დღემდე.

ჯი-ეიჩ-ენი

## ექსპორტიორთა შორის „ფერო“ პირველობს

სასაქონლო ჯგუფებიდან 2007 წელს საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი ფეროშენადნობებს უჭირავს.

ფეროშენადნობების წილზე 2007 წელს ექსპორტის 12,9 პროცენტი მოდის. შავი ლითონების ჯართის ექსპორტი 96 მლნ 900 ათას აშშ დოლარს შეადგენს, რაც ექსპორტის 7,8 პროცენტია.

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2007 წელს ნავთობი და ნავთობპროდუქტებია. მათი იმპორტი 556 მლნ 300 ათას აშშ დოლარს შეადგენს, რაც 113 მლნ 200 ათასი აშშ დოლარით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. ნავთობის და ნავთობპროდუქტების წილზე იმპორტის 10,7 პროცენტი მოდის.

გაზრდილია მსუბუქი ავტომობილების ჯგუფის იმპორტიც და იგი 369 მლნ 700 ათას აშშ დოლარს შეადგენს, რაც 74 მლნ 400 ათასი აშშ დოლარით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. მისი წილი ქვეყნის იმპორტში 7,1 პროცენტია.

ინტერპრესნიუსი

◎ მისახედი საქმე

# სკამები კი გაიმაგრეს და...




**ნაციონალებმა წინასაარჩევნოდ თავი გაიგიჟეს და, თუ სადმე მიუწვდებოდათ ფულში ისედაც გვარიანად გასვრილი ხელები, ყველგან მიშას წითლად მოელვარე სურათები გააკრეს. რა თქმა, უნდა არც რუსთაველი ნაცები ჩამორჩნენ დედაქალაქელ თუ პროვინციელ ჯიქურ ძმებს და ტროლეიბუსებზე, ბოძებზე, ბილბორდებზე, განსაკუთრებით კი კედლებზე სულ მიჯრით გააწკაპეს ალბათ ვისი ჯიბიდან რა მაქინაციებით ამოცოცებული ფულის პროდუქტი – სააკაშვილის პლაკატები...**

მაგრამ აი, ვიღაც-ვიღაცეები, უთუოდ ოპოზიციონერები, ღამით ჩამოფხრეწდნენ, მერე ტროტუარზე ყრიდნენ და ხალხსაც, პოზიციისა თუ ოპოზიციის მომხრეთ, ზედ ფეხით გავლა უწევდათ. ნაცები მაინც არ თმობდნენ იმას, რაც თურმე მართლაც ძნელი დასათმობი ყოფილა ( სკამი და სუპერიორობაძ და ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

მერე რაც მოხდა, ყველამ იცის. თურმე სულაც არ ყოფილა საჯარო ეს ალია-ბალია. აგერ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ვინმე (ნაცმოძრაობელმა თუ არა, მათზე სიგიჟემდე შეყვარებულმაძ თარხნიშვილმა თვალა, თვალა ბიულეტენები და როგორც მიშისტების, ისე მისი მოწინააღმდეგეების ხმებიც თავის ფავორიტს მიუთვალა.

აბა, ადვილი კი არაა ასეთი თავდადება: შეუძლებელზე მეტი შეძლო და წამოასკუპო სკამზე სააკაშვილი.

ეს ამბავი რომ ასე მარტივადაც არ დამთავრდება, ეს უკვე გაცხადდა იმ ფალსიფიცირებული ინაუგურაციის პარალელურად გამართულ მიტინგზე, სადაც ხალხი ოჯახებით მიდიოდა და უსამართლობის წინააღმდეგ მართლაც ღირსეულ პროტესტს გამოხატავდა. ლამის სამასი ათასი კაცი რომ აგუგუნდა ჰიპოდრომზე, მიშას ესეც საკუთარი თვალით რომ ენახა, ნამდვილად გული გაუსკდებოდა.

ეს სხვა საკითხია. მე კი ის მაწუხებს, ისევ რომ შერჩა კედლებს დაფხრეწილ-შელანძღული პლაკატებიდან ყალბად და არაფრისმთქმელად მომღიმარი აწ უკვე პრეზიდენტი. თითქოს იმუდარება კიდეც, ჩამომხსენით, მიშველეთ შემეწიეთ რამენაირად.

მართლაცდა, სამარცხვინოა ასე წაბილწული სურათების ყურება.

არადა, ასე ბეჯითად მიწებებულ სურათებს ჩამოხსნა რომ სჭირდება, ამაზე მაინც აღარ უნდა იფიქრონ?

ეჰ, ვის რას ვედავები, რაც უნდოდათ, გაინაღდეს. სკამები გაიმაგრეს და...

**გივი ჯახუა**

◎ მხარე

# რა სენი მოიშორა კახეთმა და რა საკადრო ცვლილებებია რეგიონში?!

## ზაზა ბეგაშვილის კახეთის გუბერნატორად გადმოყვანის ამბავმა ადგილობრივებს თავზარი უკვე მეორედ დასცა

*საყოველთაო საკადრო ცვლილებებია კახეთის ძალოვან სტრუქტურებში. მრავალწლიანი ბარბაროსული მმართველობის შემდეგ თანამდებობა დატოვა კახეთის სამხარეო პოლიციის შეფმა თემურ ანჯაფარიძემ. მისი ადგილი შს თბილისის მთავარი სამმართველოს ყოფილმა შეფმა ირაკლი ძადაგიძემ დაიკავა, მისი მოადგილე ირაკლი ბაზერაშვილი გახლავთ. შეგახსენებთ: ბაზერაშვილი ორიოდ წლის წინათ დედოფლისწყაროს პოლიციის უფროსი გახლდათ. სიღნაღისა და საგარეჯოს გარდა კახეთის ყველა რაიონის პოლიციის უფროსი თანამდებობას გამოეთხოვა.*

*საგულისხმოა, რომ ანჯაფარიძის მმართველობას არასამთავრობო და უფლებადაცვითი ორგანიზაციები უარყოფითად ახასიათებენ. ანჯაფარიძის სახელს უკავშირდება გახმაურებული სკანდალი. მისმა ყოფილმა მოადგილემ გოჩა ნაზღაიძემ სასამართლო სხდომაზე ანჯაფარიძეს საჯაროდ ნარკომანი და ბარიგა უწოდა.*

*„ადამიანის უფლებათა ცენტრი“, რომელიც გახმაურებულ სასამართლო სხდომას ესწრებოდა, ავრცელებს ნაზღაიძე-ანჯაფარიძის საუბრის ჩანაწერს:*

**– წამალთან დაკავშირებით როგორა ხართ ბატონო თემურ, ისევ იკეთებთ?**

– ვიკეთებდი, ვიკეთებ და კიდევ გავიკეთებ! („უფლებათა ცენტრი“ მიუთითებს, რომ ჩანაწერის სტილი დაცულიაძ.

**– თქვენ ახსენეთ, რომ თავდაპირველად ჩემთან ახლო ურთიერთობა გქონდათ. რაიმე საინტერესო ფაქტს ხომ ვერ გაიხსენებთ?**

– არ მახსოვს, მას შემდეგ დიდი დრო გავიდა...

**– არც ის გახსოვს კაიფში გაპარული ძლივს რომ მოგაბრუნეთ? ნარკომანი და ნარკობარიგა რომ ხარ, ყველაფერს ვიტყვი. იმასაც ვიტყვი რატომ ვზივარ აქ... (მოსამართლემ სიტყვა შეაწყვეტინაძ**

ასე რომ, ამ სკანდალური ჩანაწერის გავრცელების შემდეგ, კახელები დღემდე უშედეგოდ ცდილობენ გაარკვიონ, არის თუ არა თემურ ანჯაფარიძე ნარკომანი და ბარიგა და რატომ ხოცავდა კრიმინალური პოლიციის უფროსი უდანაშაულო ადამიანებს?.. ამ შეკითხვებზე ოფიციალური პასუხი ვერავისგან მივიღეთ, თუმცა კახელებისთვის ყველაფერი ისედაც ნათელი იყო. ანჯაფარიძის წარსულზე და მის არაეფექტიან მუშაობაზე დღემდე ბევრს ბჭობენ.

ანჯაფარიძის ჩამოშორებას კახელები ერთსულოვნად მიესალმებიან და აცხადებენ, რომ სენი მოიშორეს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კახეთის ექსპირველ პოლიციელს არცთუ კარგი დამოკიდებულება ჰქონ-



და მედიასაშუალებების წარმომადგენლებთან, ნებისმიერ კითხვას იგი „სისულელედ“ ნათლავდა... მუდმივად პრობლემა იყო პირველი პოლიციელის კომენტარის მიღება რეგიონში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

არასამთავრობო სექტორი ანჯაფარიძე-ნაზღაიძის შავბნელ ქმედებებზე ამახვილებს ყურადღებას. ნაზღაიძე 2005 წელს კრიმინალური პოლიციის უფროსი გახლდათ და სკანდალურად დააპატიმრეს. მას ბრალად წაუყენეს რამდენიმე ოჯახის დაყაჩაღება და არაერთი ადამიანის მკვლელობა.

დედოფლისწყაროს პოლიციის შეფი დიმა ბოჭორიძე სავარაუდოდ სოფელ წითელწყაროს შესასვლელში აღმოჩენილ არაოფიციალურ საროსკიპოს შეეწირა. მეგობრობის ქუჩაზე ტერტერაშვილების საროსკიპო თითქმის 15 წელი ფუნქციონირებდა, თუმცა ადგილობრივი პოლიცია უკანონო პროსტიტუციისთვის ხელშეშლის ნაცვლად ელო ტერტერაშვილთან მეგობრობდა. დედოფლისწყაროში მითქმა-მოთქმა დღემდე არ ცხრება იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიცია არაოფიციალური ბორდელის მეპატრონეს წილში ეჯდა...(!ძ გასული წლის სექტემბერში საროსკიპოს მეპატრონე ელიკო ტერტერაშვილი და მისი მარჯვენა ხელი ნათია საბაშვილი სპეციალურმა ოპერატიულმა დეპარტამენტმა სპეცოპერაციის შედეგად გვიან ღამით აიყვანა. იმხანად დედოფლისწყაროს პოლიციის შეფი დიმა ბოჭორიძე შვებულებაში იმყოფებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ შვებულებიდან დაბრუნებისთანავე ბოჭორიძემ თანამდებობა დატოვა. ახალ უფროსად ალიკ ღვედაშვილი დაინიშნა. ღვედაშვილი მანამდე გამომძიებლად მუშაობდა. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კი თანამდებობა სხვა რაიონებთან ერთად ღვედაშვილსაც დაატოვებინეს. დაცვის პოლიციის უფროსი გელა ბუნტური დედოფლისწყაროს პოლიციის უფროსად გადაიყვანეს. ეს ფაქტი დედოფლისწყაროს პოლიციაშიც დაგვიდასტურეს... ბუნტურს თანამდებობაზე დანიშვნის დღესვე ვეწვიეთ, თუმცა ვერ მოვიხელთეთ...

**საგულისხმოა, რომ საკადრო ცვლილებებს თითქმის ყველა სფეროში მოელიან. როგორც ცნობილია, ცვლილებები რაიონის პირველ პირებსაც შეეხება, რაც თავისთავად მთელი გუნდის ცვლილებას გამოიწვევს.**

**რაც შეეხება კახეთში ზაზა ბეგაშვილის გუბერნატორის პოსტზე გადმოყვანას, ამ ფაქტმა ადგილობრივებს თავზარი უკვე მეორედ დასცა. ინფორმაციის გამართლების შემთხვევაში მოსახლეობა საპროტესტო აქციების გამართვას და საყოველთაო ბუნტს გეგმავს. ამ ფაქტს განსაკუთრებით უარყოფითი შეფასება არასამთავრობო სექტორმა და უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა მისცეს. კახელები ერთსულოვნად აცხადებენ: მიუხედავად იმისა, რომ ბეგაშვილი კახელია, მას რეგიონში არ შეუშვებენ...**

**ილია მარტყოფლიშვილი**
კახეთიდან

# აზრი

● არ დაგვავიწყდეს რომ მოსახლეობა უფრო რადიკალურადაა განწყობილი და ხელისუფლებამ ეს უნდა გაითვალისწინოს, როცა ისევ და ისევ ცდილობს მხოლოდ თავის ინტერესებს მოარგოს ყველაფერი ამ ქვეყანაში



◎ განსჯა

# ხელისუფლება მადლიერი უნდა იყოს, რომ ოპოზიცია ამდენი ადამიანის პროტესტს კონსტრუქციულ კალაპოტს აძლევს

*ნოემბრის მოვლენების დროს, პარლამენტარი გუგული მაღრაძე ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც საპარლამენტო უმრავლესობა დატოვა. ამჟერად იგი თავისუფალი, უპარტიო დეპუტატია. დღეს იგი ჩვენი გაზეთის სტუმარია.*

**— ნოემბრის მოვლენების დროს თქვენ დატოვეთ საპარლამენტო უმრავლესობის რიგები, საინტერესოა, ხომ არ ნანობთ ამ გადაწყვეტილებას?**

— დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი პოზიცია ნოემბრის მოვლენების შეფასებაში და ჩემი მიმართვა პარლამენტისადმი, ადეკვატური იყო. მინდოდა პარლამენტს გაეგონა ხალხის ხმა და შეესრულებინა საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის მოთხოვნა საპარლამენტო არჩევნების გაზაფხულზე ჩატარების შესახებ, რაც ნამდვილად უფრო ლეგიტიმური იყო, გაცილებით უკეთესი იყო ქვეყნისთვისაც და ხელისუფლებისთვისაც. ეს დაამტკიცა შემდგომმა მოვლენებმა, როცა პლებისციტის შედეგებიდან გამომდინარე პარლამენტი დგას იმის აუცილებლობის წინაშე, რომ პარლამენტის არჩევნები მაისში ჩატარდეს. მე არ მინდა ნიშნის მოგებით ველაპარაკო ვინმეს, მაგრამ მინდა მომავლისთვისაც გაითვალისწინონ საპარლამენტო უმრავლესობამ თუ ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმაც, რომ მე ვცდილობ არასდროს არ ვილაპარაკო სიტუაციის ყოველმხრივი ანალიზის გარეშე. ბოლოს და ბოლოს, სოციალურ ფსიქოლოგიაში მუშაობის საკმაო სტაჟი მაქვს. სოციალური ფსიქოლოგია სწორედ რომ ადამიანის ქცევის პროგნოზირების შესახებ მეცნიერებაა.

შესაბამისად, მომავალში ცუდი არ იქნება, რომ არა მარტო ჩემი, არამედ საზოგადოდ, პროფესიონალების პროგნოზები გათვალისწინებული იყოს ხოლმე. ჩემთვის ძალზე ნიშანდობლივია, რომ სრულიად უცნობი ადამიანები მადლობას მეუბნებიან ჩემი პოზიციისთვის და დანანებით ამბობენ, თქვენი პოზიცია რომ დაეჯერებინათ და გაეზიარებინათ, შეიძლება ავცდენოდით ქვეყნის,ხალხისა და ხელისუფლებისთვისაც უკიდურესად უარყოფით მოვლენებს, რამაც საკმაოდ უკან დახია ქვეყნის განვითარება და ასეთი უფსკრული წარმოშვა ხალხს და ხელისუფლებას შორის.

**— ქალბატონო გუგული, ამჯერად როგორია თქვენი პოზიცია, ვის მხარეს დგახართ?**

— დღეისთვის, ვფიქრობ, ხელისუფლების მხრიდან ისევ აქტუალურია, მოუსმინოს ხალხს, გაატაროს ის სრულიად კანონიერი ღონისძიებები, რასაც აყენებს ოპოზიცია. ეს ხომ მხოლოდ ოპოზიციის მოთხოვნა არაა. ყველა ეს მოთხოვნა ფაქტობრივად არის იმ საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნა, რომლებმაც ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნებში გამოვლენილ მნიშვნელოვან დარღვევებზე ფაქტობრივად თვალი დახუჭეს, რადგანაც კიდევ ერთი შანსი მისცეს პრეზიდენტს და ხელისუფლებას, რომ გამოასწოროს ყველაფერი ის, რაც ძალიან შორსაა დემოკრატიული სახელმწიფოსგან: სამართალდამცავი ორგანიზაციების დეპოლიტიზაცია, იმ ავადსახსენებელი „კუდის“ და „სოდის“ გაუქმება, მედიის თავისუფლება, ნორმალური საარჩევნო კანონი და ისეთი საარჩევნო კომისია, რომელიც არ გამოიწვევს მიკერძოების ეჭვს და სამართლიანად ჩაატარებს არჩევნებს. ეს სრულიად კანონიერი და განხორციელებადია, ჩემი აზრით, ძალიან მინიმალური მოთხოვნებია. არ დაგვავიწყდეს რომ მოსახლეობა უფრო რადიკალურადაა განწყობილი და ხელისუფლებამ ეს უნდა გაითვალისწინოს, როცა ისევ და ისევ ცდილობს მხოლოდ თავის ინტერესებს მოარგოს ყველაფერი ამ ქვეყანაში.

ჩემი ცხოვრებით და განვლილი გზით შემიძლია ვთქვა, რომ ყოველთვის ვცდილობდი ვმდგარიყავი სიმართლის მხარეზე (ყოველ შემთხვევაში, როგორც მე მესმის ესძ და ახლაც იგივეს ვაგრძელებ, ვის მხარეზეც იქნება სიმართლე მეც იმის მხარეზე დავდგები ყოველთვის. ადამიანი, უპირველესად, საკუთარ თავთან უნდა იყო მართალი.

**— როგორ შეაფასებთ 5 იანვარს ჩატარებულ არჩევნებსა და შემდგომ განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს? (იყო თუ არა არჩევნები გამჭვირვალე? საჭირო თუ იყო მეორე ტური?ძ**

— არჩევნები ცხადია არ იყო ისეთი დემოკრატიული, როგორიც თუნდაც სერბიაში ჩატარდა ახლახან, იქ, მოგეხსენებათ, დაინიშნა მეორე ტური, რაც უფრო სამართლიანი იქნებოდა ჩვენს სიტუაციაშიც. თუმცა, ეტყობა, რაც უფრო დასავლეთითაა ქვეყანა, მით უფრო მაღალია დემოკრატია, ჩვენ სადღაც შუაში ვართ. ჰოდა, ზოგ ქვეყანას ვჯობივართ, მაგრამ დემოკრატიის გზაზე ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასავლელი.

**— არჩევნების შედეგების მიუხედავად, ოპოზიცია სააკაშვილს არალეგიტიმურ პრეზიდენტად მიიჩნევს და ამ ხელისუფლებასთან ყოველგვარ კავშირს გამორიცხავს. თქვენ როგორ აფასებთ ოპოზიციის ასეთ „სიჯიუტეს“?**

— ოპოზიციას აქვს თავისი მყარი არგუმენტები, როდესაც არ ცნობს მიხეილ სააკაშვილის ლეგიტიმურობას და ამ მოსაზრებას იზიარებს მათი მოწოდებითვე შეკრებილი ზღვა ხალხიც. ამდენი ადამიანი არ მახსოვს, რომელიმე მიტინგზე შეკრებილიყოს. ასე რომ, ოპოზიცია გამოხატავს მოსახლეობის დიდი ნაწილის პოზიციას. ეს უკვე ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, რა იქნება შემდეგ. თუ ბატონი მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებასთან ერთად მაქსიმალურად გაითვალისწინებს იმ მოთხოვნებს, რასაც ხალხი აყენებს ქვეყანაში კანონიერების, სამართლიანობის, ადამიანის ღირსების პატივისცემასთან დაკავშირებით; თუ საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება არა მოჩვენებითი, არამედ ნამდვილი დემოკრატიის კანონების შესაბამისად, ოპოზიციამ კიდეც რომ იჯიუტოს, ხალხის მხარდაჭერა აღარ ექნება. დღეს კი ოპოზიცია კი არ ჯიუტობს, გამოხატავს მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილის აზრს და პირიქით, ხელისუფლება მადლიერი უნდა იყოს, რომ ოპოზიცია ამდენი ადამიანის პროტესტს გარკვეულ და კონსტრუქციულ კალაპოტს აძლევს. მაგრამ თუ ოპოზიციის ამ მცდელობას შედეგი არ მოჰყვა და ხალხმა არ დაინახა რომ ხელისუფლება მისი მოთხოვნით დგამს დემოკრატიისკენ ნაბიჯებს, ოპოზიციასაც კი შეიძლება აღარ დაუჯეროს. ეს კი ნამდვილად უფრო საშიშ სიტუაციას შექმნის ქვეყანაში.

**— რას ურჩევდით ოპოზიციას მომავალი საპარლამენტო არჩევნების წინ?**

— მინდა ვურჩიო არა მხოლოდ ოპოზიციას, არამედ უწინარესად, ხელისუფლებას, რადგან სიტუაციის მოწესრიგების რესურსები ხელისუფლების ხელშია. ხელისუფლებამ უნდა გაიაზროს უფრო ობიექტურად ქვეყანაში და მის გარეთ არსებული სიტუაცია. მოსახლეობის და ოპოზიციის მოთხოვნა საკმაოდ კონსტრუქციულია და მთლიანდ შეესაბამება იმ მოთხოვნებს რასაც ქვეყნის გარედან ჩვენი მეგობრები აყენებენ. ხელისუფლებამ უნდა შეძლოს ერთპიროვნული მართვის კომფორტზე უარის თქმა, რადგან ეს არა მხოლოდ ქვეყნისთვის, არამედ მათთვისაც კი დამღუპველია. არ არის საჭირო ხელისუფლების მხრიდან იმის მუდმივად ხაზგასმა, რომ მას სურს დიალოგი. ხელისუფლების მხრიდან იმაზე აპელირება — თუ მოთხოვნები ულტიმატუმის სახისა იქნება, არ შევასრულებთო, — ან ბავშვობაა ან მეტი — შეგნებული მცდელობა იმისა, რომ სიტუაცია ჩიხში შევიდეს. ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რომ ახლა ამის დრო არ არის, უფრო სერიოზულად უნდა შეხედოს სიტუაციას. თუ ხელისუფლება კონკრეტულად გააკეთებს იმას, რასაც ოპოზიცია და ხალხი ითხოვს, სწორედ ეს იქნება რეალური დიალოგი. მოთხოვნები ნათლადაა ფორმულირებული, სამართლიანია, დემოკრატიის კანონებს შეესაბამება, სრულიად ეთანხმება იმ მოთხოვნებს რაც აქვთ საერთაშორისო ორგანიზაციებს. ასე რომ, თვალთმაქცობა აღარაა საჭირო.

ოპოზიციამ კი, თავის მხრივ, კვლავაც უნდა იაქტიუროს, შეეცადოს, კიდევ უფრო მეტი არგუმენტი დადოს და ხელისუფლებას მუდმივად მიუთითოს შეცდომებზე, რომ მან დროზე გამოასწოროს ეს შეცდომები და არ მიეცეს უფრო დიდი შეცდომების დაშვების საშუალება, კიდევ უფრო ფართოდ აუხსნას ყველას შინ და გარეთ თავისი პოზიციების კონსტრუქციულობა და ყველა მოვლენაზე სათანადო რეაგირებაც მოახდინოს, ცხადია კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში, რაც მან უკვე არაერთგზის დაამტკიცა; გააგრძელოს თავისი მუშაობა როგორც მოსახლეობასთან (განსაკუთრებით რეგიონებშიძ, ისე ხელისუფლებასთან, მედიასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან. დემოკრატიული პრინციპების დანერგვა არ არის ერთი და ორი თვის ან თუნდაც წლის საქმე. ეს, ვიმედოვნებთ, კარგად ესმით პოლიტიკურ პარტიებს, მოსახლეობას, ხელისუფლებას, მაგრამ თუ ვერ დავინახეთ, რომ კონკრეტული ნაბიჯები იდგმება ამ მიმართულებით, რომ მასსმედია თავისუფალია, რომ სასამართლო ნამდვილად დამოუკიდებელია, რომ ადამიანის უფლებები დაცულია, მხოლოდ იმის აპელირებით ჩვენ დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებთო, უკვე არავინ ტყუვდება არც შინ და არც გარეთ. დემოკრატია თითოეულმა მოქალაქემ საკუთარი ცხოვრების მაგალითით უნდა იგრძნოს.

**— საუბრობენ, რომ ნაციონალური მოძრაობის სიაში ცვლილებები შედის და შესაძლოა პარტიის ხელმძღვანელობა ნინო ბურჯანაძეს ჩააბარონ. რა შეგიძლიათ გვითხრათ ამ ცვლილებებზე?**

— ვინაიდან მე აღარ ვარ მაგ უმრავლესობის წევრი, ჯერჯერობით არც მოსალოდნელ ცვლილებებზე ვიცი რამე. ყველანი ერთად გავიგებთ მალე.

**— საპარლამენტო არჩევნებში რომელი პარტიის სიაში აღმოჩნდებით?**

— ჯერ დიდი დროა არჩევნებამდე და არც მაქვს გადაწყვეტილი, რას ვიზამ. არ ვიცი, ვნახოთ, შეიძლება სულაც ახალი პარტია შევქმნა, რა ვიცი...

ესაუბრა
**თამარ ბუზალაძე**

◎ ინფორმაცია

## სად განთავსდება ბოლნისის ეპარქიაში სასულიერო სემინარია?

ბოლნისის ეპარქიაში სასულიერო სემინარიისთვის შერჩეული შენობის ბედი გაურკვეველია.

როგორც ბოლნისის ეპარქიის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა, ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის წინამძღოლმა მამა პეტრემ განაცხადა, თავდაპირველად, ადგილობრივი ხელისუფლება ეპარქიას სასულიერო სემინარიისთვის ბოლნისში ყოფილი კოლეჯის დამწვარი შენობის გადაცემას დაჰპირდა, თუმცა, მოგვიანებით გაირკვა, რომ შენობა მუნიციპალურ საკუთრებაში არ იყო.

ბოლნისის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელმძღვანელის გიორგი დაუშვილის განმარტებით, შენობა განათლების სამინისტროს ბალანსზეა და ბოლნისის ეპარქიას ის ეკონომიკის სამინისტრომ უნდა გადასცეს, ამ შემთხვევაში, სურვილის მიუხედავად, გამგეობა ეპარქიას ვერაფრით დაეხმარება.

მამა პეტრეს ინფორმაციით, ბოლნისის რაიონის ხელმძღვანელობა ეპარქიას დამწვარი შენობის გარემონტებასაც დაჰპირდა.

— მე მივიჩნევ, რომ დღეს უკვე ნიადაგია მომზადებული, რათა ადგილობრივმა ხელისუფლებამ დამწვარი შენობა აღადგინოს, საპატრიარქოსა და ბოლნისის ეპარქიის წინამძღვარის, მეუფე ეფრემის ლოცვა-კურთხევით კი მალე გაფორმდეს დოკუმენტი, რომ შენობა ეპარქიას გადმოეცეს, — აღნიშნა მამა პეტრემ.

ბოლნისის გამგეობაში კი აცხადებენ, რომ 2008 წლის ბიუჯეტი დამწვარი შენობის აღდგენას ვერ გაწვდება, რადგან შენობის რემონტს რამდენიმე მილიონი ლარი სჭირდება.

ინტერპრესნიუსი

## გარდაიცვალა ბერძნული ეკლესიის მეთაური

გუშინ საკუთარ რეზიდენციაში, ქალაქ ათენში, უკურნებელი სენისგან, ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაური გარდაიცვალა. აღნიშნულ ინფორმაციას, სააგენტო „ასოშიეიტედ პრესი“ ადგილობრივ საინფორმაციო საშუალებებზე დაყრდნობით ავრცელებს.

69 წლის არქიეპისკოპოსი ხრისტოდული ათენის საავადმყოფოში, ავადმყოფობის გამო, პირველად გასული წლის ივნისში მოხვდა. სწორედ მაშინ მას ღვიძლის კიბოს დიაგნოზი დაუსვეს.

მოგვიანებით, ოქტომბრის თვეში, მედიკოსებმა ღვიძლის გადანერგვის ოპერაციის ჩატარებაზე უარი თქვეს იმის გამო, რომ როგორც აღმოჩნდა, დაავადება უკვე მთელს ორგანიზმში იყო გავრცელებული.

ამის შემდეგ, თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები, ბერძნული ეკლესიის მამამთავარმა, თავის რეზიდენციაში გაატარა.

ჯი-ეიჩ-ენი

№ 16. სამშაბათი, 29 იანვარი, 2008 წელი.

# ცეცხლი – ბაზარში!...

თუ კანონმდებლობით არ იქნება დაცული შიდა სამომხმარებლო ბაზარი, მეწარმეობა და გლეხური მეურნეობა, ასეთ შემთხვევაში უცხო ქვეყანასთან „თავისუფალი ვაჭრობა“, მით უფრო ნულოვანი საბაზრო გადასახადის დაწესება, საქართველოსთვის დამაქცევარი და დამღუპველი აღმოჩნდება

**◎ უთქმელობა არ ეგების**

***შეიძლება ზოგს ჰგონია, რომ მე, როგორც ჟურნალისტს, ცალკეულ ხელისუფალთა და მსხვილ-მსხვილ ჩინოვნიკთა ცრუ დაპირებებსა თუ ცრუ საქმეებზე წერა მეხალისება. თუ ვინმე ასე ფიქრობს, ნამდვილად ცდება. იმას რა სჯობს, ხელისუფლება გონივრულად ირჯებოდეს, ეკონომიკა დღითი დღე ღონიერდებოდეს, სოფელი ხვავ-ბარაქით ივსებოდეს, სამომხმარებლო ბაზარი – მშობლიურ მიწაზე მოწეული ცვარნამნაყარი, ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი პროდუქტებით, მაგრამ ჩვენში ყველაფერი რომ უკუღმა ტრიალებს? ამიტომ, რა გასაკვირია, კაცს გუნება-განწყობაც წაგიხდეს და კალამიც გაგიმწარდეს.***




ხომ არ ვაჭარბებ? არა მგონია. მარტო მე რომ ვგრძნობდე და ვხედავდე ხელისუფალთა უნიათობას და ხელთუყაროობას, მათთვისაც უკეთესი იქნებოდა, მაგრამ როცა მთელი ქვეყანა აუყირავდა, ქუჩაში გამოვიდა და მათი მოღალატური მმართველობისგან გათავისუფლება მოითხოვა? მათ ადგილზე ზოგს შერცხვებოდა, ნამუსი შეაწუხებდა და მოტყუებული ხალხისგან გაცლას ამჯობინებდა, მაგრამ ამათ, როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან, შუბლის ძარღვი გაწყვეტილი აღმოაჩნდათ. არადა პირველად ხომ არ გაწბილდნენ, უკვე მერამდენედ გააცურეს ხალხი ცრუ დაპირებებით? ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ჰპირდებოდა ხელისუფლება ხალხს მილიონი სამუშაო ადგილის გახსნას, ადამიანთა დასაქმებას, მათი მატერიალური და სოციალური კეთილდღეობის ზრდას, თუმცა მხოლოდ ჰპირდებოდა. იმ ტყუილების ფონზე ქვეყანას „მხსნელად მოევლინენ“ ვარდების რევოლუციით მოსული „ნაციონალები“, რომლებმაც უმალ დაპირებათა და სიცრუეთა ცათამბჯენები აღმართეს. ოთხ წელიწადში ეს ხუხულებიც დაინგრა და მასთან ერთად ის ილუზიებიც, რომლებსაც ხალხი ხელისუფლებაში „ვარსკვლავბიჭუნების“ მოსვლას უკავშირებდა.

**ყველა იმ ჩავლილ თუ დღევანდელ ხელისუფალთა ნაღვაწი ორიოდ წინადადებაში აკუმულირდება: ჩვენმა მატყუარა, ბაქიბუქა და მეოცნებე მთავრობებმა მთელი ამ წლების მანძილზე არათუ ეკონომიკა ვერ ააყვავეს (რასაც ნიადაგ გვპირდებოდნენ), მისი აღმავლობის კონკრეტული პროგრამაც კი ვერ შექმნეს. ქაღალდზე დარჩა ხალხის დასაქმების, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების, მოსახლეობის სიღარიბიდან ამოყვანის ოცნება. ამის მიუხედავად, მათ არ აწუხებთ ნამუსი, გვიმტკიცონ, რომ ბოლო წლებში საქართველოს ეკონომიკა 10-12 პროცენტით იზრდება და, თქვენ წარმოიდგინეთ, შესაბამისად იზრდება თურმე ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი პირობებიც, რომლის მაჩვენებლით ჩვენ შევძელით მსოფლიოში ერთ-ერთი ბოლო ადგილიდან პირველ ოცეულშიც კი მოვხვედრილიყავით (!).**

თუ ეს სიმართლეა, მაშ როგორ ხდება, რომ ეკონომიკის აღმავლობას ვერც მეწარმე გრძნობს და ვერც გლეხი, ვერც მოსახლეობა და ვერც სამომხმარებლო ბაზარი, სადაც ინფლაცია ზეობს და ფასებს ისეთი ცეცხლი უკიდია, გაჭირვებულ კაცს საარსებო პური და მწვანილიც ველარ უყიდია? რატომ ხდება რომ ისეთი მდიდარი შესაძლებლობების მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სადაც ხილისა და ბოსტნეულის მუდამ ხვავიან მოსავალს იწევდნენ, დღეს ყველაფერი „გვალვას გადაუწვავს“ და კარტოფილი, ხახვი, ნიორი, ლობიო, კიტრი, პამიდორი და კიდევ რა აღარ, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოგვაქვს?

ამის თაობაზე ხელისუფლებაში ნუთუ არავინ დაფიქრებულა? ქვეყანაში შექმნილი სავალალო მდგომარეობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არავინ. თუმცა, ამას წინათ ტელეეთერში ვნახე როგორღაც შეცბუნებული, ხელახლა გაპრეზიდენტებული მიხეილ სააკაშვილი, რომელიც კუდზაწარასავით გამობმულ სოფლის მეურნეობის მინისტრს – პეტრე ცისკარიშვილს რომელიღაც სუპერმარკეტში ცოტა არ იყოს, უხერხულ კითხვებს აძლევდა:

## ცხრა ხელისუფალთა ცხრა საქმეები

### განადგურებული მეწარმეობა და დაცარიელებული სოფლები

**– საქართველოში კიტრი და პამიდორი, ხახვი და ნიორი ხომ მოგვყავს?**

**– ამ მაღაზიაში ჩვენი, ქართული პროდუქცია რატომ არ იყიდება?**

**– ვითომ ჩვენი კარტოფილი და ლობიო უფრო უგემურია, ვიდრე უცხოური?**

იდგა შემწვარი გოჭივით შებრაწული ჩვენი მინისტრი მესამეკლასელივით თავჩაღუნული, საქციელწამხდარი და ქვეყნის ქარიზმა და მეოცნებე თავკაცის კითხვებს ან ვერ პასუხობდა, ან სიმართლის თქმას შეგნებულად გაურბოდა.

სიმართლე კი, რაც არ უნდა ძნელი მოსასმენი იყოს, თუ ქვეყნისთვის სიკეთე გვინდა, პრეზიდენტს პირუთვნელად უნდა ვუთხრათ: **ბატონო „ნაციონალების“ უცვლელო ლიდერო და ქვეყნის თავკაცო, ყოფილ პრემიერ-მინისტრ ნოღაიდელთან და „ეკონომიკის მამად“ შერაცხულ ბენდუქიძესთან ერთად, თქვენი წვლილიც დიდად ღირებულია იმ „გაუდაბნოებაში“, რამაც უკანასკნელ წლებში ქართულ მეწარმეობასა და სოფლის მეურნეობას ტორნადოსავით გადაუარა. გადაუარა და ერთიანად გაანადგურა როგორც მცირე და საშუალო მეწარმეობა, რომელიც უნდა კვებავდეს ქვეყნის ეკონომიკას, ისე ფერმერებისა და გლეხობის შემოსავლები. მწარე რეალობას სად გავექცევით, სოფლები ნელ-ნელა ცარიელდება, ბევრი ქალაქში ჩამოდის და ვაჭრუკანობით ირჩენს თავს, უფრო მეტი კი საზღვარგარეთის ქვეყნებში ეძებს სარჩო-საბადებელს. საქმე იქამდეც მივიდა, რომ კახელმა გლეხმა შვილივით ნაზარდი ვენახის ასაჩეხად წალდი აღმართა...**

**– იქნებ საქმეში ჩახედული კაცის ენაზე აგვიხსნათ, რა ხდება ამ ჩვენს „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტ“ ქვეყანაში? – ვთხოვე ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის კარგად ცნობილ სპეციალისტსა და პროფესიონალს, საქართველოს დამსახურებულ ეკონომისტს ანზორ ბაბუხადიას.**

– საქართველოს ხელისუფლების (ძველისაც და ახლისაც) ყველაზე დიდი უბედურება, – თქვა მან, – ის არის, რომ თავად არ იცის როგორ მართოს ქვეყნის ეკონომიკა და არც სხვის რჩევას უგდებს ყურს. ამაში მაშინაც დავრწმუნდი, როცა კანცელარიაში მთავარ სახელმწიფო მრჩევლად ვმუშაობდი და ახლაც, როცა ოფიციალურად ჭკუას აღარავინ მეკითხება, მაგრამ ჩემსას არ ვიშლი და პრესის მეშვეობით ხელისუფლებას არაერთ და ორ საქმიან მოსაზრებას ვაწვდი.

ამ თვენახევრის წინათაც, როცა საქართველოს ხელისუფლებამ გააფორმა ხელშეკრულება თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, სადაც ლაპარაკია მეზობელი ქვეყნიდან იმპორტირებულ პროდუქციაზე თავისუფალი საბაჟო გადასახადის დაწესების თაობაზე, ჩემი აზრი არ დამიმალავს და რაც არ უნდა მიუღებელი იყოს ის მთავრობისთვის, მოურიდებლად განვაცხადე, რომ ასეთი „თავისუფალი ვაჭრობა“ დამღუპველი და დამაქცევარი იქნება საქართველოსთვის.

რატომ?

განა ამას კითხვა უნდა? **მიბრძანდით აგრარულ ბაზრებში, მაღაზიებსა და სუპერმარკეტებში და საკუთარი თვალით ნახეთ, თურქულმა (და არა მარტო თურქულმა) როგორ განდევნა ქართული პროდუქცია დახლებიდან. რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ იქაური კარტოფილი და ხახვი, ლობიო თუ პამიდორი უფრო გემრიელი და ხარისხიანია, ვიდრე ჩვენებური? ეს ჩვენზე უკეთესად თავად თურქებს მოეხსენებათ, რომლებიც საქართველოში პესტიციდებით გაჯერებული პროდუქტების შემოზიდვით გულს რომ იმხრობენ, უკანაგზობაზე ტრაილერებს ჩვენებური ეკოლოგიურად სუფთა და სურნელოვანი პროდუქციით პირთამდე ავსებენ და თურქეთის ელიტარულ მაღაზიებში არიგებენ.**

კარგია, რომ ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, პრეზიდენტი დაინტერესდა (ამდენი საპროტესტო აქციების შემდეგ განა დრო არ არის?) ამ ერთუცნობიანი ამოცანის ამოხსნით და იკითხა: რატომ არ არის ქართულ მაღაზიებში და ბაზრებში ქართული პროდუქცია? იმიტომ, ბატონო პრეზიდენტო, რომ საქართველოს მთავრობა დღემდე ვერ მიხვდა ან არ უნდოდა მიმხვდარიყო, რომ საკუთარ ბაზარს დაცვა უნდა, ხოლო მეწარმეს და გლეხს – სამუშაო პირობების შექმნა. რით უნდა დავიცვათ ბაზარი უცხოური პროდუქციის მოძალებისგან, ან მეწარმე და გლეხი არაკონკურენტული გარემოსგან? რა თქმა უნდა, უპირველესად საკანონმდებლო ბაზის შექმნით და პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებით, ურომლისოდაც ქვეყანაში ვერც ეკონომიკას ავაღორძინებთ და ვერც კონკურენტუნარიან პროდუქციას ვაწარმოებთ.

როგორც ჩანს, ეს ჯერ კიდევ არ გაუთვითცნობიერებია ახლად შექმნილი მთავრობის მეთაურს ბატონ ლადო გურგენიძესაც, რომელმაც ამას წინათ ერთ-ერთ სატელევიზიო თოქ-შოუში მონაწილეობისას, სალომე ზურაბიშვილის მორიდებულ შენიშვნას – მთავრობამ როგორმე საკუთარი ბაზრის დაცვაზე უნდა იზრუნოსო, ისეთი რეაქციით უპასუხა (სახის გამომეტყველებაზე შეეტყო), ძალაუნებურად იფიქრებდით, რომ ასეთი რჩევა სისულელედ მოეჩვენა.

ამიტომ კიდევ ერთხელ დაბეჯითებით მინდა გავიმეორო: **თუ კანონმდებლობით არ იქნება დაცული შიდა სამომხმარებლო ბაზარი, მეწარმეობა და გლეხური მეურნეობა, ასეთ შემთხვევაში უცხო ქვეყანასთან „თავისუფალი ვაჭრობა“, მით უფრო ნულოვანი საბაზრო გადასახადის დაწესება, საქართველოსთვის დამაქცევარი და დამღუპველი აღმოჩნდება. ეს გამოიწვევს ქართული სოფლების მთლიანად დაცარიელებას, ქვეყნის ნებისმიერი პროდუქციის წარმოების არარენტაბელობას, უმუშევრობის ტემპის კიდევ უფრო ზრდას და საბოლოო ანგარიშით – გარდაუვალ დემოგრაფიულ კატასტროფას.**

**მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე სახელმწიფოს შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა მართონ ქვეყანაში მიმდინარე ისეთი ძირითადი პროცესები, როგორებიცაა – შიდა ბაზრის დაცვა, ცალკეულ სტრატეგიულ დარგებში პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება, საქონლის ზოგიერთ სახეობაზე დიფერენცირებული საბაჟო ტარიფის შემოღება და ასე შემდეგ. ვინც ამ მოსაზრებას არ იზიარებს, მზად ვარ, მასთან გავმართო დებატები. თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, ამის გაკეთება საქართველოში შეუძლებელია, რადგან მთავრობამ თავად არ უწყის, ქვეყანა როგორ მართოს და სხვისი აზრის მოსმენაც არა და არ სურს.**

მთლიანად ვეთანხმები ბატონ ანზორ ბაბუხადიას, ხელისუფლებას უნდა შეეძლოს ოპონენტთა აზრის მოსმენა და ქვეყნისათვის სასარგებლო რჩევის მიღება. ამას რომ არ აკეთებს, ამიტომაც მისდის საქმე კარგად. მარტო ლოზუნგის სროლა – „საქართველო სიღარიბის გარეშე!“ ვერაფერს მოგვცემს, თუ არ ვიცით, რა გზებითა და საშუალებებით ვიბრძოლოთ მის დასამარცხებლად, სამუშაო ადგილების შესაქმნელად და სიღატაკის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის გაჭირვებიდან ამოსაყვანად. კაცმა რომ თქვას, ხელისუფლების პრეროგატივა არც გახლავთ უშუალოდ მოსახლეობის დასაქმება. მისი უმთავრესი მოვალეობაა, შეუქმნას მუშაობის პირობები მცირე და საშუალო მეწარმეობას, ბიზნესის განვითარებას, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ხალხის მასობრივად დასაქმებას.

„საქართველო სიღარიბის გარეშე“! რომ ცარიელი, შინაარსისგან დაცლილი ლოზუნგი იყო და არჩევნებში ხმების მისაღებად გათვლილი ცრუ დაპირება, ეს ამ დღეებში უკვე გამოჩნდა, როცა ბაზრებში, მაღაზიებსა და აფთიაქებში ფასები თითქმის გაორმაგდა, როცა დენის, გაზისა და მომსახურების გაზრდილი გადასახადები ისედაც გადახდისუუნარო მოსახლეობას მაჯლაჯუნასავით დააწვა და გაუსაძლის ყოფაში მოაქცია.

მორჩა, ყველაფერი დამთავრდა, აწი ქართველი ხალხი ლოზუნგებითა და ბრტყელ-ბრტყელი დაპირებებით ველარ იცხოვრებს.

**ოთარ ხუციშვილი**

№ 16. სამშაბათი, 29 იანვარი, 2008 წელი.

● მაგრამ ვაითუ „საბავშვო სენი“ ახალ საჭოჭმანო ვადაშიც გადმოგყვათ, ბატონო პრეზიდენტო! მერე რალა ვქნათ, ვის მივადგეთ?!



◎ სამშობლოდაკარგულები

# გურამ გოგიაშვილი: სახელმწიფო თვითონ კი არ შედგა, ჩვენ შევგვდგა!

*ჩვენსავით დევნილობაში მყოფი გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორის მოადგილეს გურამ გოგიაშვილს ვერაზე, საველე რედაქციაში შევხვდი. სალაპარაკოს რა დაგვილევდა, მაგრამ „სამშობლოს“ ტკივილზე ვამჯობინეთ საუბარი, საიდანაც 2007 წლის 10 აგვისტოს ეტაპით გამოგვაძევეს ხელისუფლების „ზონდერკამანდებმა“.*

**— ბატონო გურამ, მიხეილ სააკაშვილმა თავისი მეორე საპრეზიდენტო ვადა აღიარებებით დაიწყო. ბაზარი არ უნდა დაგვენგრიაო, ხალხი საკუთარი სახლებიდან არ უნდა გამოვეყარაო, ესაო, ისაო და... „სამშობლოდან“ ჟურნალისტები კინწისკვრით რომ გამოყარეს მისმა დოქსოპულო ხელქვეითებმა, არ გახსენებია, სამწუხაროდ...**

— გამომცემლობა „სამშობლო“ დაავიწყდა და, მგონი, მაგას მაშინ დედასამშობლოც არ ახსოვდა. თუ ახლაც გაიხსენა, რომ სამშობლო აქვს და მაგის სამშობლო არის საქართველო და არა ამერიკის შეერთებული შტატები, ძალიან კარგი იქნება. მან პირველი, დაწყებითი განათლება მაინც საქართველოში მიიღო. მართალია, მერე კიევში ისწავლა და შემდეგ — ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ „სამშობლო, დედის ძუძუ არ გაიცვლების სხვაზედა“... ამაშია საქმე! იმედია, თავის ძველ შეცდომებს ახალი თვალით გადახედავს.

**— სიმართლეს თვალი გავუსწოროთ და ვთქვათ: გამომცემლობა „სამშობლო“ ჩვენს, თქვენს და თითო-ოროლა ჩვენისთანა „სამშობლოდაკარგულის“ მეტს ლამის აღარავის ახსოვს...**

— დიდი მადლობა უნდა ვუთხრა ჟურნალისტების მხარდაჭერისათვის დიდ რეჟისორს გიორგი შენგელაიას, რაც გამოიხატა კიდეც თქვენი გაზეთის წინა ნომერში.

**რასაკვირველია, ჩვენ, ბატონი ლაშა ნადარეიშვილიც, თქვენც, „სამშობლოდან“ ჩვენი გამოყრის პირველსავე დღეს ვყვიროდით, ვამბობდით და ვცდილობდით, რაიმე მოგველონისძიებინა სიტუაციის გამოსასწორებლად, მაგრამ მაინც დავიძსაძსეთ ყველანი...**

მოულოდნელი იყო ჩვენთვის ის, რაც შარშანდელი 10 აგვისტოს გამთენიისას მოხდა. დღემდე არავის აუხსნია ჩვენთვის, რაში იყო საქმე... წინა წელს, როდესაც აუქციონზე გაჰქონდათ „სამშობლო“, ამ საქმეს ხელმძღვანელობდა ვინმე **ილია გოცირიძე. პირადად ვესაუბრე ამ ვაჟბატონს და დამპირდა, გაყიდვის შემთხვევაში, ორი თვით ადრე შეგატყობინებთო, ხოლო იმ ავბედით დილას, როდესაც როგორღაც ვნახე და გამოველაპარაკე, პასუხი არ მაღირსა! ვინმე ზვიად ანდღულაძე და ვინმე გიორგი კერვალიშვილი გამოყო ჩვენი ნივთების ტრანსპორტირებისათვის, მაგრამ კაციშვილი ველარ ვნახე მერე... სულ ხელებში გვიყურებდნენ და ექვსასი ლარი დაგვიჯდა ჩვენი ნივთებისა და საბუთების იმ შენობიდან გამოტანა. თან საღამოს ხუთ საათამდე არ შეგვიშვეს და მერე, რვა საათისთვის სატვირთო ლიფტიც გაგვითიშეს... მეგონა, მკვდარი ვიყავი და ჯოჯოხეთში მოვხვდი!**

**— ახლა ამბობენ, გამომცემლობას ოცდაორ მილიონად უპირებენ გაყიდვასო... თითქოს ოცი მილიონი რომ ედო ფასი, რიგი იდგა მყიდველებისა...**

— ზოგიერთები მხვდებიან და მეუბნებიან კიდეც, ეკონომიკის სამინისტროდან ნება დაგვრთეს შენობაში შესვლისო... თუმცა, ოფიციალური პასუხი არ არის. **ვფიქრობ,**

*„ბენდუქიძის დატოვება ისევ იმ შენობაში — არის სააკაშვილის კიდევ ერთი შეცდომა!“*





*იმედის ნაპერწკალი გვიღვივის, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი თავისი პრეზიდენტობის პირველი ვადის „საბავშვო სენის“ მსხვერპლთ მეორე ვადაში, და თანაც საპარლამენტო არჩევნებამდე, „სამშობლოს“ შენობის დაბრუნებით „გვიმკურნალებს“...*

**წერილი უნდა მივწეროთ ხელისუფლებას, ახლად არჩეულ პრეზიდენტსა და ახალსისხლგადასხმულ მთავრობას, როგორც თვითონ ამბობენ... ყველანი — ტელევიზიები, გამომცემლობები, გაზეთები, რედაქციები, ჟურნალისტები ერთად უნდა დავდგეთ და... უნდა მოვაწყოთ საპროტესტო აქციები! ჩვენს პრეზიდენტს, რომელიც ოპოზიციასა და ხალხის დიდ ნაწილს არალეგიტიმურად მიაჩნია, თუ უნდა, რომ ჩვენს მაგალითზე საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ნდობა აღიდგინოს, უნდა მიიღოს გადაწყვეტილება! დაავალოს ან ეკონომიკის სამინისტროს, ან კანცელარიაში იგივე ბენდუქიძეს და დაგველაპარაკონ! დღეს დიალოგის ფორმა მოდაში შემოვიდა და... ვიმეორებ: ჩვენი გამოყრა „სამშობლოდან“ იყო ხელისუფლების უდიდესი შეცდომა!**

**სააკაშვილის ადგილზე რომ ვიყო, პირიქით, დავაარსებდი პრესის სახლს, ყველა რედაქტორს და რედაქციას შევხვდებოდი და პრესას ჩემ გვერდით დავიყენებდი!**

რატომ ჰგონია ვინმეს, რომ ჩვენ სხვაზე ნაკლებად ვაშენებთ ამ ქვეყანას? **ჩვენ ისეთივე პრეტენზია გვაქვს ამ ქვეყნის მშენებლობისა, როგორც თვითონ სააკაშვილს!**

**თუ მართლა მოახდინა თავისი შინაგანი სულიერი გარდაქმნა, მართლა თუ ინანიებს თავის გუშინდელ ცხოვრებასა და პოლიტიკას, მჯერა, სააკაშვილი გადადგამს ამ ნაბიჯს!** ჩვენი გამოყრის შემდეგ მე სპეციალურად ჩავხედე ყველა ქვეყნის პრესას, რევოლუციების შემდგომსაც, რევოლუციამდელსაც და არსად ასეთი დამოკიდებულება პრესის მიმართ ხელისუფლების მხრიდან არ ყოფილა! არც ევროპაში, არც — აზიაში და არც — აფრიკაში. მე რაზე მტკივა გული, იცი? მართლაც, ხშირად არავის ახსოვს ჩვენი პრობლემა... ჟურნალისტები, პოლიტიკოსები გამოდიან, ყველა ჩამონათვალს ამბობენ და ჩვენ ვავიწყდებით ყველას! არც გვეკითხებიან, როგორ ვართ დღემდე... ცოფიანი ძაღლებივით გამოვყარეს გარეთ... **მიშა, რაღა პრესას შესდექი, შე კაი დედმამიშვილო!? თან ამბობ, სახელმწიფო შედგაო! ჩემი გაგებით, რაც შენ ჩვენ დაგვმართე, სახელმწიფო თვითონ კი არ შედგა, მე შემდგა, ჩვენ შეგვდგა! და გაგვანადგურა, გაგვთელა!**

**— ნუთუ ბოდიშიც არ უნდა მოიხადონ?**

**— ნუ მოიხდიან ბოდიშს! დაგვიძახონ, მოგვცენ მუშაობის საშუალება და ამას ბოდიშადაც ჩავთვლით! ჩვენ უნდა ჩამოვაყალიბოთ ათკაციანი საკოორდინაციო საბჭო, გადავაკეთოთ „სამშობლო“ „პრესის სახლად“, სამართლიანად გავანაწილებთ ფართს და გავაგრძელებთ მუშაობას...** „საქართველოს რესპუბლიკას“ ათას ორასი კვადრატული მეტრი ჰქონდა დაკავებული. აღარ გვინდა მაგდენი, ორას ორმოცდაათსაც ვიმყოფინებთ... სხვამაც დათმოს... თქვენ — თქვენი გქონდათ. მახსოვს, ტუალეტების ადგილას საკუთარი ხელით აშენებდა ლაშა ნადარეიშვილი რედაქციას... ყველანი დავეტევით, ვისაც ამ შენობაში ენდომება ყოფნა! მერე ავირჩევთ შტაბს, რომელიც მიხედავს შენობას და დავაწესებთ შიდა გადასახადებს, რაც მოხმარდება შენობის მოვლა-პატრონობას. სახელმწიფოსაც, თუ მაინცდამაინც პრესისგან ფულის აღებას ჩათვლის საჭიროდ, რაღაცას გადავუხდით... **თუ გვაჩუქა უზურფრუქტის წესით, მაშინ ჩვენ თავადვე მივხედავთ ერთმანეთს და ხელისუფლებასა და მთავრობას ასჯერ გადავუხდით მადლობას!**

**— იდეა და წინადადება კარგია, მაგრამ...**

**— მაინც არა მგონია, რომ ჩვენი გამოყრის ინიციატივა სააკაშვილისგან მოდიოდა. ბენდუქიძისგან უფრო მოდიოდა. მას ძალიან ბევრჯერ მივმართეთ და მერე ჩვენი გაზეთის მიმართ, არ შემრცხვება და გეტყვით, ფაშისტურად იყო განწყობილი. „ფაშისტური გაზეთიც“ გვიწოდა. ან ვერ ერკვევა ფაშიზმში, ან...**

**— ბენდუქიძე „დიდი კაცი“ გახდა დღეს... კანცელარიის აპარატის უფროსად დანიშნეს...**

**— მას თავმოყვარეობა არა აქვს!** ქვეყანას აშენებდა ვითომ, ახლა ჩამოქვეითდა, უბრალო კანცელარიის დონეზე დაეშვა ამოდენა წონის კაცი. მას მხოლოდ ხორცის წონა აქვს და არა შინაგანი, ინტელექტუალური წონა... მისი მხარდამჭერის იმედი მაინც არა მაქვს! **და, საერთოდ, მაგის დატოვება ისევ იმ შენობაში — არის სააკაშვილის კიდევ ერთი შეცდომა! ისევე როგორც ფრიად საეჭვო ეგზიტპოლების ამბების შემდეგ — ნოდიას და იაკობაშვილის მოყვანა მთავრობაში... ან რას იზამს ერთი ბებერი იულონ გაგოშიძე და მეორე ბებერი გამცემლიძე ვნახავთ... მთავრობა კი არა, მოხუცთა თავშესაფარი მგონია უკვე... ასე არ შეიძლება. გაგოშიძე მიიყვანა როგორც მლიქვნელი! როგორც ფარისეველი! და ისიც, გამცემლიძეც!** იულონ გაგოშიძე არის არქეოლოგი. მაგან რა იცის, ზევით რა ხდება?!. მე ვიცნობ პირადად, ჩემი თაობის კაცია. **გაგოშიძე ბავშვობიდანვე იყო მლიქვნელი. ემლიქვნელებოდა ზვიად გამსახურდიას, მერე შევარდნაძესთან არ გამოუვიდა და ახლა ამათი მლიქვნელი გახდა! ასევეა გამცემლიძეც! მანდ პროფესიონალიზმზე საუბარი ზედმეტია! ან, რა კონფლიქტების შემრიგებელი უნდა იყოს იაკობაშვილი? ინგა გრიგოლიასთან კინაღამ თვითონ გააჩაღა კონფლიქტი. არ შეიძლება ასე...**

სიმართლე გითხრათ, ფრიად საეჭვოდ და საჭოჭმანოდ „განახლებულ-გამცხოვნებული“ ჩვენი მთავრობის იმედი მთლად არა მაქვს, არ ვიცი, ჟურნალისტებისკენ მოიხედავს თუ არა, მაგრამ თვითონ პრეზიდენტის ერთ ფრაზას უნდა გამოვეკიდო და ჩავებღაუჭო.

ამ დღეებში პრეზიდენტმა სააკაშვილმა თქვა, მგონი, სტრასბურგში, ჩემი პრეზიდენტობის წინა ვადაში ჩვენს ხელისუფლებას „საბავშვო სენი“ სჭირდაო (ჩანს, „საყმაწვილოს“ თქმა უნდოდაძ და ჩვენი ბევრი შეცდომა ამან განაპირობაო. ახლა მეორე ვადაში ამ სენს აღარ გადმოვიყოლებთო.

ჩვენ, დღისით, მზისით, უბოდიშოდ ქუჩაში გამოყრილი „სამშობლოელები“ სწორედ სააკაშვილის ნამდვილად ლეგიტიმური პრეზიდენტობის პირველი ვადის „საბავშვო სენის“ მსხვერპლნი ვართ და იმედის ნაპერწკალი გვიღვივის, რომ ბენდუქიძისგან მთლად არა, მაგრამ უკვე რამდენიმე სართულით დაცილებული პრეზიდენტი სააკაშვილი, დიდად სამწუხაროდ, დღეს ბევრისგან არალეგიტიმურად აღიარებული, თავისი პრეზიდენტობის პირველი ვადის „საბავშვო სენის“ მსხვერპლთ მეორე ვადაში, და თანაც საპარლამენტო არჩევნებამდე, „სამშობლოს“ შენობის დაბრუნებით „გვიმკურნალებს“.

მაგრამ ვაითუ „საბავშვო სენი“ ახალ საჭოჭმანო ვადაშიც გადმოგყვათ, ბატონო პრეზიდენტო! მერე რალა ვქნათ, ვის მივადგეთ?!

**— ბატონო გურამ, იმედი თუ გაქვთ, რომ სააკაშვილი „სამშობლოს“ დაგვიბრუნებს?**

**— არა მხოლოდ უნდა დაგვიბრუნოს, პრეზიდენტი რამდენიმე თვეში ერთხელ უნდა შეხვდეს კიდეც ჟურნალისტებს, რედაქციებს და გაიგოს მაჯისცემა ქვეყნისა! ასე უნდა მართოს მან ქვეყანა! ხოლო, თუ გაგოშიძის, გამცემლიძის, იაკობაშვილისა და ნოდიას იმედზეა, კარგად ყოფილა მაგათი საქმე!**

ესაუბრა
**გიორგი მამაცაშვილი.**
„ასავალ-დასავალი“
28 იანვარი-3 თებერვალი, №4

№ 16. სამშაბათი, 29 იანვარი, 2008 წელი.

# დაიჯესტი

ქიმიაში ნობელის პრემიის ლაურეატის, ამერიკელი მეცნიერის ლაინუს პოლინგის თეორიის თანახმად, ათასწლეულების წინათ ადამიანის ორგანიზმი თავად იმუშავებდა ს ვიტამინს, თუმცა ევოლუციის მსვლელობისას, როცა ადამიანები იმ ადგილებში დასახლდა, სადაც ამ ვიტამინით მდიდარი ბევრი ნაყოფი იზრდებოდა, ორგანიზმი გადაეჩვია მის გამომუშავებას. ამიტომ ახლა ჩვენ იძულებულნი ვართ მისი უკმარისობა საკვებით ავინაზღაუროთ

## რა არ ხდება?

### როცა სადილი შეტევაზე გადადის...



სტოკჰოლმის ზოოპარკში საგანგებო შემთხვევა მოხდა, რომლის შედეგი იმდენად მძიმე იყო, რომ საჭირო გახდა „სასწრაფო დახმარების“ გამოძახება. საქმე ის არის, რომ ტერარიუმის ერთ-ერთი ძვირად ღირებული ექსპონატი – სამმეტრიანი ანაკონდა – საკუთარი... სადილის შეტევის მსხვერპლი გახდა. მოხდა ისე, რომ ანაკონდის შესასანსლად განწირული თეთრი ვირთაგვა გველის დანახვამ იმდენად შეაშინა, რომ იგი თავად გადავიდა შეტევაზე და ისე დაკბინა ანაკონდა, რომ ლამის გაგუდა. ზოოპარკში მისულმა ვეტერინარმა უსადილოდ დარჩენილ ქვეწარმავალს 32 (!) ნაკერი დაადო.

### დამადამბლავებელი ტკაცანი



არეკლილი სიგნალებით მოსანადირებლის მიმგნები დელფინები და კბილა ვეშაპები მსხვერპლზე თავდასხმამდე სპეციფიკური ტკაცუნა ბგერებს გამოსცემენ. კალიფორნიის საზღვაო კვლევათა ინსტიტუტის მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ამ ბგერების მეშვეობით ეს ცხოველები ნადავლს გადასანსლამდე ადამბლავებენ. ტკაცანი, რომელიც ზოგჯერ შაშხანის გასროლას, ზოგჯერ კი ტყვიამფრქვევის ჯერს ჰგავს, დიდად განსხვავდება ულტრაბგერითი ექოსიგნალებისგან, რომლებსაც ცხოველები ორიენტირებისას იყენებენ. დამადამბლავებელი ბგერები გაცილებით ხმამაღალია, ხოლო რეგისტრით დაბალ სიხშირეთა ნაწილს განეკუთვნება.

### წეროს ღარიბი ნათესავი



წეროს ერთი შორეული ნათესავი, რომელსაც კაგუ ჰქვია, არც სილამაზით გამოირჩევა და არც სიმაღლით – განა, 50 სანტიმეტრი, სატრაბახოა? ენციკლოპედიურ სიტყვარებში აღნიშნულია, რომ დედამიწაზე დარჩენილი მხოლოდ ათასი კაგუ „კუნძულ ახალი კალედონიის მთის ტყეებში ბინადრობს და დაცვის ქვეშ იმყოფება“. კაგუ ძალიან ადვილი მოსანადირებელია, რადგან მიწაზე ბუდობს, თუკი მტაცებელი თავს წამოადგა, კი არ მიფრინავს, არამედ... გარბის, თანაც ხშირად უცბად ჩერდება, მომხდურისკენ შემოტრიალდება და ფრთებს იქნევს, რაც, ნამდვილად არ არის საფრთხისგან თავის დაღწევის საუკეთესო ხერხი. ამიტომაცაა, რომ კაგუზე ადამიანების გარდა ნადირობენ ძაღლებიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ტახებიც კი.

### გველის ნაკბენს...

61 წლის კატიკურ ვა მუმოს სახელი კენიაში ყველამ იცის. „გველისმჭამელი-პროფესორი“ ამ ქვეწარმავლის დაჭერის დიდოსტატი და მისი ნაკბენის უზადო მკურნალია. მას არანაირი გველის კბენისა არ ეშინია, გველის ნაკბენისგან განკურნვა კი წინაპრებისგან ისწავლა. დღისით იგი სოფლის შემოგარენში დაეხეტება და გველებს იჭერს, რომელსაც კიონდოში – საგანგებო კალათში ათავსებს, საღამოობით კი თავის ქოხში იგი მათ ნაკვერჩხალზე აშრობს, წვავს, სახეობების მიხედვით ახარისხებს და საქვეყნოდ ცნობილ შრატს ამზადებს, თანაც გველნაკბენ პაციენტებსაც იღებს.

მკურნალობა მარტივია: ავადმყოფი ახლად მოკრეფილ ბალახეულსა და გამოყვანილ გველებზე დაყენებულ მინქსტურას სვამს, ნაკბენის ადგილს ექიმბაში პატარაზე ჭრის და მოწამლულ სისხლს უშვებს, ჭრილობას კი გამოშრობილი გველების თავებისგან დამზადებულ ფხვნილს აყრის. კატიკუ დარწმუნებულია, რომ გველის ნაკბენის მოშუშება მხოლოდ გველის შხამითვეა შესაძლებელი.

## იცოდით?

### კოფეინი ვიტამინია?

**ქიმიაში ნობელის პრემიის ლაურეატის, ამერიკელი მეცნიერის ლაინუს პოლინგის თეორიის თანახმად, ათასწლეულების წინათ ადამიანის ორგანიზმი თავად იმუშავებდა C ვიტამინს, თუმცა ევოლუციის მსვლელობისას, როცა ადამიანები იმ ადგილებში დასახლდა, სადაც ამ ვიტამინით მდიდარი ბევრი ნაყოფი იზრდებოდა, ორგანიზმი გადაეჩვია მის გამომუშავებას. ამიტომ ახლა ჩვენ იძულებულნი ვართ მისი უკმარისობა საკვებით ავინაზღაუროთ.**

მსგავსივე თეორია, ოღონდ კოფეინის მიმართ, წამოაყენა ამერიკელმა მეცნიერმა რონ როზენბაუმმა. მას მიაჩნია, რომ კოფეინი – ესაა თავისებური ვიტამინი და ოდესღაც ჩვენი ორგანიზმი მას თავადვე გამოიმუშავებდა საჭირო რაოდენობით. ეს ისევე ხდებოდა, როგორც თავის ტვინი ენდორფინებს გამოიმუშავებს. მეცნიერს მიაჩნია, რომ ის, ვინც ბევრ კოფეინს მოიხმარს, თანდათანობით ორგანიზმის საკუთარი „ენდოკოფეინის“ გამომუშავებას გადააჩვევს, არადა ეს ნივთიერება აუცილებელია თავის ტვინის მუშაობის სტიმულირებისთვის.

### რას ვდებთ წიგნებში?

**როცა მკითხველი წიგნის კითხვას წყვეტს, იგი სანიშნეს დებს, რათა შემდგომ სწრაფად იპოვოს საჭირო ადგილი.**

ასეთი წიგნის სანიშნეების როლს ხშირად ასრულებენ ქაღალდის, თხელი მუყაოს ზოლები ან ბაფთის ზოლები. ცოტა ხნის წინათ ამერიკის ქალაქ ლინკოლნში ადგილობრივმა ბიბლიოთეკარებმა ერთობ უჩვეულო გამოფენა მოაწყეს – მათ გამოფინეს ზოგიერთი საგანი, რომლებსაც მკითხველები ზოგჯერ სანიშნად იყენებენ. მათ შორის იყო ლორისა და ძეხვის ნაჭრები, სამზარეულო დანები, ქირურგიული ხელთათმანები, საპარსის პირები, კბილის საჩიჩქნები, სალეჭი რეზინი, სათვალე, ასევე ქაღალდის ფული, მონეტები და სხვა.

### „მუდმივი“ საღებავი

**დიდ ბრიტანეთში „მუდმივი“ ანტიკოროზიული საღებავი გამოიგონეს, რომლითაც ნებისმიერი ლითონის კონსტრუქციის – ხიდების, დაზგების, სანაპირო ნაგებობების, მოაჯირების და ა.შ. – დაფარვაა შესაძლებელი.**

საღებავი ქიმიკოსებისთვის კარგად ცნობილი ჩანაცვლების რეაქციაზეა დაფუძნებული, რომლის დროს სხვადასხვა ნივთიერებათა იონები ერთმანეთს ენაცვლებიან. ეს მეთოდი გამოიყენება ღვინოების გაწმენდის, წყლის შერბილებისა და მსგავს პროცესებში, თუმცა ამ შემთხვევაში რამდენადმე გართულებულია.

კოროზიის გამომწვევი მოლეკულები, რომლებიც საღებავის დამცავ ფენაზე ზემოქმედებენ, „ჭამენ“ ლითონს. ახალი საღებავი ისეთ პიგმენტს შეიცავს, რომელიც სიმშვიდის მდგომარეობაში იმყოფება მანამდე, სანამ მასზე ქლორიდის ან სულფატის ნაწილაკთა ტიპის კოროზიული აგენტი არ დაიწყებს მოქმედებას. ამ დროს აქტივირებული პიგმენტი ბრძოლაში შედის „მტერთან“ და ამით მას ლითონზე მოხვედრის საშუალებას არ აძლევს. თეორიულად ეს რეაქცია შექცევადია, ამიტომ სახიფათო ნივთიერებების წყლით მოცილება ადვილადაა შესაძლებელი, რა დროსაც პიგმენტი ახალი სამუშაოსთვის თავისუფლდება.

### გულივერის გიტარა

**მრავალ ადამიანს ერთნაირი გატაცება აქვს: ისინი პარადოქსული ზომების სხვადასხვა საგნებს ამზადებენ.**

მაგალითად, ერთმა მათგანმა მოქმედი ფოტოაპარატი გააკეთა (და არა ფოტოკამერაძ, რომელიც კაკლის ნაჭუჭში ეტევა, მეორემ სამსართულიანი სპორტული ფეხსაცმელი შეკერა... ამ ერთობ უცნაური ჰობის ტრფიალთ არც მუსიკალური ინსტრუმენტები გამორჩენიათ მხედველობიდან. ცნობილმა ფრანგმა აკორდეონისტმა ანდრე



ვერშურენმა მსოფლიოში ყველაზე დიდი აკორდეონი დაამზადა – მისი სიმაღლეა 216, ხოლო სიგანე გაშლილ მდგომარეობაში – 346 სანტიმეტრს აღწევს. ლამბეზ საზაზმა და პოლ ვალმა კი 320 სანტიმეტრის სიმაღლის გიგანტური გიტარა შექმნეს, რომელზე დაკვრა მხოლოდ გოლიათს თუ შეუძლია.



### გადასახადი ხუმრობა სულაც არ არის!

**რამდენიმე წლის წინათ ფილიპინელ მრეწველ მურვათ ქსავიერზე ამერიკული „მელონ ბანკის“ მოლარემ შეცდომით ათასი დოლარის მაგივრად... მილიონი დოლარი გასცა, რის გამო მას ახლა...**

ექვსი წლით პატიმრობა ემუქრება. როცა ბანკის ადგილობრივი ფილიალიდან მას დაშვებული შეცდომის შესახებ შეატყობინეს, ბატონმა ქსავიერმა უკანონოდ მიღებული ფულის უკან დაბრუნებაზე უარი განაცხადა და მალევე ავსტრალიაში გაიქცა, სადაც დღემდე იმალება. თუმცა, ფილიპინებში დასრულებულ სასამართლო პროცესზე მას მთავარ ბრალდებად... გადასახადებისგან თავის არიდება წარუდგინეს. „აღნიშნულ თანხა ბრალდებულს თუნდაც საეჭვო გზით მიელო, გადასახადის გადახდას ის მაინც ექვემდებარება“, – განაცხადა მანილელმა მოსამართლემ, რომელმაც ქსავიერს დაუსწრებლად ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და, ამასთან, 386 დოლარის გადასახადის და 250-დოლარიანი ჯარიმის გადახდა დააკისრა.

### ორასი წლის ნიღაბი



**რიტუალური ნიღბები, ჩვეულებრივ, ხელოვნების ჭეშმარიტ ნიმუშებს წარმოადგენენ, თუმცა მათ შორისაც არსებობს უიშვიათესი გამონაკლისები, მაგალითად ისეთი, როგორიცაა ჰავაის კუნძულების ომის ღმერთის კუს გამოსახულება.**

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ის, რომ იგი უნიკალურია – სხვა მსგავსი ნიღაბი ოკეანეთში არსად მოიძებნება. მეორეც ის, რომ უდიდესი ოსტატობით გამოჭრილი ეს ნიღაბი უმაღლესი ტექნიკური სრულყოფის შექმნილი „ფსიქოლოგიური პორტრეტის“ უზადო ნიმუშია.

მსგავსი ნიღბები საბრძოლო ნიღბებია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით: ისინი ბრძოლის ველზე ჩვენი დროშების მსგავსად გაჰქონდათ. ამასთან, სულაც არ არის შემთხვევითი, რომ მათ განსაკუთრებული მასალიდან – ფრინველთა ნაკრტენებიდან ამზადებდნენ, ამით ისინი ჰავაებზე ოდესღაც პოპულარულ ნაკრტენების მუზარადებს ჰგავდნენ.

ნიღბის ჩონჩხს წნელი წარმოადგენს, რომელიც მცენარეული ბოჭკოთია დაფარული – სწორედ მასშია დამაგრებული ასობით პაწაწინა წითელი, ყვითელი და შავი ნაკრტენი. ნიღაბს თვალები სადაფისა აქვს, ხოლო კბილები, როგორც წესი, ძაღლის. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ეს ნიღაბი ორას წელზე მეტი ასაკისაა და, ზოგიერთი ცნობით, იგი ჰავაის მცხოვრებლებმა სახელგანთქმულ მოგზაურს კაპიტან კუკს მიართვეს, როცა იგი 1778 წელს ჰავაის კუნძულებზე ჩავიდა. ცნობილია, რომ ნაკრტენები ფერს დიდი ხნის მანძილზე ინარჩუნებენ, ამიტომ ნიღაბი ისეთივე სანახავია, როგორიც ორი საუკუნის წინათ იყო.

● მოქმედი შრომის კოდექსის შესაბამისად, ყველა დასაქმებულს უფლება აქვს, მუშაობის დაწყებიდან 11 თვის გასვლის შემდეგ ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით არანაკლებ 24 სამუშაო დღის ხანგრძლივობით

№ 16. სამშაბათი, 29 იანვარი, 2008 წელი.

◎ პარტიებსა და მოძრაობებში

# საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტიის 2007 წლის საფინანსო დეკლარაცია

**ჩვენს დეკლარაციაში ავსახავთ შემდეგს:**

1. პარტიული წლიური შემოსავალი — 0.

აქედან: ა) საწევრო შენატანების ოდენობა — 0;

ბ) შემოწირულობების ოდენობა — 0;

გ) შემოწირულობების განმახორციელებელი ფიზიკური და იურიდიული პირები — 0 (არ არსებობენ);

დ) სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა — 0;

ე) საგამომცემლო და პარტიის მიერ სხვადასხვა ღონისძიების მოწყობით მიღებული თანხები — 0.

2. გასავალი — 0.

ა) სხვადასხვა ღონისძიების დაფინანსებაზე, შრომის ანაზღაურებაზე, მივლინებებზე და სხვა გაწეული თანხები — 0.

3. ქონებრივი მდგომარეობის ანგარიში — 0.

აქედან: ა) კუთვნილი შენობა-ნაგებობები — 0 (არ გაგვაჩნია);

ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა და სახეობა, მისი საერთო ღირებულება — 0 (არ გაგვაჩნია);

გ) საბანკო დაწესებულებებში რიცხული თანხების ოდენობა — 0 (არ გაგვაჩნია).

*პარტიის თავმჯდომარე*
**ზურაბ გაგნიძე**

# აუდიტორული დასკვნა

**შპს „კავკასბიზნესაუდიტმა“ (შპს „კავკასბიზნესაუდიტის“ დირექტორი ი. ბარამიძე, მმართველი პარტნიორი ვ. ცოფურაშვილი) მოახდინა საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტიის ქონებრივი მდგომარეობის აუდიტი 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.**

2007 წლის წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე გაირკვა, რომ პარტიას არ მიუღია დაფინანსება ბიუჯეტიდან, არ მიუღია შემოწირულობები, არ შემოსულა საწევრო შენატანები, პარტიის მიერ გახსნილ საბანკო ანგარიშსწორების ანგარიშზე თანხების მოძრაობას ადგილი არ ჰქონია, არ გააჩნია შენობა-ნაგებობები და არ გააჩნია სატრანსპორტო საშუალებანი.

ჩვენი აზრით, საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტიის მიერ წარმოდგენილი დეკლარაცია 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და თანდართული დანართები საკმარისი სისრულით ასახავენ პარტიის ფინანსურ მდგომარეობას, მის ყველა მნიშვნელოვან ასპექტს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისად.

◎ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ორი თვის წინათ ვიშვილე ახალშობილი — ყველა წესის დაცვით. გთხოვთ, მაცნობოთ, მის მოსავლელად რამდენი ხნის ფასიანი და უხელფასო შვებულება მეკუთვნის?**

**ქეთი ლოსაბერიძე**

**პასუხი:** შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, გეკუთვნით ანაზღაურებადი შვებულება 70 დღის კალენდარული დღის ხანგრძლივობით, ხოლო საერთო ჯამით შვებულება (ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე) — 365 კალენდარული დღის ოდენობით.

* * *

**კითხვა: ვინ ახორციელებს შემოქმედებითი კავშირების რეგისტრაციას და რა ფასად?**

**ამირან ნორაკიძე**

**პასუხი:** შემოქმედებითი კავშირების რეგისტრაციას ახორციელებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოები. რეგისტრაციისათვის აუცილებელია შემდეგი რაოდენობის მოსაკრებელი: საერთაშორისო შემოქმედებითი კავშირის რეგისტრაციის დროს — 60 ლარი, საქართველოს შემოქმედებითი კავშირის რეგისტრაცია — 50 ლარი; ადგილობრივი შემოქმედებითი კავშირის რეგისტრაცია — 40 ლარი; მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების რეგისტრაცია — 500 ლარი.



* * *

**კითხვა: თუ შეიძლება, განგვიმარტეთ, მოქმედი კანონის თანახმად, რა სახის სახელმწიფო ჯილდოებია დაწესებული?**

**ლუარსაბ ნამორაძე**

**პასუხი:** საქართველოს პარლამენტის მიერ ჯერ კიდევ 1992 წელს მიღებული კანონის შესაბამისად, დაწესებულია შემდეგი სახელმწიფო ჯილდოები — ორდენები და მედლები: დავით აღმაშენებლის ორდენი; ოქროს საწმისის ორდენი; ვახტანგ გორგასლის ორდენი — I, II, III ხარისხის; ღირსების ორდენი; მედალი „მხედრული მამაცობისთვის“; მედალი საბრძოლო დამსახურებისთვის; ღირსების მედალი.

* * *

**კითხვა: ვმუშაობ დაწესებულებაში. ამ ერთი თვის წინათ დედაჩემმა გადაიტანა ინსულტი, რის გამოც ჯერჯერობით შეზღუდული აქვს გადაადგილების უნარი. მას ჩემს მეტი მომვლელი არავის ჰყავს. შვებულების დროც 3 დღეში მეწურება. შეიძლება, დროებით ჩემი სამუშაო სხვა პირმა შეასრულოს?**

**მარინა კოლელიშვილი**

**პასუხი:** შრომის კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, დასაქმებული ვალდებულია სამუშაო პირადად შეასრულოს, მაგრამ მხარეები (დამსაქმებელი და დასაქმებული) შეიძლება შეთანხმდნენ განსაზღვრული ვადით სამუშაოს მესამე პირის მიერ შესრულების თაობაზე. გირჩევთ აღნიშნულ საკითხზე დაუყოვნებლივ მიმართოთ დამსაქმებელს.

* * *

**კითხვა: ორი თვის შემდეგ, პირველად ჩემს სიცოცხლეში, მეკუთვნის შვებულება. მაინტერესებს, რამდენი სამუშაო დღით განისაზღვრება მისი ხანგრძლივობა?**

**მერაბ აბულაძე**

**პასუხი:** მოქმედი შრომის კოდექსის შესაბამისად, ყველა დასაქმებულს უფლება აქვს, მუშაობის დაწყებიდან 11 თვის გასვლის შემდეგ ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით არანაკლებ 24 სამუშაო დღის ხანგრძლივობით.

* * *

**კითხვა: ვარ 23 წლის, მყავს 3 მცირეწლოვანი შვილი, უფროსი 4 წლის, ხოლო ტყუპი ქალ-ვაჟი — წლისა და 1 თვის. შემიძლია, როცა შვებულებაში გავალ, კანონით დაწესებული ფასიანი შვებულების გარდა, უხელფასოც ავიღო და თუ შემიძლია, რამდენი დღით განისაზღვრება იგი?**

**ლალი მჭედლიძე**

**პასუხი:** რა თქმა უნდა, შეგიძლიათ. შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, ყველა უფლება გაქვთ იმისთვის, რომ ანაზღაურებადის გარდა, კანონით დაწესებული არანაკლებ 15 დღის ანაზღაურების გარეშე, შვებულების მოცემაზე თქვენმა დამსაქმებელმა უარი არ გითხრათ.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

**რედაქცია** *კოსტავას 12*
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.



◎ ფეხბურთი

# უცხოური მოზაიკა

**იტალია.** ზედიზედ 9 გამარჯვების შემდეგ, როგორც იქნა, შეფერხდა ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი მილანის „ინტერი“, რომელმაც სტუმრად ფრედ ითამაშა „უდინეზესთან“ — 0:0. როგორც მოსალოდნელი იყო, ამით შესანიშნავად ისარგებლეს მილანელთა მდევრებმა: „რომა“ — „პალერმო“ 1:0 (მანსინი), „ლივორნო“ — „იუვენტუსი“ 1:3, „ემპოლი“ — „ფიორენტინა“ 0:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ინტერი“ — 50, „რომა“ — 45, „იუვენტუსი“ — 40, „ფიორენტინა“ — 39 ქულა.

**ესპანეთი.** ისევ აქტუალურად რჩება კითხვა: ვინ შეაჩერებს „რეალს“? ამ სერიის შეწყვეტა გასულ კვირას „ვილიარეალმა“ სცადა, შეუპოვარი წინააღმდეგობაც გაუწია „სამეფო კლუბს“, მაგრამ საბოლოოდ მაინც წააგო 2:3 (რობინიო — 2, სნაიდერი). რაც შეეხება დანარჩენ ფავორიტებს, მათ ძვირფასი ქულები დაკარგეს და კიდევ უფრო შეიმცირეს საჩემპიონო შანსები: „ბილბაო“ — „ბარსელონა“ 1:1 (ლორენტე, კრკიჩი), „მალიორკა“ — „ატლეტიკო“ 1:0 (არანგო).

**ლიდერთა ჯგუფი:** „რეალი“ — 53, „ბარსელონა“ — 44, „ვილიარეალი“ — 38, „ატლეტიკო“ — 37 ქულა.

**ინგლისი. თასის გათამაშების IV რაუნდი.** „არსენალი“ — „ნიუკასლი“ 3:0, „იუგანი“ — „ჩელსი“ 1:2, „ლივერპული“ — „ჰევენტი“ 5:2, „მანჩესტერი“ — „ტოტენჰემი“ 3:1.

**აფრიკის ეროვნებათა თასი. ჯგუფური ეტაპი. I და II ტურის შედეგები: „ა“ ჯგუფი.** მაროკო — ნამიბია 5:1, განა — გვინეა 2:1, გვინეა — მაროკო 3:2, განა — ნამიბია 1:0.

განა — 6, მაროკო, გვინეა — 3-3, ნამიბია — 0 ქულა.

**„ბ“ ჯგუფი.** კოტ დივუარი — ნიგერია 1:0, მალიბენინი 1:0, კოტ დივუარი — ბენინი 4:1, მალი — ნიგერია 0:0.

კოტ დივუარი — 6, მალი — 4, ნიგერია — 1, ბენინი — 0 ქულა.

**„გ“ ჯგუფი.** ეგვიპტე — კამერუნი 4:2, ზამბია — სუდანი 3:0, კამერუნი — ზამბია 5:1, ეგვიპტე — სუდანი 3:0.

ეგვიპტე — 6, კამერუნი, ზამბია — 3-3, სუდანი — 0 ქულა.

**„დ“ ჯგუფი.** ტუნისი — სენეგალი 2:2, სამხრეთ აფრიკა — ანგოლა 1:1, სენეგალი — ანგოლა 1:3, ტუნირი — სამხრეთ აფრიკა 3:1.

ანგოლა, ტუნისი — 4-4, სენეგალი, სამხრეთ აფრიკა — 1-1 ქულა.

**დსთ-ს თასი. ფინალი**. „ხაზარი“ (ლენქორანი) — „პახტაკორი“ (ტაშკენტი) 4:3.



◎ კალათბურთი

# წესები იცვლება

**სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიბა) მსოფლიო ტექნიკური კომისიის სხდომაზე მიიღეს ცვლილებები წესებში, რაც გამიზნულია ჩრდილოამერიკული ეროვნული კალათბურთის ასოციაციის (yifd სტანდარტების მიახლოვებისაკენ.**

კერძოდ, 50 სანტიმეტრით გადაიწევა სამქულიანი ხაზი, ხოლო სამწამიანი ზონა ტრაპეციულის ნაცვლად სწორკუთხოვანი იქნება.

ეს ცვლილებები დამტკიცდება მარტში, ფიბა-ს ცენტრალური ბიუროს სხდომაზე პეკინში, ხოლო ძალაში შევა 2009 წლის 1 ოქტომბრიდან. ერთი წლით ადრე კი, შეიძლება, ამოქმედდეს ნაკლებად არსებითი შესწორებანი — მაგალითად, შესვენებები თამაშის ნახევრებს შორის 15 წუთიდან 10 წუთამდე შემცირდება, შეიცვლება პირით ხაზზე ბურთის გადასვლის წესებიც და ა.შ.

● მოასპარეზე გუნდების უძლიერესი შემადგენლობების მიუხედავად, შესანიშნავი შედეგი აჩვენეს ქართველმა ფალავნებმა, რომლებმაც სამი ოქროს, ამდენივე ბრინჯაოს და ერთი ვერცხლის ჯილდო მოიხვეჭეს



ძიუდო

# ქართველთა „ჰეთ-თრიქი“

**გასულ შაბათ-კვირას თბილისის სპორტის სასახლეში ძიუდოისტთა მსოფლიო თასი გათამაშდა. მედლებისა და პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ქულებისთვის 42 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოდნენ. მოასპარეზე გუნდების უძლიერესი შემადგენლობების მიუხედავად, შესანიშნავი შედეგი აჩვენეს ქართველმა ფალავნებმა, რომლებმაც სამი ოქროს, ამდენივე ბრინჯაოს და ერთი ვერცხლის ჯილდო მოიხვეჭეს.**

გამორჩეულად იჭიდავეს ჩვენებმა 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში. არც არის გასაკვირი — აქ ხომ ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული ზურაბ ზვიადაური და მსოფლიო ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე იბრძოდნენ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასასვლელად, რომ არაფერი ვთქვათ სხვებზე. სწორედ ისინი გავიდნენ ფინალში. ძირითად 5 წუთში მეტოქეებმა ქულა ვერ აართვეს ერთმანეთს, დამატებით დროში კი ზვიადაურმა „იუკო“ დაიმსახურა და „ოქროსაც“ გამოჰკრა ხელი.

100 კილოგრამ წონით კატეგორიაში გვასახელა ლომერ ჭორჭოლიანმა, რომელმაც ზედიზედ დაამარცხა ჰოლანდიელი ევროპის ჩემპიონი ელკო ვან დერ გესტი, ფრანგი მსოფლიო ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი ფრედერიკ დემონფოკო, გერმანელი ოლიმპიური პრიზიორი მიხაელ იურაკი, გაზერძნებული ქართველი, ათენის ოლიმპიადის ჩემპიონი ილიას ილიადისი (ჯარჯი ზვიადაურიძ და პირველ ადგილზე გავიდა.

მესამე ოქროს მედალი ჩვენს ნაკრებს ევროპის ორგზის ჩემპიონმა ზაზა კედელაშვილმა მოუტანა. ფინალში მან ტრადიციულ მეტოქეს ფრანგ ბენჟამენ დარბელეს აჯობა. ამ გამარჯვების შემდეგ ზაზამ იმდენი სალიცენზიო ქულა მოაგროვა, რომ პეკინის ოლიმპიადის საგზური გაინაღდა.



დანარჩენ ოთხ წონით კატეგორიაში ოქროს მედლები მოიპოვეს ბრიტანელმა ჯეიმს მილარმა, ბელარუსმა ალექსანდრ სტიაშენკამ, რუსეთელმა სირაზუდინ მაგომედოვმა და იაპონელმა იოჰეი ტაკაიმ, რომელიც ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენელთაგან ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც კვარცხლბეკს უწია. არადა, ძიუდოს ფუძემდებლებს ნაკრებში ჰყავდათ ოლიმპიური ჩემპიონი მასატო უჩიშიბა (66ძ, საიკო სეიტო, მასაჰიკო ტომოუჩი და სხვები.

საგულისხმოა, რომ ორი დღის განმავლობაში სამ ტატამზე მიმდინარეობდა პაექრობები გადაჭედილი ტრიბუნების თვალწინ. ასპარეზობის ორგანიზაციით მოხიბლულმა ევროპის ძიუდოს კავშირის პრეზიდენტმა სერგეი სოლოვეიჩიკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დარწმუნებული ვარ, თბილისი გაისად კონტინენტის ჩემპიონატსაც წარმატებით უმასპინძლებსო...

აქვე გაუწყებთ თბილისის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:

**60 კგ.** 1. ჯეიმს მილარი (ბრიტანეთიძ, 2. პაველ პეტრიკოვი (ჩეხეთიძ, 3. ლავრენტის ალექსანიდისი (საბერძნეთიძ და ალბერტ ტეხოვი (ლიტვაძ.

**66 კგ.** 1. ზაზა კედელაშვილი (საქართველოძ, 2. ბენჟამენ დარბელე (საფრანგეთიძ, 3. მიხაილ პულიაევი (რუსეთიძ და რამილ გასიმოვი (აზერბაიჯანიძ.

**73 კგ.** 1. ალექსანდრ სტიაშენკა (ბელარუსიძ, 2. იოელ რაზვოზოვი (ისრაელიძ, 3. მარკო მადალონი (იტალიაძ და დავით კუპრაშვილი (საქართველოძ.

**81 კგ.** 1. სირაზუდინ მაგომედოვი (რუსეთიძ, 2. ჟოაო ნეტო (პორტუგალიაძ, 3. ოლე ბიშოფი (გერმანიაძ და ალიბეკ ბაშკაევი (რუსეთიძ.

**90 კგ.** 1. ზურაბ ზვიადაური, 2. ირაკლი ცირეკიძე, 3. ვარლამ ლიპარტელიანი (სამივე — საქართველოძ და ელხან მამადოვი (აზერბაიჯანიძ.

**100 კგ.** 1. ლომერ ჭორჭოლიანი (საქართველოძ, 2. ილიას ილიადისი (საბერძნეთიძ, 3. მოვლუდ მირალიევი (აზერბაიჯანიძ და ჰენკ გროლი (ჰოლანდიაძ.

**მძიმე წონა.** 1. იოჰეი ტაკაი (იაპონიაძ, 2. იანუშ ვოინაროვიჩი (პოლონეთიძ, 3. ადამ ოქრუაშვილი (საქართველოძ და მაქსიმ ბრიანოვი (რუსეთიძ.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათებზე: ზაზა კედელაშვილი კვარცხლბეკზე; ტატამზეა ზურაბ ზვიადაური.**

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

№ 16. სამშაბათი, 29 იანვარი, 2008 წელი.

ორბიტაზე

## ყველაზე ხალხმრავალი



**გულშემატკივართა დასწრებით სარეკორდო გამოდგა ჩოგბურთში ავსტრალიის ღია ჩემპიონატის წლევანდელი ტურნირი.**

„დიდი მუზარადის“ წლევანდელი პირველი გათამაშების მატჩებს მელბურნში პირველ 14 დღეში დაესწრო 605 735 მაყურებელი. ეს ციფრი დიდად აღემატება, წინა, 2007 წლის რეკორდს (554 858 კაციძ. აღსანიშნავია, რომ ბოლო 9 წელიწადში ამ ღია ჩემპიონატის დამსწრეთა რაოდენობა ყოველწლიურად აღემატება ნახევარ მილიონს.

სარეკორდოა ტურნირზე ცალკეული დღეების მიხედვით დასწრებაც. მაგალითად, შეჯიბრების მეოთხე დღეს ჩოგბურთელებისთვის საქომაგოდ მივიდა 62885 გულშემატკივარი, რაც თითქმის ათასი კაცით აღემატება ამ მხრივ სარეკორდო აშშ ღია ჩემპიონატის დღიურ დამსწრეებთ (61083ძ, რაც 2007 წელს მოხდა.

* * *

**ავსტალიის ღია ჩემპიონატზე ქალთა შორის გაიმარჯვა ამერიკაში მცხოვრებმა რუსეთელმა მარია შარაპოვამ. სეზონის დასაწყისში ამ დიდი წარმატებით ის ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის რეიტინგის ლიდერი გახდა.**

რაც შეეხება ვაჟთა ტურნირს, მისი ტრიუმფატორი 20 წლის სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩი გახდა, რომელმაც კარიერაში პირველი ტიტული სეზონის აღმოჩენის, ფრანგი ჯო-ვილფრიდ ცონგას ძლევით მოიპოვა.

## პირველობა გაიყვეს

**ჰოლანდიის ვეიკ-ან-ზეეში დამთავრდა ტრადიციული საჭადრაკო სუპერტურნირი, რომელსაც წლეულს მე-20 კატეგორია მიენიჭა. ამჯერად დაფნის გვირგვინი „გაიყვეს“ სომეხმა ლევონ არონიანმა და ნორვეგიელმა მაგნუს კარლსენმა, რომლებმაც 13-13 ქულა დააგროვეს.**

მესამე-მეოთხე ადგილები 7,5-7,5 ქულით ასევე გაიყვეს ინდოელმა ვიში ანანდმა და აზერბაიჯანელმა თემურ რაჯაბოვმა. მეხუთე-მეექვსე ადგილები კი გაინაწილეს რუსეთელმა ვლადიმერ კრამნიკმა და ინგლისელმა მაიკლ ადამსმა.

## ყინულის კაცი

**კაცობრიობა აგრძელებს შეტევას რეკორდებზე. ამერიკელმა ვიმ ხოფმა დაამხო თავისივე ყინულში ხანგრძლივი ყოფნის მსოფლიო რეკორდი.**

48 წლის ხოფმა ნიუ-იორკის მანჰეტენის ქუჩაზე ყინულით სავსე გამჭვირვალე ჭურჭელში 78 წუთი დაჰყო და 4 წუთით გააუმჯობესა თავისივე რეკორდი. როგორც თავად რეკორდსმენმა განაცხადა, ასეთ ყინულოვან პირობებს ის უძლებს იმით, რომ აკონტროლებს თავისი სხეულის ტემპერატურას ტანტრიული მედიტაციით. 4 წლის წინათ მან დაამყარა მსოფლიო რეკორდი, ყინულში ერთი საათით და 8 წუთით რომ ჩაეშვა.



ხელბურთი



# კერპების მსხვრევა

**ოლიმპიური ჩემპიონი ხორვატეთი, მსოფლიო ჩემპიონი საფრანგეთი, ევროპის აწ უკვე ექსჩემპიონი გერმანია — აი, ასეთი გრანდები ჩამოიტოვა ნორვეგიაში დასრულებული კონტინენტის მორიგი ჩემპიონატის გამარჯვებულმა დანიის ნაკრებმა.**

სრული ფიასკო განიცადეს უმაღლესი რანგის ტურნირების მუდმივმა ფავორიტებმა — რუსეთისა და ესპანეთის გუნდებმა, რომლებიც მედლებისათვის ბრძოლას ჯგუფური რაუნდიდან გამოეთიშნენ.



გაუწყებთ გადამწყვეტი შეხვედრების შედეგებს: **ნახევარფინალები:** დანია — გერმანია 26:25, ხორვატეთი — საფრანგეთი 24:23. **მატჩი III ადგილისათვის:** საფრანგეთი — გერმანია 36:26. **ფინალი:** დანია — ხორვატეთი 24:20.

# ამბები

42 წლამდე მოასწრო ყოფილიყო თეატრისა და კინოს შეუცვლელი მსახიობი. მრავალრიცხოვან ბარდებს შორის კი დღემდე ჩაუქრობელ ვარსკვლავად რჩება. საავტორო სიმღერებისადმი ინტერესი ბულატ ოკუჯავას შემოქმედების გაცნობის შემდეგ გაღვიძებია და სწორედ მას მიიჩნევდა ვლადიმერ ვისოცკი თავის მასწავლებლად

## ინფორმაცია

# სემინარი ჟურნალისტებისთვის ბაკურიანში

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ შაბათ-კვირას ჟურნალისტებისთვის ბაკურიანში ორდღიანი სემინარი გამართა.**

სემინარის ძირითადი მიზანი ჟურნალისტებისთვის ეროვნული ბანკის როლის, ბოლო დროს საკმაოდ აქტუალური თემის – ინფლაციის დონისა და მასთან ბრძოლის მექანიზმების გაცნობა იყო, რაც, თავის მხრივ, აღნიშნულ საკითხებში საზოგადოების უკეთ გარკვევას შეუწყობს ხელს.

ბაკურიანში სემინარს საქართველოს ეროვნული ბანკის წამყვანი სპეციალისტები და მაღალი რანგის მენეჯერები უძღვებოდნენ.

აქტუალური თემატიკითა და ფორმატით სემინარი საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა, ჟურნალისტებსა და ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას შორის აქტიური დისკუსიებიც გამოიწვია.

საზოგადოების უკეთ ინფორმირების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი სხვადასხვა თემებთან დაკავშირებით მასმედიის წარმომადგენლებთან შეხვედრებს მომავალშიც გააგრძელებს.

**ინტერპრესნიუსი**

# განცხადება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ფოთის საგადასახადო ინსპექცია განმეორებით აცხადებს ღია აუქციონს „ხობის ჩაის“ ს/ნ 244548799 (მდებარე: ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. №234ძ დაყადაღებული ქონების რეალიზაციის მიზნით. სარეალიზაციოდ გამოტანილ იქნება „ხობის ჩაის“ შემდეგი დასახელების ქონება:

| № | საგნების დასახელება და აღწერა (განსხვავებული ნიშნები, ცვეთა და სხვაძ. | ზომის ერთეული (ზომა, წონა, მეტრაჟი და სხვაძ | თითოეული საგნის შეფასება ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | | | ერთეულის ფასი | საბაზრო ღირებულება |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | მთავარი საწარმოო კორპუსი | 1 | 150000 | 150000 |
| 2 | ადმინისტრაციული კორპუსი | 1 | 95000 | 95000 |
| 3 | სამაცივრო კორპუსი | 1 | 150000 | 150000 |
| 4 | სატრანსფორმატორო სადგური | 1 | 1000 | 1000 |
| 5 | მაზუთის სადგური | 1 | 600 | 600 |
| 6 | წყალსატუმბის სადგური | 1 | 1000 | 1000 |
| 7 | საქლორატორო | 1 | 150 | 150 |
| 8 | საპირფარეშო | 2 | 25 | 50 |
| 9 | სასადილო | 1 | 3000 | 3000 |
| 10 | ტარის სახელოსნო | 1 | 3000 | 3000 |
| 11 | სანიტარიული გამშვები | 1 | 9000 | 9000 |
| 12 | სასაწყობო მეურნეობა-ანგარი | 2 | 20000 | 40000 |
| 13 | სასაწყობო მეურნეობა-ანგარი | 2 | 20000 | 40000 |
| 14 | მატერიალურ ფასეულობათა საწყობი | 1 | 600 | 600 |
| 15 | საგუშაგო | 1 | 50 | 50 |
| 16 | ავტოგარაჟი | 1 | 20000 | 20000 |
| 17 | ასფალტბეტონის მისასვლ. გზა | 1 | 2000 | 2000 |
| 18 | ასფალტბეტონის საწარმოო მოედანი | 1 | 150 | 150 |
| 19 | ტერიტორიის შემოკავება | | 5000 | 5000 |
| 20 | წყლის საწნეო კოშკი | 1 | 2000 | 2000 |
| 21 | რკინა-ბეტონის წყლის ავზი | 1 | 1500 | 1500 |
| 22 | არტეზული ჭები | 1 | 5000 | 5000 |
| 23 | მაზუთის რეზერვუარი | 2 | 50 | 100 |
| 24 | მაზუთის მასალების ჩამოსასხმელი | 1 | 30 | 30 |
| 25 | მაზუთის მიმღები | 1 | 1000 | 1000 |
| 26 | ცისტერნა წყლისათვის | 1 | 50 | 50 |
| 27 | განათების ბოძები | 16 | 50 | 800 |
| 28 | მიწა | 6.25 ჰა | | 25800 |
| | სულ ჯამი | | 475655 | 562280 |

ქონების საერთო ღირებულება: 562280 (ხუთას სამოცდაორი ათას ორას ოთხმოცი) ლარი.

ქონების ადგილმდებარეობის ფაქტიური მისამართი: ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. №234.

აუქციონი გაიმართება 2008 წლის 15 თებერვალს 13 სთ-ზე შემდეგ მისამართზე: ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. №202, მე-2 სართულზე, ფოთის საგადასახადო ინსპექციის ხობის განყოფილების შენობაში.

აუქციონზე ქონების შეძენის მსურველებმა აუქციონის ჩატარებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე უნდა შეიტანონ შესაძენი ქონების ღირებულების 2 პროცენტი (მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ცენტრალიზებული ანგარიშის ნომერი 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი 302003000ძ. მესამე პირებს, რომლებსაც გააჩნიათ რაიმე უფლება აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანილ ქონებაზე, შეუძლიათ მიმართონ ფოთის საგადასახადო ინსპექციას აუქციონის ჩატარებამდე. დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. №7. ტელ: 8(293ძ2-07-04; 8(293ძ2-07-06.

## საღამო

# თბილისსაც ახსოვს...



**რომ დასცლოდა, წლეულს, იანვრის 25-ში 70 წლისა გახდებოდა ვლადიმერ ვისოცკი. მსახიობის, პოეტის, კომპოზიტორისა და მომღერლის პოპულარობის გამოძახილი დღესაც ძლიერია, დღესაც სჭირდებათ იგი ადამიანებს, ამიტომაც დაიტვირთა იანვარი მისი ხსოვნის საღამოებით მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში.**

42 წლამდე მოასწრო ყოფილიყო თეატრისა და კინოს შეუცვლელი მსახიობი. მრავალრიცხოვან ბარდებს შორის კი დღემდე ჩაუქრობელ ვარსკვლავად რჩება. საავტორო სიმღერებისადმი ინტერესი ბულატ ოკუჯავას შემოქმედების გაცნობის შემდეგ გაღვიძებია და სწორედ მას მიიჩნევდა ვლადიმერ ვისოცკი თავის მასწავლებლად.

თავისი პირველი სიმღერები ვლადიმერ ვისოცკის 1960-იანი წლების დასაწყისში შეუქმნია, რომლებსაც თავდაპირველად სერიოზულად არ აღიქვამდნენ, მაგრამ როცა ცოტა მოგვიანებით იგი წერს სიმღერას „წყალქვეშა ნავს“, საზოგადოება მის შემოქმედებით სიყმაწვილეს უკვე დასრულებულად მიიჩნევს.

ამავე პერიოდში იგი მოსკოვის ტაგანკის თეატრის მსახიობი გახდა. „Свой театр“ – ასე უწოდებდა იგი ამ თეატრს, რომელსაც უერთგულა სიცოცხლის ბოლომდე და რომლის სცენაზეც სახეთა მთელი პალიტრა შექმნა, მათ შორის ჰამლეტი, გალილეი, პუგაჩოვი, სვიდრიგალოვი... პარალელურად შექმნა კინოსახეები დაახლოებით 26 ფილმში. კინოროლებიდან ყველაზე მეტად ჰყვარებია ჟეგლოვის სახე ტელესერიალში „შეხვედრის ადგილის შეცვლა არ შეიძლება“. ეს სახე იმდენად რეალური პერსონაჟი იყო, რომ ტელემაყურებლები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გლებ ჟეგლოვი გამოგონილი პერსონაჟი არ იყო. ვლადიმერ ვისოცკის სიმღერებს რამდენიმე ციკლად ჰყოფენ: სამხედრო, სპორტულ, მთიან, ჩინურ... მის სიმღერებში ისმოდა დიდი სიმართლე, გულწრფელობა და, რაც მთავარია, შინაგანი თავისუფლება. მის ჩახლეჩილ ხმას იმ პერიოდის თაობის საბჭოური ცხოვრების პროტესტის ხმად აღიქვამდნენ, აკი კიდეც იქცა მისი მეამბოხე სული თაობის სიმბოლოდ. მისი სიმღერები ისეთი ცხოვრებისეული სიმართლით იყო შექმნილი და ისეთი ენერგიით მოდიოდა მსმენელამდე, რომ ყველა, ვინც მას ისმენდა, დარწმუნებული იყვნენ, რომ იგი თავად იყო მებრძოლიც, ალპინისტიც, შორეული რეისების მძღოლიც...

თავად საავტორო სიმღერების შესახებ იტყოდა: „მე მინდა ვთქვა, რომ „საავტორო სიმღერა დიდ შრომას მოითხოვს, ეს სიმღერა ყოველთვის შენთან ერთად ცხოვრობს და მოსვენებას არ გაძლევს არც დღე და არც ღამე“.

მერე მოვიდა მის ცხოვრებაში დიდი სიყვარული. ფრანგი მსახიობის მარინა ვლადის სახით. მათ ერთად 12 წელი გაატარეს და როგორც მათი მეგობრები ამბობენ, მარინა ვლადიმ ვლადიმერს ბედნიერება მოუტანა. მას მსოფლიო აჩვენა და მან მსოფლიოს აჩუქა ვისოცკი, მან დაბადა მასში ყველაზე საუკეთესო სიმღერები.

თბილისს ახსოვს და ემახსოვრება ვლადიმერ ვისოცკი, რადგან ბევრი რამ აკავშირებდა ჩვენს ქალაქთან. ათჯერ მაინც ჩამოსულა თბილისში, სადაც ჭარბად ჰყავდა მეგობრები, ხან თეატრთან ერთად გასტროლებზე, ხანაც კინოგადაღებებზე (ფილმი „ვერტიკალი“ძ, მთებში, სვანეთში, აქ გაატარა საქორწინო დღეები მარინა ვლადისთან ერთად.

ამიტომაც შეუერთა თბილისმა, ერთ-ერთმა პირველმა, თავისი ხმა ლეგენდარული მსახიობის ხსოვნას. ამის თაოსანი გახდა კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „რუსული კლუბი“. რუსთაველის სახელობის თეატრში რობერტ სტურუას ხელმძღვანელობით მომზადდა საღამო „მიყვარს – ესე იგი, ვცხოვრობ“.

**„ვლადიმერ ვისოცკი იყო ადამიანი, რომელიც ებრძოდა უსამართლობას, იმ დროს, როცა იგი ცხოვრობდა. ჩემთვის პირადად იგი ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურა იყო“,** – ამბობს **რობერტ სტურუა.**

**„თბილისს უყვარდა ვისოცკი და ვისოცკისაც უყვარდა თბილისი... ბევრი რამ შეიცვალა გასული წლების განმავლობაში, მაგრამ თბილისის სულში, თბილისელების სულიერებაში არაფერი შეცვლილა. ამიტომ თბილისს დღესაც სჭირდება ვისოცკი ისევე, როგორც წინათ,** – განაცხადა „რუსული კლუბის“ პრეზიდენტმა **ნიკოლაი სვენტიცკიმ**.

ხსოვნის საღამო რეჟისორთან ერთად გაიაზრეს დამდგმელმა მხატვარმა მირიან შველიძემ და მუსიკალურმა ხელმძღვანელმა თენგიზ ჯაიანმა.

სცენურ სივრცეს თეთრი და შავი ფერები ავსებდა, სიცოცხლისა და სიკვდილის სიმბოლო, ავანსცენაზე კი ტაგანკის მიერ რუსთაველის თეატრისთვის ნაჩუქარი ვისოცკისეული გიტარა კვნესოდა.

ქართული თეატრისა და ესტრადის მსახიობები მაყურებელს ვისოცკის ლექსებითა და სიმღერების შესრულებით წარუდგნენ. ბუბა კიკაბიძე, ნიკო გომელაური, აჩიკო ნეფარიძე, ბესიკ კალანდაძე, თამრიკო ჭოხონელიძე, ეკა კვალიაშვილი, ირინე მელვინეთუხუცესი, ზურა დოიჯაშვილი, ზურა მანჯავიძე... დიახ, 25 იანვარს ხსოვნის საღამოს ყველა მონაწილე, დარბაზთან ერთად, ვლადიმერ ვისოცკის ბოჰემურ სამყაროს ეზიარა.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

**ოკლახომელი ჩარლზ ფრანსის კოლექციაში 25 ათასი ძველებური მარაოა თავმოყრილი. მათგან ზოგიერთი მოოქროვილია, ინკრუსტირებულია სპილოს ძვლით, მორთულია მარგალიტებითა და პატიოსანი თვლებით. ყველა მარაო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებშია დამზადებული**



## იცოდით?

### ინდიელი ფრანგის მაგივრად



**ცნობილ ფრანგ ეთნოგრაფ ანდრე კონიატას მთელი სამხრეთ ამერიკა ფეხით აქვს მოვლილი, ბევრ ქვეყანაში მრავალი მეგობარიც ჰყავს, და მრავალი თავგადასავალიც გადახდენია. ერთხელ ბოლივიის ინდიელთა ტომის ვაიანას სოფელ ნანუკის მამასახლისმა მალავატემ მას უთხრა, მინდა გიშვილო და ანტეკუმე დაგარქვა, რისთვისაც „მარაკეს" უნდა გაუძლოო.**

მარაკე – ეს ცეკვაა, რომელიც შეუჩერებლად სამ დღე-ღამეს გრძელდება. მოცეკვავე გამოსაცდელს... ველურ ფუტკრებს და შავ ჭიანჭველებს ასევენ, რომელთა კბენა გავარვარებული ნაკვერჩხლების მიდებას ჰგავს: თუ ვაჟკაცი ხარ, მარაკეს ღიმილით იცეკვებ.

რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, ცოტა ხანში ქვეყანას ფრანგი ანდრე კონიატას მაგივრად ინდიელი ვანიატა ანტეკუმე მოევლინა.

### უდაბნოს თხილამურები



**ქვიშის ბორცვებზე დაშვება – სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი ბოლო ნაირსახეობაა, რომელიც ფრანგმა სამთომოთხილამურემ დანიელ სისტერმა მოიგონა. მან ხუთი თავისი მეგობარი უდაბნოში... თხილამურებით სასრიალოდ წასვლაზე დაიყოლია.** გაერთიანებული არაბეთის საემიროების უდაბნოში ქვიშის დამრეცი ბორცვები თხილამურებით სასრიალოდ მართლაც ჩინებული ადგილი გამოდგა, მაგრამ დიდ სიჩქარეს სპორტსმენი აქ ვერ განავითარებს. თუმცა, როგორც ბატონი სისტერი აღნიშნავს, მოძრაობის ნელი სიჩქარე მიმზიდველია სრიალის ტექნიკის ტრფიალთათვის. „სისტერის გუნდის" წევრები უდაბნოში თხილამურებით სრიალით დიდად კმაყოფილნი დარჩნენ, თუმცა კი დაიჩივლეს იმის გამო, რომ თითოეულს დღის განმავლობაში დაახლოებით... ათი ლიტრი წყლის დალევა უწევდა.

### როგორ დამალეს რკინიგზა

**უდიდესი ზვავი ამერიკის შეერთებულ შტატებში 1910 წლის 1 მარტს ვაშინგტონის შტატის ტერიტორიაზე დიდ ჩრდილოეთის რკინიგზაზე ჩამოწვა.** სტივენსონის უღელტეხილზე გზის ორ გალერეას შორის დაუცველ ადგილზე, ველინგტონის პლატფორმაზე, დიდთოვლობის გამო, უამრავი სამგზავრო და სატვირთო მატარებელი შეგროვდა. ქარბუქი მთელ დღე-ღამეს გაგრძელდა და ზვავებმა იწყეს ჩამოწოლა. მეცხრე დღეს თოვლი უკვე საათში 30 სანტიმეტრს დებდა (მაგალითისთვის ავღნიშნავთ, რომ სვანეთში ყველაზე დიდთოვლობის დროსაც კი თოვლი საათში 8-დან 12 სანტიმეტრამდე დებსძ. 1 მარტის ღამეს კი თოვლი წვიმით შეიცვალა, რომელიც დასავლეთის თბილმა ქარმა მოიტანა. ამის გამო თოვლის სიმტკიცე შემცირდა და შუაღამისას მისი უზარმაზარი მასა მატარებლებს დაატყდა თავს და... საშინელება დატრიალდა.

შემდგომში მსგავსი ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად, რკინიგზის მეპატრონეებმა მიატოვეს გზის 60-კილომეტრიანი მონაკვეთი და ახალი, 13-კილომეტრიანი გვირაბი გაჭრეს, რომელმაც რკინიგზა მთლიანად გამოიყვანა ზვავსაშიში ზონიდან.

### სიყვარული... ბოთლიდან

**„ზღვის ფოსტას" დაბეჭდილი ბოთლებით მოაქვს ცნობები არა მხოლოდ ზღვაში ხომალდების დაღუპვისა და სხვა უბედური შემთხვევების შესახებ.** როცა შოტლანდიელი ჯიმ კერში თხუთმეტი წლისა შესრულდა, მან წერილი დაწერა, საკუთარი მისამართი მიუთითა, ბოთლში ჩადო, დალუქა და ზღვაში გადააგდო. ბოთლმა ზღვით 400 მილი გაცურა და მერე დინებამ იგი ნორვეგიის ნაპირზე გამორიყა, სადაც ის თოთხმეტი წლის ეკი ოლსემმა იპოვა. მან ჯიმს პასუხი ჩვეულებრივი ფოსტით გაუგზავნა. ახლა კი ჯიმი და ეკი ერთმანეთს ბარათებს აღარ უგზავნიან – ისინი შეუღლდნენ და ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ.

### ქათინაური, მამაკაცის მტერი

**ქათინაურის თქმა ჭეშმარიტად ხელოვნებაა, თავაზიანობას ყველა დროში დიდი ფასი ჰქონდა. თუმცა, როგორც ჩანს, ზოგიერთ შემთხვევაში, ვალდებულებასაც ნიშნავს.** მაგალითად, ტოგოში მამაკაცი, რომელიც ქალს ქათინაურს ეტყვის, ვალდებულია იგი... ცოლად შეირთოს – ასეთია აქაური წესი! ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ ქალებთან საუბრისას ტოგოელი მამაკაცები საკმაოზე მეტად თავშეკავებულნი არიან, თუმცა ადგილობრივი კანონმდებლობით თითოეულ მათგანს შეუძლია ოთხი ცოლიც კი ჰყავდეს.

### მარაოების ენა

**ოკლახომელი ჩარლზ ფრანსის კოლექციაში 25 ათასი ძველებური მარაოა თავმოყრილი. მათგან ზოგიერთი მოოქროვილია, ინკრუსტირებულია სპილოს ძვლით, მორთულია მარგალიტებითა და პატიოსანი თვლებით. ყველა მარაო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებშია დამზადებული.** კოლექციის შეგროვებისას ბატონი ფრანსი მარაოების ენასაც სწავლობდა – უწინ ჩინეთსა და იაპონიაში არსებული წესით მარაოთი არა მარტო დათქმული ნიშნის მიცემა, არამედ მთელი „საუბრის" წარმართვაც კი იყო შესაძლებელი. მაგალითად, მარცხენა ყურზე მარაოს მიდება ნიშნავდა თხოვნას ესა თუ ის ამბავი საიდუმლოდ შეენახათ და არავისთვის გაემხილათ...

### ნიაგარა უკან იხევს

**„ქუხილის მამა" – ასე ითარგმნება ნიაგარას ჩანჩქერის ინდიური დასახელება, რომლითაც ყოველ წუთს 50 მეტრის სიმაღლიდან მილიონობით ლიტრი წყალი გამოედინება.** მკვლევარებმა დაადგინეს, რომ კლდოვანი ფსკერი თანდათანობით იშლება და ჩანჩქერი ყოველწლიურად დაახლოებით ერთი მეტრით უკან იხევს. თავისი 12 ათასწლიანი არსებობის მანძილზე ნიაგარამ შვიდი მილით უკან დაიხია. თუკი უკან დახევის ეს სიჩქარე შენარჩუნდება 35 ათას წელიწადში (!ძ ჩანჩქერი ტბა ერის მიაღწევს, რომლიდანაც მდინარე ნიაგარა გამოედინება და ამით თავის არსებობას დაასრულებს.



## თეიმურაზ თურმანიძის ხსოვნას

# მშვიდობით ძმაო, ბუთხუზ!



**წავიდა ჩვენგან თეიმურაზ თურმანიძე, კიდევ ერთი ღირსეული ქართველი, უძველესი გორის ვაჟკაცი წარმომადგენელი, დაგვტოვა ჩვენმა ბუთხუზამ – ჩვენი საქმაკაცოს სულმა და გულმა, ჩინებულმა ფერმწერმა, სხვათა ჭირისა თუ ლხინის გამზიარებელმა კაცმა... ქუთაისიდან ჩამოჰყვა მას საოცარი სითბო, გულწრფელობა, დიდი იუმორის გრძნობა... იგი 1965 წელს ჩამოვიდა თბილისში სამხატვრო აკადემიაში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად, თუმცა ჯერ მოსამზადებელ კურსებზე დადიოდა და სწორედ აქ დავუახლოვდით ბუთხუზას, გულმა გული იცნო, რაც დიდ მეგობრობაში გადაიზარდა. დღემდე გაუბზარავი იყო ეს მეგობრობა, ბუთხუზა იყო ჭირისუფალი, ლხინის უფალი, თბილისის კოლორიტი... თუმცა მისი მთავარი საქმე – მხატვრობა, ფერწერა ყველაფერზე მაღლა იდგა და დიდი შრომის ფასად, მნიშვნელოვანი წარმატებებიც ჰქონდა თავის შემოქმედებაში. ჩვენი ბუთხუზა იყო უამრავი გამოფენის მონაწილე ჩვენთან თუ საზღვარგარეთ, მისი ნამუშევრები დაცულია მუზეუმებში, კერძო კოლექციებში... იგი იყო საქართველოს სახელმწიფო და იაკობ გოგებაშვილის პრემიების ლაურეატი, პროფესორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე... სამხატვრო აკადემიის ბრწყინვალედ დამთავრების შემდეგ იგი, შეიძლება ითქვას, ლიდერი გახდა თავისი თაობისა, გამოავლინა აღმზრდელის, პედაგოგის შესანატრი თვისებები, წლების განმავლობაში თავის გამოცდილებას უზიარებდა პუშკინის (მოგვიანებით სულხან-საბასძ სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური და კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტებს... ყველას დასწყვიტა გული მისმა უდროო გარდაცვალებამ, სულ მალე მეგობრებს მისთვის დაბადების 60 წლისთავი უნდა მიგველოცა... ვაი, რომ წერამწერალი ასე არ ფიქრობს, ჩვენო ბუთხუზ... ღმერთმა ნათელში გამყოფოს. ჩვენ ვუსამძიმრებთ შენს სამაგალითო ოჯახს, მეუღლეს – ქალბატონ რუსუდანს, შესანიშნავ ვაჟიშვილს – თორნიკეს. შენი სახელი დაუვიწყარი იქნება ყველა ჩვენგანისთვის, ყველასთვის ვინც შენ გიცნობდა. დღეის ამას იქით შენი მეგობრები, შენი კაცობის მადლიერი მეგობრები ჩვენს მწუხარე გულებში ვაცოცხლებთ შენს ძვირფას ხსოვნას. ასე რომ, სანამ ჩვენ ცოცხლები ვიქნებით, შენც ჩვენთან ერთად იცოცხლებ...**

**მშვიდობით ძმაო, ბუთხუზ!**

**მერაბ ქობულაძე, თეიმურაზ შენგელია, თამაზ ბუაძე, იურა კანდელაკი.**

---

**დალი, მაკა გოგიაშვილები, გიორგი მეფარიშვილი, ეკა კოროშინაძე იუწყებიან დედის და ბებიის**

**ნელი გამცემლიძის**

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30 I, 17 სთ. დაკრძალვა 31 I, 14 სთ. მისამართი: ვაჟა-ფშაველას V კვარტალი, III კორპუსი, IV სართული.**

---

**ლია, გურამ გვეტაძეები მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის**

**რუსუდან ლითანიშვილის**

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.**

---

**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი უსამძიმრებს და თანაუგრძნობს თეატრის მთავარ ადმინისტრატორს ნინო მუსერიძეს მამის**

**რევაზ მუსერიძის**

**გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 29, 30 I, 16 სთ. გამოსვენება 31 I, 14 სთ. თემქა მე-11 მ/რ მე-3 კვარტალი, 47-ე კორპუსი.**

---

### დემოკრატიული პარტიის განცხადება

დემოკრატიულ პარტიას 2007 წელს შეჩერებული ჰქონდა ყოველგვარი ფინანსური საქმიანობა, როგორც შემოსავლების (საწევრო შენატანები, შემოწირულობები, სახელმწიფო დაფინანსება და ა.შ.ძ, ისე გასავლების (არჩევნებზე, შრომის ანაზღაურებაზე, მივლინებებზე, შენობა-ნაგებობაზე, ინვენტარზე და ა.შ.ძ.

დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი ნ.ქორქოლიანი
28.01.08.

**რეკლამა** კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-65-87; 899 32-85-76.

№ 16. სამშაბათი, 29 იანვარი, 2008 წელი.

● საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი და პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის წევრები უკრაინის სახელმწიფო დელეგაციის წარმომადგენლებს შეხვდნენ.
შეხვედრის ძირითადი თემა პალიატიური მზრუნველობა, ანუ ძალიან მძიმე მდგომარეობაში მყოფი პაციენტების დახმარებაა



## ◉ კრიმინალი

### დააკავეს ინტერპოლის მიერ ძებნილი

**სასაზღვრო სამართველოების „წითელი ხიდისა“ და „ბათუმის“ სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილებებზე მესაზღვრეებმა შსს-ს ძებნილი მოქალაქეები დააკავეს.**

დაკავება განხორციელდა თბილისის აეროპორტშიც, რეისზე „ვენა-თბილისი“, მესაზღვრეებმა ინტერპოლის მიერ ძებნილი ავსტრიის მოქალაქე დააკავეს.

**ინტერპრესნიუსი**

## ◉ ქოპორტულას მოლოდინი

### იმ დღის მერე სულ შენ გელის...

**„წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქაროს“ მოტივზე**

თბილისიდან ქოპორტისკენ მიმავალო ქარო,
თუკი ჩემმა ქოპორტულამ გკითხოს, ვინა ხარო,
უპასუხე გალიმებით, გვარს ნუ ეტყვი სულაც
თვითონ გიცნობს ქოპორტულა, ჩემი ქოპორტულა.
ქოპორტულა ნაყოფია ჯანსაღი და გემრიელი
რაც დაპირდი, ჩამოვალო, იმ დღის მერე სულ შენ გელის.

* * *

ქოპორტელთა P. S.

შეასრულებ დანაპირებს, გვჯერა.
და შენს სიტყვას არ გადახვალ, გვგონია,
ჩამოირბენ ქოპორტამდე ხელად,
იქამდე ხომ არცთუ ისე შორია.

ჩაიწერა
**რუსლან რუსიამ**




## ◉ ელიტა

### პირველი ლედის პატრონაჟით

**საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი და პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის წევრები უკრაინის სახელმწიფო დელეგაციის წარმომადგენლებს შეხვდნენ.**

შეხვედრის ძირითადი თემა პალიატიური მზრუნველობა, ანუ ძალიან მძიმე მდგომარეობაში მყოფი პაციენტების დახმარებაა, რომლებთან დაკავშირებითაც საქართველოში სპეციალური პროგრამა მოქმედებს. ბიუჯეტიდან ამ მიზნით თანხებიც არის გამოყოფილი.

— პალიატიური დახმარების განვითარება ჩვენი კომიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ძალიან აქტიურად ვმუშაობთ კანონმდებლობაზე, ქალბატონი სანდრაა ჩართული, სპეციალური ჯგუფიც არის შექმნილი და სწორედ ამ ფორმატით ვხვდებით ჩვენს უკრაინელ კოლეგებს. მათ სურილი აქვთ, ჩვენი გამოცდილება გაიზიარონ, რათა ეს ძალიან საინტერესო ჰუმანური მიმართულებაა, — აღნიშნა პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ გიგი წერეთელმა.



საქართველოს პარლამენტმა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ საკანონმდებლო წესით შემუშავებულ კანონპროექტთა პაკეტი 2007 წელს მიიღო, რომლითაც ქვეყნაში პალიატიური მზრუნველობის სამართლებრივი საფუძვლის დადგენა საკანონმდებლო დონეზეა უზრუნველყოფილი.

აღნიშნულ მიმართულებას პატრონაჟს საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი უწევს. მისი მხარდაჭერით ქვეყნაში მძიმე სენით შეპყრობილი პაციენტების მოვლის სისტემა დაინერგა.

სანდრა რულოვსის განცხადებით, აღნიშნული სისტემა პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველად საქართველოში ამოქმედდა.

### თბილისის უნივერსიტეტის ტალინელი სტუმრები

**თსუ-სა და ტალინის უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტალინის უნივერსიტეტის დელეგაციის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. თსუ-ს რექტორ გიორგი ხუბუასა და ტალინის უნივერსიტეტის რექტორ რაინ რაუდს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

როგორც თსუ-დან იტყობინებიან, მემორანდუმი ითვალისწინებს პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გაცვლას, ასევე სამეცნიერო თანამშრომლობას სხვადასხვა სფეროში.

უნივერსიტეტში აცხადებენ, რომ ტალინის უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობა თსუ-ს რექტორის გიორგი ხუბუას ინიციატივითა და ესტონეთში საქართველოს საელჩოს დახმარებით ხორციელდება.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ესტონეთის ტარტუს უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში განსაზღვრულ პროგრამები ხორციელდება.

### მოსწავლეები მასწავლებლის გაშვებას აპროტესტებენ

**თბილისის №140 საჯარო სკოლაში გუშინ მეცხრე კლასის მოსწავლეებმა სასწავლო პროცესი ჩაშალეს.**

მოსწავლეები კლასის დამრიგებლის, რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის თინა ყურაშვილის სკოლიდან დათხოვნას აპროტესტებდნენ.

თინა ყურაშვილის განცხადებით, სკოლის დირექტორმა იგი პირადი ანგარიშსწორების გამო დაითხოვა.

— ჩემი აზრით, მისი მხრიდან დევნის საბაბი გახდა ის ფაქტი, რომ მე, როგორც სამეურვეო საბჭოს წევრმა, მის დირექტორად არჩევას ხმა არ მივეცი, — განაცხადა ყურაშვილმა.

რაც შეეხება სკოლის დირექტორს ნატა ბარათელს, იგი აცხადებს, რომ აღნიშნული საკითხის განხილვას საჯაროდ არ აპირებს და რომ დავას მასწავლებელსა და სკოლის დირექციას შორის სასამართლო გადაწყვეტს.

**ინტერპრესნიუსი**

**რეკლამა** კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

## ◉ ანეკდოტები

— ბიჭუნა, რანაირად იშოვნე ასე ძვირადღირებული ბილეთი? — ეკითხება სტადიონის კონტროლიორი მიხოს.
— მამამ იყიდა.
— თვითონ სად არის?
— სახლშია, ბილეთს ეძებს...

* * *

— არაყს სვამ?
— არა.
— აბა, რას უშვები?

* * *



— იმუშავებ სილიკატის ქარხანაში დარაჯად?
— არა, იქ არაფერია მოსაპარავი.

* * *

გიდი ძველი არქიტექტურული ძეგლის ნანგრევებში ექსკურსიას ატარებს:
— გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება — ეს კოშკი სამი ათასი წლის წინათ არის აშენებული.
— ახლა კი ახურებ, — აწყვეტინებს ახალი რუსი, — ჯერ ხომ მხოლოდ 2008 წელია!

* * *

— მიხო, დავუშვათ, შენ გაქვს ათი ლარი, მამამ საღამოს კიდევ ათი ლარი დაგიმატა. რამდენი ლარი გექნება დილით? — ეკითხება მასწავლებელი.
— 10 ლარი, მას.
— ცუდია, მიხო, შენ სულ არ იცი მათემატიკა.
— თქვენ კი მას, სულ არ იცნობთ მამაჩემს.

* * *

— ექიმო, როგორც კი სიმახინჯეს დავინახავ, ცუდად ვხდები და კუჭი მეშლება.
— მერე შენც ნუ ჩაიხედავ სარკეში.

## ◉ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით ალმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.